ვასილ ხიზანიშვილი

იაპონიის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაცია (1945-1973 წწ.)

გამომცემლობა „ლოი“
თბილისი - 2024

ვასილ ხიზანიშვილი:
იაპონიის სოციალურ-ეკონომიკური და
პოლიტიკური ტრანსფორმაცია (1945-1973 წწ.)
გამომცემლობა „ლოი“. თბილისი. 2024. გვ. 156.

UDC-უაკ 316.42(520)+338(520)
ხ - 531

იაპონიის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაცია მიმდინარეობდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ახალი გლობალური წესრიგის ფორმირების კვალდაკვალ. იაპონიის იმპერია, როგორც ღერძი სახელმწიფოებიდან (ნაცისტურ გერმანიასთან და ფაშისტურ იტალიასთან ერთად) ერთ-ერთი, წარმოადგენდა დამარცხებულ ქვეყანას, რომელმაც მიუხედავად უმძიმესი მდგომარეობისა, შეძლო ეროვნული ძალების სრული კონსოლიდაცია, დიდი წარმატების მისაღწევად, იმ წარმატების, რამაც დამცირებულ იაპონელ ერს დაუბრუნა საკუთარი ღირსებისა და სახელმწიფოებრივი გამარჯვების რწმენა.

მონოგრაფია შესრულებულია 2024 წელს (ზაფხული-შემოდგომა), ტიუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტის აზია-აღმოსავლეთის ინსტიტუტში (იაპონოლოგიის განყოფილება).

რედაქტორი:
პროფესორი ლოიდ ქარჩავა
(კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი)

საპატიო რედაქტორი:
პროფესორი (ემერიტუსი) ჰერმან ლიხტენბერგერი
(ტიუბინგენის უნივერსიტეტი)

რეცენზენტი:
პროფესორი ლაშა ტაბატაძე
(ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ISBN – 978-9941-9711-8-1
© ვ. ხიზანიშვილი, გამომცემლობა „ლოი“

VASIL KHIZANISHVILI

Socio-economic and political transformation of Japan (1945-1973)

„Loi“ publishing house
Tbilisi - 2024

VASIL KHIZANISHVILI:
Socio-economic and political transformation of Japan (1945-1973).

Publishing house „Loi“, Tbilisi, 2024, p. 156.

Japan's socio-economic and political transformation took place after the Second World War, in the wake of the formation of a new global order. The Empire of Japan, as one of the Axis Powers (along with Nazi Germany and Fascist Italy), was one of the defeated countries, who despite the most difficult situation, was able to fully consolidate its national forces to achieve a great success, that success, which restored to the humiliated Japanese nation the belief in its own dignity and state victory.

The monograph is fulfilled in 2024 (summer-autumn) at the Asia-Orient Institute (Department of Japanese Studies) of the Eberhard Karls University of Tübingen.

EDITOR:
Prof. LOID KARCHAVA
(Georgian Technical University)

HONOUR EDITOR:
Prof. (Emeritus) HERMANN LICHTENBERGER
(University of Tübingen)

REVIEWER:
Prof. LASHA TABATADZE (Ilia State University)

ISBN – 978-9941-9711-8-1

©VASIL KHIZANISHVILI, Publishing house „Loi“

სამეცნიერო პროექტის წარმატებით დასრულებისთვის, მსურს გულითადი მადლობა გადავუხადო

ჩემს ძვირფას მასპინძლებს პროფ. დოქ. **ჰერმან ლიხტენბერგერსა** და მის მეუღლეს, **ქალბატონ დორის;**

ასევე, ჩემს ძვირფას უფროს მეგობრებს **ჰერმან** და **ბეატე გლასერებს, მანფრედ** და **ელიზაბეტ როიტერებს.**

FOR THE SUCCESSFUL SCIENTIFIC PROJECT I WOULD LIKE TO HEARTLY THANK

to my dear hosts Prof. Dr. **Hermann Lichtenberger** and to his wife, **Mrs. Doris;**

as well, to my dear senior friends **Hermann** und **Beate Glaser, Manfred** and **Elisabeth Reutter.**

მონოგრაფიაზე მუშაობა ტიუბინგენის უნივერსიტეტის აზია-აღმოსავლეთის ინსტიტუტში დაფინანსდა ბ.-ნ ჰერმან და ქ.-ნ ბეატე გლასერების მიერ.

The work on the monograph at the Institute of Asia-Orient Institute of the University of Tübingen was funded by Mr. Hermann and Ms. Beate Glaser.

იაპონიის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაცია (1945 -1973 წწ.)

მონოგრაფია

შესავალი

პოლიტიკა თანამედროვე საზოგადოებაში არის სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების მიზეზიც და შედეგიც. ზოგჯერ შესაძლებელია ამ ორს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გარჩევა და მიგნება; ანუ, ცალსახად შესაძლებელია იმის დაშვება, რომ კონკრეტული პოლიტიკური ქმედება იწვევს კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებას და პირიქით. თუმცა, უფრო ხშირად, კავშირ-ურთიერთობის მიმართულება ბუნდოვანი და ძნელად დასადგენია. პოლიტიკური ქმედება, როგორც ჩანს, შედეგია სოციალურ-ეკონომიკურ პირობათა ერთობლიობის და, თავის მხრივ, აყალიბებს სოციალურ-ეკონომიკური პირობების ახალ კომპლექტს.

გამონაკლისს არ წარმოადგენს ურთიერთობა პოლიტიკასა და სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს შორის ომისშემდგომ იაპონიაში.

1945 წლის ზაფხულიდან 1973 წლის ზაფხულამდე, ოცდარვა წლის განმავლობაში იაპონიის საზოგადოებამ და ეკონომიკამ განიცადა აშკარა და შორსმიმავალი ტრანსფორმაცია. მეორე მხრივ, პოლიტიკა როგორც ჩანს, ერთი შეხედვით, მცირედ შეიცვალა, ფაქტობრივად, იმდენად მცირედ, რომ შემთხვევით დამკვირვებელს შესაძლოა ეს ცვლილება სრულიად გამორჩენოდა. თუმცა, უფრო დაწვრილებითი შესწავლით ცხადი ხდება, რომ ამ პერიოდში პოლიტიკამაც განიცადა მნიშვნელოვანი

ცვლილება, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პირობების ცვლილებასთან მჭიდრო და კომპლექსურ კავშირში.

არასტაბილური მრავალპარტიული ნიმუში, რომელიც პრევალირებდა (ჭარბობდა) ომისშემდგომ პირველ ათწლეულში, ადგილს უთმობს ხანმოკლე კვაზი-ორპარტიულ სისტემას 1950-იანი წლების მეორე ნახევარში და შემდეგ, სტაბილურ ერთპარტიულ მრავალპარტიულ რეჟიმს (ე.ი. ერთი პარტიით დომინირებულ სტაბილურ მრავალპარტიულ რეჟიმს) 1960-იან და 1970-იან წლებში. **(ეს შეესაბამება იმას, რასაც ჯოვანი სარტორი უწოდებს *ლიმიტირებულ პლურალიზმს,* ორპარტიულ და პრედომინანტ (უპირატეს / უმთავრეს) პარტიულ სისტემებს. იხ., Giovanni Sartori, Parties and Parly Systems: A Framework for Analysis [Cambridge, England: Cambridge University Press, 1976], esp. chaps. 5,6.)**

ამრიგად, შესაძლებელია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების, ისე პოლიტიკურ პარტიებს შორის წონასწორობისა და თანასწორობის ცვლილებების თვალსაზრისით, ეს ოცდარვა წელი გავყოთ ორ გამორჩეულ პერიოდად.

მოკავშირეთა ოკუპაციის (the Allied Occupation) ექვსნახევარი წლის **(**მეორე მსოფლიო ომში იაპონიის დამარცხების შემდეგ, შეერთებული შტატები მოკავშირეებს ხელმძღვანელობდა იაპონიის სახელმწიფოს ოკუპაციასა (დასაქმებასა) და რეაბილიტაციაში. 1945-1952 წლებში (იაპონიის ოკუპაციის პერიოდი), აშშ-ს საოკუპაციო ძალებმა გენერალ დუგლას ა. მაკარტურის ხელმძღვანელობით გაატარეს ფართო სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმები.**)** და მას შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში, ქვეყანა ჯერ კიდევ ეკონომიკურად მყიფე, სოციალურად დაბნეული და პოლიტიკურად მოუწესრიგებელი იყო. მხოლოდ ამ პერიოდის ბოლოს გააცნობიერა მთავრობამ და ხალხმა ის, რომ ომის შემდგომი რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის უმძიმესი ნაწილი უკან მოიტოვა და რომ არსებობდა მომავალი, რომელსაც მოთმინებით დაელოდებოდა.

თუმცა მომდევნო თვრამეტი წლის განმავლობაში იაპონია სრულიად განსხვავებულ საზოგადოებად გადაიქცა. ის გახდა თვალსაჩინო და სულ უფრო აყვავებული, თავდაჯერებული და სტაბილური.

ომისშემდგომ იაპონიაში პოლიტიკური ცვლილებები იყო სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების მიზეზიც და შედეგიც. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს იყო კომპლექსური სოციალური დინამიკის ასპექტი, რომელიც ვითარდებოდა არაჩვეულებრივ შიდა და საერთაშორისო გარემოებების ერთობლიობაში, რომლის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები.

იაპონიის დამარცხებით 1945 წელს დასრულდა მეორე მსოფლიო ომი. ქვეყნის სამრეწველო ინფრასტრუქტურა (გერმანიისგან განსხვავებით, **- იხ. მონოგრაფია: ვ.ხ. „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“ [გერმანული მოდელი]. თბილისი, 2020. გვ. 64-65.)** სრულად განადგურდა.

დაბალი საწარმოო სიმძლავრებისა და სახელმწიფოს რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულმა მზარდი მოთხოვნის კომბინაციამ (შეხამებამ / შეთანაწყობამ) გამოიწვია ჰიპერინფლაცია. ჩინეთში მიმდინარე კომუნისტური რევოლუციის ფონზე (ჩინეთის კომუნისტური რევოლუცია იყო სოციალური რევოლუცია ჩინეთში, რომელიც დაიწყო 1927 წელს და დასრულდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (PRC) გამოცხადებით 1949 წელს. რევოლუციას ხელმძღვანელობდა ჩინეთის კომუნისტური პარტია (CCP), რომელიც შემდეგ გახდა მმართველი პარტია. რევოლუციამ გამოიწვია ძირითადი სოციალური ცვლილებები ჩინეთის შიგნით და მას სხვა ქვეყნებში რევოლუციური კომუნისტური მოძრაობების მოდელად უყურებდნენ.), აშშ-ს მხრიდან იაპონიის ოკუპაცია სადამსჯელო პოლიტიკიდან გადავიდა რეკონსტრუქციის მხარდაჭერის პოლიტიკაზე. 1949 წლის ბიუჯეტთან დაკავშრებული (საბიუჯეტო) რეკომენდაცია საყოველთაოდ არის ცნობილი როგორც „დოჯის ხაზი“ (დოჯის ხაზი ან დოჯის გეგმა: The Dodge Line / Dodge Plan იყო

ფინანსური და მონეტარული შეკუმშვის პოლიტიკა, შემუშავებული ამერიკელი ეკონომისტის ჯოზეფ დოჯის [ჯოზეფ მორელ დოჯი / Joseph Morrell Dodge (დ. 18 ნოემბერი, 1890 – გ. 2 დეკემბერი, 1964) იყო დეტროიტ ბანკის / the Detroit Bank თავმჯდომარე. მოგვიანებით იგი მუშაობდა ეკონომიკურ მრჩევლად გერმანიასა და იაპონიაში ომისშემდგომი ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამებისთვის, ხელმძღვანელობდა ამერიკულ დელეგაციას ავსტრიის მრჩეველთა კომისიაში და მუშაობდა პრეზიდენტი დუაიტ დ. ეიზენჰაუერის ბიუჯეტის ბიუროს დირექტორად.] მიერ იაპონიისთვის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინფლაციის აღმოსაფხვრელად. იგი გამოცხადდა 1949 წლის 7 მარტს. დოჯის ხაზი იყო ე. წ. საპირისპირო კურსის მთავარი ელემენტი - უფრო ფართო ცვლილება აშშ-ს ხელმძღვანელობით იაპონიის სამხედრო ოკუპაციის პოლიტიკაში იაპონიის დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციის საწყისი ეტაპიდან რემილიტარიზაციამდე და იაპონიის ეკონომიკურად გაძლიერება აღმოსავლეთ აზიაში ცივი ომის მზარდი დაძაბულობის საპასუხოდ.), რომელიც მიზნად ისახავდა ბიუჯეტის დაბალანსებას, გაცვლითი კურსის დაფიქსირებასა და ინფლაციის შემცირებას, თუმცა მან ასევე გამოიწვია ისეთი ტიპის რეცესია, რომელსაც ეწოდა „სტაბილიზაციის კრიზისი“ (a stabilization crisis).

ომისშემდგომი წლების მეორე ციკლი მჭიდროდ იყო დაკავშირებული კორეის ომის (1950-1953 წწ.) დაწყებასთან და მოიხსენიებოდა, როგორც „სპეციალური შესყიდვების ბუმი“ (ინგლ. The „Special Procurement Boom“, რომანიზებული: tokuju keiki - რაც აღნიშნავს სპეციალური შესყიდვებით გამოწვეულ ეკონომიკურ ბუმს, განსაკუთრებით ომის დროს.).

ფისკალურ 1953 წელს მკვეთრად გაიზარდა ბიუჯეტი და იმპორტის ტალღა / საიმპორტო ნაკადი, რაც განპირობებული იყო მკაცრი ამინდებით / ყინვებით გამოწვეული მოუსავლიანობით, რამაც თავის მხრივ გამოიწვია სავაჭრო დეფიციტი და

სავალუტო კრიზისი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბიუჯეტი უნდა შემცირებულიყო ფისკალურ 1954 წელს.

ომის შემდგომი მეორე ეკონომიკური ციკლის (the second postwar economic cycle) შემცირების / კლების ფაზას (The declining phase) ეწოდა "იოშიდა დეფლაცია" ("Yoshida deflation") პრემიერ-მინისტრის შიგერუ იოშიდას (შიგერუ იოშიდა (吉田茂, Yoshida Shigeru, დ. 22 სექტემბერი 1878 – გ. 20 ოქტომბერი, 1967) იყო იაპონელი დიპლომატი და პოლიტიკოსი, რომელიც მსახურობდა იაპონიის პრემიერ მინისტრად 1946 წლიდან 1947 წლამდე და 1948 წლიდან 1954 წლამდე. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ომისშემდგომი იაპონიის კურსის განსაზღვრაში შეერთებულ შტატებთან ძლიერი ურთიერთობების დამყარებით და ეკონომიკური აღდგენის გზით.) სახელის მიხედვით და მან თავის დაბალ ნიშნულს მიაღწია 1954 წლის ნოემბერში.

შემდეგი ბუმი, რომელიც იყო შემობრუნება, ცნობილია როგორც „რაოდენობრივი ბუმი" (ინგლ. The „Quantitative Boom", რომანიზებული: suryo keiki). ის შეპირობებული იყო ექსპორტის ზრდით გლობალური ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, და ფასების სტაბილიზაციით. ამ ბუმმა განაპირობა ეკონომიკური ექსპანსია (გაფართოება / გავრცელება), რომელიც გამოწვეული იყო კაპიტალის ინვესტიციებით 1956 წელს, ჩამოაყალიბა ომისშემდგომი მესამე ეკონომიკური ციკლის ექსპანსიური ფაზა.

ძლიერ ეკონომიკას ეწოდა „ჯიმუ ბუმი" (The „Jimmu Boom") ქვეყნის პირველი იმპერატორის სახელის მიხედვით (იმპერატორი ჯიმუს საიმპერატორო ტახტზე ასვლა ტრადიციულად თარიღდება ძვ.წ. 660 წ.), რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ის აღნიშნავდა პირველ, ნამდვილად ფართოდ გავრცელებულ კეთილდღეობას იაპონიის ისტორიაში. 1956 წლის ეკონომიკურ თეთრ წიგნში / ტექნიკურ დოკუმენტში (The 1956 Economic White Paper) არის ცნობილი ფრაზა: mohaya "sengo" dewa nai (it is no longer "postwar" / ეს აღარ არის "ომისშემდგომი"), რომელიც დეკლარირებს (საჯაროდ აცხადებს) რომ, აღდგენა-გაჯა-

ნსაღებაზე დაფუძნებული მოთხოვნის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური ზრდა დასრულდა, და შემდგომი ზრდა იქნება მოდერნიზაციით განპირობებული. თუმცა, ეს 31-თვიანი ეკონომიკური ექსპანსიის ეტაპი დასრულდა 1957 წლის ივნისში, მიაღწია რა "საერთაშორისო საგადამხდელო / საგადასახდელო ბალანსის ჭერს / ზედა ზღვარს" (the "ceiling on international balance of payments" (BOP)), რამდენადაც მან დაასრულა მზარდი შიდა მოთხოვნის ციკლი (a cycle of burgeoning domestic demand) → იმპორტის ზრდა (rising imports) → სავალუტო კრიზისი (currency crisis) → მონეტარული / ფულად-საკრედიტო გამკაცრება (monetary tightening) (დეფლაციური პოლიტიკა / deflationary policy). (ამის) შემდგომი რეცესია, სახელწოდებით "ღრმა [ძირითადი / ძირეული] რეცესია" (the "bottom-of-the-pot recession"), რადგან მოსალოდნელი იყო, რომ სტაგნაციური პირობები დიდხანს გაგრძელდებოდა, ფაქტობრივად დასრულდა კიდეც 12 თვის შემდეგ. **(https://www.jil.go.jp/english/lsj/general/2015-2016/1-1.pdf Labor Situation in Japan and Its Analysis: General Overview 2015/2016, Chapter I, Japanese Economy and Labor Situation. P. 2)**

სწრაფი ეკონომიკური ზრდის პერიოდი იხსენიება როგორც ომისშემდგომი „იაპონური ეკონომიკური სასწაული" (ინგლ.: The Japanese economic miracle / იაპონ. 高度経済成長, რომანიზებული: Kōdo keizai seichō), რომელიც დაიწყო მეოთხე ომისშემდგომი ეკონომიკური ციკლით (ინგლ. the fourth postwar economic cycle) 1958 წლის ივნისში დიდი აღმავლობით. მას ეწოდა „ივატო ანუ გამოქვაბულის ბუმი" (ინგლ. the „iwato or cave boom", რომანიზებული: iwato keiki). ივატო ეხება ეპიზოდს იაპონური მითოლოგიიდან, რასაც ადგილი ჰქონდა პირველი იმპერატორის ტახტზე ასვლამდე, და მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ იაპონიამ არასოდეს უწყოდა მსგავსი ბუმი, ჯიმუ ბუმის წლებშიც კი.

ის თავდაპირველად გამოწვეული იყო სწრაფი ეკონომიკური აღდგენით შეერთებულ შტატებში, მაგრამ ახასიათებდა შიდა

მოხმარების ბუმი იაპონიაში. რაც ხასიათდებოდა ე.წ. „სამი წმინდა საგანძურის“ (“three sacred treasures”) (შავ-თეთრი ტელევიზორი, სარეცხი მანქანა, მაცივარი) მოპოვებისთვის ჩქაროსნული სრბოლით. 1960 წლის დეკემბერში მესამე გრძელვადიანი ეკონომიკური გეგმა, რომელიც ცნობილია როგორც „ეროვნული შემოსავლების გაორმაგების გეგმა“ (the National Income Doubling Plan) და ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი მომდევნო წლებში პროგნოზირებული იყო 7.2% -ის ფარგლებში (სინამდვილეში აღმოჩნდა 10.0%). „ივატო ბუმმა“ პიკს მიაღწია 1961 წლის შემოდგომას, მონეტარული გამკაცრების შედეგად, კვლავ „საერთაშორისო საგადამხდელო ბალანსის ჭერის / ზედა ზღვრის” მიღწევით. 1959 წელს ტოკიო აირჩიეს 1964 წლის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქად. მონეტარული სიმკაცრე შემსუბუქდა მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკური აღმავლობის გამო ევროპასა და აშშ-ში, ხოლო იაპონიაში ბუმი არსებობდა კერძო სექტორის მშენებლობაში სხვადასხვა მასშტაბის პროექტებით, რომლებიც დროულად უნდა დასრულებულიყო ოლიმპიური თამაშებისთვის: შინკანსენის (the Shinkansen) სწრაფი / მაღალსიჩქარიანი სარკინიგზო ხაზი, ჩქაროსნული გზები, მაღალსართულიანი შენობები.

მეხუთე ომისშემდგომი ეკონომიკური ციკლის ექსპანსიურ ფაზას, რომელსაც ეწოდა „ოლიმპიური ბუმი“ (The „Olympic Boom“), დაიწყო 1962 წლის ოქტომბერში. მონეტარული გამკაცრება, საერთაშორისო საგადამხდელო ბალანსის გაუარესების საპასუხოდ, ამოქმედდა 1963 წლის ბოლოს, და გაუქმდა 1964 წელს. დაახლოებით 1960 წლიდან მოყოლებული, ვაჭრობის ლიბერალიზაცია პროგრესირებდა იაპონიაში, ხოლო 1963 წელს იაპონიამ მოიპოვა GATT-ის (ინგლ.: General Agreement on Tariffs and Trade / გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ) სახელმწიფოთა მუხლი XI -ის სტატუსი (ქვეყნები, რომლებსაც არ შეუძლიათ შეზღუდონ იმპორტი საერთაშორისო საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის საფუძველზე).

1964 წლის სექტემბერს, ტოკიოში გაიმართა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსოფლიო კონგრესი (the IMF World Congress), სადაც იაპონია გახდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ, ინგლ. International Monetary Fund – IMF) VIII მუხლის (Article VIII) მიხედვით მოქმედი ერთ-ერთი ქვეყანა (ქვეყნები, რომლებიც არ ახორციელებენ სავალუტო კონტროლს საერთაშორისო საგადამხდელო ბალანსის მიზეზების გამო). იაპონია უკვე 1964 წლის გაზაფხულზე შეუერთდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას (ეთგო, ინგლ. Organisation for Economic Co-operation and Development – OECD).

ზრდის ეს ფაზა დასრულდა შიდა ფაქტორებით, პირველ რიგში კაპიტალის ინვესტიციების / კაპიტალ-დაბანდებათა ციკლით, თუმცა ასევე მოხმარების სტაგნაციით (შენელებით) და სამშენებლო-ინდუსტრიის (აქტივობათა / ტემპების) შემცირებით, რაც წინ უსწრებდა პრეოლიმპიურ სამშენებლო ბუმს. 1964 წლის ოქტომბრიდან დაწყებულ 12 თვიან რეცესიას (ეკონომიკის / მშპ-ს მკვეთრ კლებას) მოჰყვა /თან სდევდა ძირითადი კორპორატიული ჩავარდნები, როგორიცაა Yamaichi Securities (გაკოტრება), რომელიც მოიხსენიება როგორც „ფასიანი ქაღალდების რეცესია“ (ინგლ. “securities recession”) ან “სტრუქტურული რეცესია” (ინგლ. “structural recession”). მძიმე ვარდნის მოსაგვარებლად, 1965 ფისკალურ / ფინანსურ წელს სუპლემეტარულ (დამატებით) ბიუჯეტში მთავრობამ გამოუშვა პირველი დეფიციტის დაფინანსების / აღმოფხვრის სახელმწიფო ობლიგაციები (the first deficit-financing government bonds) საჯარო ფინანსების შესახებ კანონის (the Public Finance Law) ამოქმედების შემდეგ, ხოლო ფისკალური 1966 წლიდან შემდგომ ბიუჯეტებში წინდაწინ მიიღო ზომები სამშენებლო ობლიგაციების გამოშვებისა და გადასახადების შემცირების შესახებ (slashing taxes). ამ ეკონომიკური ზომებისა და ექსპორტის ზრდის წყალობით, ეკონომიკამ თავი დააღწია არსებულ მდგომარეობას (ანუ, ეკონომიკური ვარდნის ბოლოს მან მიაღ-

წია ყველაზე დაბალ ნიშნულს / წერტილს მუდმივად ცვალებად დონეზე და იწყო შემობრუნება).

1965 წლის ოქტომბერში დაიწყო ძალიან გრძელი, 57 თვიანი დროის ხანგრძლივობით მეექვსე ციკლი. ზრდის ფაზას სახელად ეწოდა „იზანაგი ბუმი“ (ინგლ. The „Izanagi Boom“). იზანაგი არის იაპონური მითოლოგიის ერთ-ერთი უძველესი ღვთაება და სახელი გულისხმობდა უპრეცედენტო ეკონომიკურ ბუმს თუნდაც ივატოს ეპოქასთან მიმართებით.

აღდგა და განახლდა კაპიტალ-დაბანდებათა აქტივობები, და გაიზარდა ექსპორტი, საბინაო ინვესტიციები, და მოთხოვნა ფართო სასაქონლო ასორტიმენტზე. პერსონალური (პირადი) მოხმარების დამახასიათებელი ნიშანი იყო „ახალი სამი წმინდა საგანძური“ (ინგლ. the “new three sacred treasures”, “3 C’s”): ავტომობილი, ფერადი ტელევიზორი და კონდიციონერი. ვიეტნამში აშშ-ს სრულმასშტაბიანმა ჩართულობამ მოიტანა არაპირდაპირი მოთხოვნა „სპეციალურ შესყიდვებზე“ („ special procurements“) იაპონიაში და დაახლოებით 1968 წლისთვის ქვეყანამ დაიწყო თანმიმდევრული პროფიციტული საერთაშორისო საგადამხდელო / სავაჭრო ბალანსის ჩვენება, მაშინ როდესაც აშშ აღმოჩნდა დიდი სავაჭრო დეფიციტის მდგომარეობაში. 1969 წელს დაიწყო იაპონია-აშშ ტექსტილის (საფეიქრო მრეწველობის შესახებ არსებული) მოლაპარაკებები. მონეტარული გამკაცრება განხორციელდა ხელფასებისა და ფასების ზრდის ფონზე და „იზანაგი ბუმმა“ („Izanagi Boom“) თავის პიკს მიაღწია 1970 წლის ივლისში, როდესაც მსოფლიო გამოფენა (the World’s Fair) მიმდინარეობდა ოსაკაში (Osaka). **(https://www.jil.go.jp/english/lsj/general/2015-2016/1-1.pdf Labor Situation in Japan and Its Analysis: General Overview 2015/2016, Chapter I, Japanese Economy and Labor Situation. P 3)**

1971 წლის აგვისტოში აშშ-ს პრეზიდენტმა, რიჩარდ ნიქსონმა გააკეთა საგანგებო განცხადება ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ, აშშ დოლარის ოქროში პირდაპირი კონვერტირების ცალმხრივად გაუქმების ჩათვლით, რამაც გლობალურ ეკო-

ნომიკურ სამყაროში დაბნეულობა გამოიწვია, და რომელიც ცნობილი გახდა როგორც ნიქსონის შოკი (Nixon Shock). დეკემბერში სმიტსონიანის შეთანხმებამ (the Smithsonian Agreement) შეცვალა დოლარი-იენის გაცვლითი კურსი 360 იენიდან 308 იენამდე ერთ დოლართან, და იმავე თვეში იაპონიის ეკონომიკა (ეკონომიკური აქტივობა და პოტენციალი) მკვეთრად დაეცა. **(Ibid. P.3)**

მეშვიდე ციკლის განმავლობაში ეკონომიკა აღდგა / დაბრუნდა დიდი ეროვნული ბიუჯეტით ფისკალური 1972 წლისთვის. იმავე წლის ივლისში მუშაობას შეუდგა პრემიერ მინისტრი კაკუეი ტანაკას კაბინეტი (Kakuei Tanaka's Cabinet), რომელიც მხარს უჭერდა იაპონიის არქიპელაგის რეკონსტრუქციას ("reconstructing the Japanese archipelago", რომანიზებული: Nihon retto kaizoron), რომლის პოტენციალმაც გამოიწვია მიწის ღირებულების, აქციების ფასების, სამომხმარებლო ფასებისა და ხელფასების ზრდის ბუმი. **(Ibid. P.3)**

წყნარი ოკეანის გადაღმა, აშშ-ს სავაჭრო დეფიციტი გაგრძელდა და 1973 წელს ვალუტები ერთი მეორის მიყოლებით გადავიდა მცურავი გაცვლითი კურსის სისტემაზე, რამაც გამოიწვია "ჭარბი ლიკვიდობა''. იყო გლობალური შეფერხება მოსავლის მიწოდებაში. და ფისკალურ 1973 წელს იაპონიამ მიიღო კიდევ ერთი დიდი ბიუჯეტი „არქიპელაგის რეკონსტრუქციის" ("reconstruction of the archipelago") დასაფინანსებლად, რამაც განაპირობა ინფლაცია. **(Ibid. P.3 - 4)**

ახლო აღმოსავლეთში (In the Middle East), იომ კიპურის ომის (the Yom Kippur War) დაწყებამ ისრაელსა და არაბული სახელმწიფოების კოალიციას შორის, 1973 წლის ოქტომბერში გამოიწვია პირველი ნავთობის კრიზისი, როგორც კი ნავთობის მწარმოებელმა სახელმწიფოებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს ნავთობის ფასი, და მას შემდეგ რაც მან მიაღწია მაღალ მაჩვენებელს ნოემბერში, იაპონური "ეკონომიკური სასწაულის'' ერა (the Japanese "economic miracle" era) ბოლოს და ბოლოს დასასრულს მიუახლოვდა. **(Ibid. P.4)**

მთელი ამ სწრაფი ეკონომიკური ზრდის პერიოდში, საშუალო წლიური ზრდის ტემპმა 9.4% შეადგინა, ხოლო მთლიანი უმუშევრობის დონე 1%-დან 2%-მდე დარჩა 1960 წლიდან მოყოლებული, მაშინ როდესაც ეკონომიკური დუალიზმის გამო უთანასწორობა ძირითად თანამედროვე კორპორაციებსა და პრე-მოდერნულ ეკონომიკურ სექტორებს შორის შერბილდა. ამავდროულად, „ეკონომიკურმა სასწაულმა“ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა საზოგადოებას, გარემოს დაბინძურების გაუარესების სახით და რეგიონული უთანასწორობის კუთხით, რომელიც აღინიშნა ურბანული გადატვირთულობითა / ჭარბმოსახლეობით და სოფლის დეპოპულაციით (მოსახლეობის შემცირებით, კლებით). **(https://www.jil.go.jp/english/lsj/general/2015-2016/1-1.pdf Labor Situation in Japan and Its Analysis: General Overview 2015/2016, Chapter I, Japanese Economy and Labor Situation. P.4)**

თავი 1.
ომისშედგომი იაპონიის პოლიტიკური მდგომარეობა და პარტიული კონიუნქტურა

§1 პოლიტიკური სტრუქტურა და პარტიული დინამიზმი

იაპონიის პოლიტიკა 1955-1973 წლებში იყო გარკვეულწილად პარადოქსული. ერთი მხრივ, ეს პერიოდი ხასიათდებოდა განმეორებითი და ხშირად ძალადობრივი დაპირისპირებით კონსერვატიულ მთავრობებსა და ოპოზიციურ პარტიებს შორის, როგორც პარლამენტის დარბაზებში, ასევე მის გარეთ, ხოლო მეორე მხრივ, ეს იყო გაერთიანებული კონსერვატორების მიერ პარტიული დომინირების სტაბილური და ერთი შეხედვით დაუსრულებელი პერიოდი.

1947 წელს მიღებული ახალი საკონსტიტუციო სტრუქტურის მიხედვით, პარტიის სიძლიერე პარლამენტში (იაპონ. 国会, რომანიზებული: Kokkai, ინგლ. The National Diet / parliament. ეროვნული საკანონმდებლო ორგანო [ნაციონალური სეიმი] / პარლამენტი.) განსაზღვრავდა მის როლს ეროვნულ პოლიტიკაში. თეორიულად, პარტია, რომელიც აკონტროლებდა ადგილების სულ მცირე ორ მესამედს, როგორც წარმომადგენელთა პალატაში (the House of Representatives), ასევე მრჩეველთა პალატაში (the House of Councilors), შეეძლო გამხდარიყო ჰეგემონური პარტია, რომელსაც შეეძლო მოეხდიანა ცვლილებების ინიცირება კონსტიტუციაში და ამგვარად, შეეცვალა წესები, რომლითაც ტარდებოდა პოლიტიკა. თუმცა, პრაქტიკაში, ომისშემდგომ პერიოდში ვერცერთი პარტია ვერ აღწევდა ასეთ მდგომარეობას. მეორე მხრივ, თუ პარტია მიაღწევდა უმრავლესობის პარტიის პოზიციას, რომელიც გააკონტროლებდა მანდატების ნახევარზე მეტს წარმომადგენელთა პა-

ლატაში, მას შეეძლო დაენიშნა პრემიერ მინისტრად თავისი შერჩეული კანდიდატი. ხოლო თუ ის გააკონტროლებდა უმრავლესობას ორივე პალატაში, მას შეეძლო მიეღო ნებისმიერი კანონი, რომლის განსახილველად წარდგენასაც ისურვებდა ის პარლამენტში. 1950-იანი წლების შუა პერიოდამდე მხოლოდ დემოკრატიულმა ლიბერალურმა პარტიამ (the Democratic Liberal Party) (და მისმა მემკვიდრემ, ლიბერალურმა პარტიამ the Liberal Party) მიაღწია აშკარა უმრავლესობას და მხოლოდ ქვედა პალატაში (the lower house) (1949 წლიდან 1953 წლამდე).

ოპოზიციის მდგომარეობა უფრო კომპლექსური (რთული) იყო. ახალი კონსტიტუციისა და 1947 წლის პარლამენტის კანონის მიხედვით, რომელიც შესწორდა 1955 წლის იანვარში, არსებობდა ოთხი შესაძლო როლი, რომელიც შეიძლება ეთამაშა ოპოზიციურ პარტიას. პირველ რიგში, პარტიას, რომელიც (გა) აკონტროლებდა ადგილების (ერთ)მესამედზე მეტს, მაგრამ ნახევარზე ნაკლებს ორივე პალატაში, შეეძლო უარი ეთქვა ამ პალატის საქმიანი ტრანზაქციის (საქმიანობის წარმართვის, გარიგების) უფლებაზე და შეძლებდა ხელი შეეშალა საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირებისთვის (წინ წამოწევისთვის, დღის წესრიგში დასაყენებლად და შემოღებისთვის). ამ ტიპის პარტიას შეიძლება ეწოდოს *ვეტო პარტია (a veto party)*. მეორე რიგში, პარტიას, რომელსაც შეეძლო მიეღო წარმომადგენელთა პალატაში სულმცირე ორმოცდაათი ადგილი, მაგრამ ერთ მესამედზე ნაკლები, შეეძლო წარედგინა კანონპროექტი, რომელიც გავლენას მოახდენდა ბიუჯეტზე (ბიუჯეტზე გავლენის მომხდენი კანონპროექტი) ან შუამდგომლობა ამ კანონპროექტის შესწორების შესახებ. ამ ტიპის პარტიას შეიძლება ეწოდოს *მნიშვნელოვანი ოპოზიციური პარტია (an important opposition party)*, მაგრამ მას არ შეეძლო ხელისუფლების დამოუკიდებლად ჩამოყალიბების იმედი ჰქონოდა. მესამე რიგში, პარტიას, რომელსაც ორმოცდაათზე ნაკლები, მაგრამ ოცზე მეტი ადგილი ექნებოდა წარმომადგენელთა პალატაში, შეეძლო წარედგინა ჩვეულებრივი კანონპროექტი, რომელიც

არ მოახდენდა ზემოქმედებას ბიუჯეტზე ან ამ კანონპროექტის შესწორების შუამდგომლობა და მას შეიძლება ეწოდოს *მცირე ოპოზიციური პარტია* (*a minor opposition party)* და ბოლოს, ქვედა პალატაში ოცზე ნაკლები მანდატის მქონე პარტია შეიძლება მიჩნეულიყო *მარგინალურ ოპოზიციურ პარტიად (a marginal opposition party).*

1955 წლის დასაწყისში პარლამენტში არ იყო უმრავლესობის პარტია (a majority party). არსებობდა მხოლოდ კონსერვატიული ვეტო პარტია (a conservative veto party) (დემოკრატიული პარტია / the Democratic Party), ერთი კონსერვატიული პარტია (conservative party) და ორი მემარცხენე მცირე ოპოზიციური პარტია (left-wing minor opposition parties) (ლიბერალები და მემარჯვენე და მემარცხენე სოციალისტები / the Liberals and the Right and Left Socialists) და კონსერვატიული და მემარცხენე (ფრთის) წევრების მარგინალური ჯგუფი (a marginal group of conservative and left-wing members). პარლამენტის ეს კონფიგურაცია მოასწავებდა პოტენციური პოლიტიკური არასტაბილურობის პერიოდს. 1955 წლის ოქტომბერში სოციალისტების რეუნიფიკაციამ (ხელახლა გაერთიანებამ) და მომდევნო თვეში ორი კონსერვატიული პარტიის ლიბერალ-დემოკრატიულ პარტიაში (the Liberal Democratic Party) გაერთიანებამ (შერწყმამ / შთანთქმამ) რადიკალურად შეცვალა ეს სიტუაცია. მან შექმნა ის, რასაც ბევრი დამკვირვებელი თავდაპირველად უწოდებდა ორპარტიულ სისტემას (a two-party system), შემდეგ კი ერთნახევარპარტიულ სისტემას (a one-and-a-half-party system)

იმ დროისთვის, როდესაც ეს პერიოდი დასრულდა 1970-იანი წლების პირველი "ნავთობის კრიზისის" (the first "oil crisis") შემდეგ, დაინიშნა წარმომადგენელთა პალატის ექვსი საყოველთაო არჩევნები (six House of Representatives general elections). თითოეულ მათგანში ლიბერალ-დემოკრატიულმა პარტიამ (გარომანულებული/რომანიზებული: Jiyū minshutō. ინგლ. LDP/ the Liberal Democratic Party) მოიპოვა უმრავლესობის პარტი-

ული სტატუსი (majority-party status), რითაც ჩამოაყალიბა საკმაოდ სტაბილური მთავრობა.

ოპოზიციის მხარეს, სოციალისტები (the Socialists) კიდევ ერთხელ გაიყვნენ 1959 წლის ბოლოს, მემარჯვენეებმა (the right wing / მემარჯვენე ფრთამ) ჩამოაყალიბეს ცალკე პარტია, დემოკრატიული სოციალისტური პარტია (გარომანულებული/რომანიზებული: Minshu shakaitō, შემდგომ Minshatō, ინგლ. DSP/the Democratic Socialist Party). ამას მოჰყვა ახალი პარტიის გამოჩენა, რომელიც ასოცირდებოდა (იყო დაკავშირებული) ბუდისტურ საერო ორგანიზაციასთან (a Buddhist lay organization) Sōkagakkai-სთან. თავდაპირველად სუფთა (პატიოსანი / გამჭვირვალე) მთავრობის / მმართველობის ლიგად (the Clean Government League / Kōmei seiji renmei) წოდებულ პარტიას გადაერქვა სახელწოდება სუფთა მთავრობის / მმართველობის პარტიად (the Clean Government Party / Kōmeitō: CGP) 1964 წლის ნოემბერში. ამ ორი პარტიის გაჩენამ კიდევ უფრო დაარღვია და დაასუსტა ქრონიკულად გაყოფილი ოპოზიცია.

ამ პერიოდის დასაწყისში ოპოზიცია შედგებოდა მხოლოდ ორი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პარტიისგან: გაერთიანებული იაპონიის სოციალისტური პარტია (Nihon shakaitō: JSP/ the united Japan Socialist Party), ვეტო-პარტიის სტატუსით და კომუნისტები (the Communists), მარგინალური ოპოზიციური ძალით. DSP-ის (ინგლ. The Democratic Socialist Party, იაპონ. 民主社会党, რომანიზებული: Minshu Shakai-tō, შემოკლებით 民社党, Minshatō) ამბოხმა მშობელი JSP (ინგლ. The Japan Socialist Party, იაპონ. 日本社会党, რომანიზებული: Nihon Shakai-tō) შეამცირა მნიშვნელოვან ოპოზიციურ პარტიულ დონემდე, გარდა 1967 წლისა, როდესაც მან მოახერხა ვეტოს პარტიული პოზიციის აღდგენა. CGP-ის (ინგლ. The Clean Government Party, ასევე ცნობილია როგორც the Kōmei Party, იაპონ. 公明党, რომანიზებული: Kōmeitō) დამატებამ / შემოერთებამ არ იმოქმედა JSP-ის რელატიურ (შედარებით) პოზიციაზე ისე პირდაპირ, როგორც

(მისგან) DSP-ის დეფექციამ (მიტოვებამ / გარიყვამ; გაქცევამ.), არც LDP-სთან (ინგლ. The Liberal Democratic Party, იაპონ. 自由民主党, რომანიზებული: Jiyū-Minshutō, ხშირად შემოკლებით LDP ან Jimintō (自民党)) და არც ოპოზიციურ პარტიებთან მიმართებაში. თუმცა, ამან ხელი შეუწყო ოპოზიციის მთლიანი ძალაუფლების ოთხ სხვადასხვა პარტიას შორის განაწილებას ვირტუალურ ჩიხში და, შესაბამისად, არაეფექტური ძალაუფლებაში მყოფი პარტიის წინააღმდეგ. CGP-ს ჰქონდა მცირე ოპოზიციური პარტიის სტატუსი იმ პერიოდის ბოლო სამ საყოველთაო არჩევნებში, რომელშიც ის მონაწილეობდა, ხოლო როდესაც 1960 წელს, DSP დაიწყო მარგინალურ-ოპოზიციური პოზიციით, 1967 წელს გადავიდა მცირე ოპოზიციის სტატუსზე, მაგრამ 1972 წელს კვლავ დაბრუნდა მარგინალურ / ზღვრულ პოზიციაზე. JCP (ინგლ. The Japanese Communist Party, იაპონ. 日本共産党, რომანიზებული: Nihon Kyōsan-tō) რჩებოდა მარგინალურ-ოპოზიციურ პოზიციაზე მთელი პერიოდის განმავლობაში, გარდა 1972 წლისა, როდესაც მან ეს სტატუსი გაცვალა DSP-თან და 1949 წლის შემდეგ პირველად ავიდა მცირე ოპოზიციის დონემდე.

პირველი LDP მთავრობამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჰატოიამა იჩირო (Hatoyama Ichiro), იარსება მხოლოდ ერთი წელი, 1955 წლის ნოემბრიდან 1956 წლის დეკემბრამდე. მან გამოიწვია ძლიერი და მუდმივი / უწყვეტი წინააღმდეგობა მისი ზოგიერთი ძირითადი საგარეო და საშინაო პოლიტიკის მიმართულებით. მაგალითად, საბჭოთა კავშირთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების მის მცდელობებს ეწინააღმდეგებოდა ბევრი LDP პოლიტიკოსი და საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირი. მოლაპარაკებები დასრულდა 1956 წლის ოქტომბერში ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალიზების ერთობლივი დეკლარაციის გამოცემით და არა ოფიციალური სამშვიდობო ხელშეკრულებით. **(იაპონურ-საბჭოთა მოლაპარაკებებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ იაპონიის მთავრობაში**

იხ. Donald C. Hellmann, *Japanese Foreign Policy and Domestic Politics: The Peace Agreement with the Soviet Union.* Berkeley and Los Angeles: University of California Press, 1969.) ჰატოიამას შიდა საკანონმდებლო პროგრამა კიდევ უფრო მძაფრ წინააღმდეგობას შეხვდა სოციალისტებისა (the Socialists) და კომუნისტების (the Communists) მხრიდან. არსებული მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების ერთმანდატიანი ოლქებით შეცვლის შესახებ კანონპროექტი ოპოზიციამ უარყო. რამდენიმე სხვა კანონპროექტი, (ისეთი) როგორიცაა თავდაცვის საგენტოს (the Defense Agency) შექმნისა და თავდაცვის ძალების კანონების (the Self-Defense Forces laws) ცვლილება, 1947 წლის კონსტიტუციის შესაძლო რევიზიის (გადასინჯვის) მიზნით საკონსტიტუციო კომიტეტის (the Committee on the Constitution) დაარსებასა და არჩეული განათლების ადგილობრივი საბჭოების დანიშვნას შეხვდა წინააღმდეგობა და იქცა კანონად, თუმცა მხოლოდ ოპოზიციასთან სასტიკი და გაჭიანურებული ბრძოლის შემდეგ.

LDP-ის მთავრობასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის დაპირისპირება გამძაფრდა ჰატოიამას მემკვიდრის, კიში ნობუსუკეს (Kishi Nobusuke), ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ყოფილი ბიუროკრატისა და ომის დროს ტოჯოს კაბინეტის (the Tojo cabinet) წევრის ადმინისტრაციის დროს. 1957-1960 წლებში პარლამენტში დებატები ხშირად წყდებოდა არეულობით, უწესრიგობის გამო და რასაც ხშირად თან ახლდა ძალადობა სხდომათა დარბაზებში. საქმე ეხებოდა კანონპროექტების განხილვას, რომელიც ითვალისწინებდა სკოლის მასწავლებლების მუშაობის პერიოდულ შეფასებას, პოლიციელების უფლებამოსილების გაფართოებას და თავდაცვის საგენტოსა (the Defense Agency) და თავდაცვის ძალების (Self-Defense Forces) კომპეტენციის (სფეროთა / ფარგლების) გაფართოებას. ამ საკითხებზე მწვავე ბრძოლების / კამათის შემდეგ, დაპირისპირების აქცენტმა გადაინაცვლა 1951 წლის შეერთებული შტატები-იაპონიის ორმხრივი უსაფრთხოების ხელშეკ-

რულების (United States-Japan Mutual Security Treaty) შემოთავაზებულ რევიზიაზე. კიშის მთავრობამ (The Kishi government) მიაღწია რევიზიონირებული (გადასინჯული / შესწორებული) ხელშეკრულების რატიფიცირებას 1960 წლის მაისში, თუმცა მას შემდეგ, რაც მასობრივმა საპროტესტო აქციებმა / მიტინგებმა და დემონსტრაციებმა იმსხვერპლა კოლეჯის სტუდენტი გოგოს სიცოცხლე და გამოიწვია პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის (President Dwight D. Eisenhower) დაგეგმილი ოფიციალური ვიზიტის გაუქმება. **(იხ. Packard, George R., HI. *Protest in Tokyo: The Security Crisis of 1960.* Princeton, N.J.: Princeton University Press, 1966.*)*** კიში და მისი კაბინეტი გადადგნენ არეულობის შემდეგ, ხოლო JSP-ის ლიდერი ასანუმა ინეჯირო (Asanuma Inejiro) მოკლეს რამდენიმე თვის შემდეგ.

მას შემდეგ რაც მოხდა უსაფრთხოების ახალი ხელშეკრულების რატიფიცირება, ახალი პრემიერ-მინისტრის, იკედა ჰაიატოს (Ikeda Hayato) დანიშვნის შემდეგ, სიმშვიდე და ნორმალური მდგომარეობა დაუბრუნდა პარლამენტის დარბაზებსა და ტოკიოს ქუჩებს, დიდწილად იკედას მიერ საკამათო საკითხების განზრახ აცილების წყალობით. 1962 წლის ბოლოს თავდაცვის ძალების მიერ „მიწა-ჰაერი“ რაკეტების (SAMs) აკვიზიციამ (შეძენამ) და აშშ-ის ატომური წყალქვეშა ნავის იაპონიის პორტში მიღების გეგმის გამოცხადებამ შექმნა გარკვეული საფრთხე, მაგრამ არ გამოიწვია ძალადობრივი პროტესტის მორიგი ტალღა.

იკედას მთავრობის საშინაო პოლიტიკის პროგრამა ასევე არ იყო საკამათო. იგი აიგო ფართოდ ცნობილი „შემოსავლის გაორმაგების“ პოლიტიკის („income-doubling“ policy) ირგვლივ, რომელიც ითვალისწინებდა მთლიანი ეროვნული პროდუქტის გაორმაგებას ერთ სულ მოსახლეზე (per person) ათ წელიწადში. ეს აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკა, რომელიც ოდესმე შემოთავაზებული იყო LDP მთავრობის მიერ. 1963 და 1964 წლებში ინფლაციის საფრთხემ საზოგადოების ფართო შეშფოთება გამოიწვია; ქრონიკულმა დეპრესიამ გა-

მოიწვია ქვეყნის მთავარი ქვანახშირის მაღაროების დახურვა; ხოლო ოკუპაციის მიწის რეფორმის შედეგად მიყენებული ზარალისთვის ყოფილი მემამულეებისთვის კომპენსაციის გადახდამ გამოიწვია გარკვეული წინააღმდეგობა პარლამენტს შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. თუმცა არცერთს არ მოჰყოლია ისეთი კონფრონტაცია (წინააღმდეგობა / დაპირისპირება), როგორიც იყო ჰატოიამასა და კიშის მთავრობების / მმართველობის დროს. საკონსტიტუციო კომისიის საბოლოო დასკვნას / ანგარიშს 1964 წლის შუა ხანებში მშვიდად დაემორჩილა კაბინეტი და აღნიშნული დასკვნა კაბინეტის მიერვე ასევე მშვიდად იქნა მიღებული.

პოლიტიკური სიმშვიდე დაირღვა იკედას სამსახურიდან წასვლის შემდეგ, 1964 წლის ნოემბერში. LDP-ის ახალი მთავრობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა კიშის უმცროსი ძმა, სატო ეისაკუ (Sato Eisaku), დარჩა ხელისუფლებაში მომდევნო შვიდნახევარი წლის განმავლობაში. თუმცა, მისი ადმინისტრაცია ოპოზიციასთან საკანონმდებლო და იდეოლოგიური ბატალიების (ბრძოლების) სერიამ შეძრა. განსაკუთრებით საკამათო იყო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO, the International Labor Organization) ოთხმოცდამეშვიდე კონვენციის რატიფიცირება, ნორმალიზაციის ხელშეკრულება კორეის რესპუბლიკასთან (the normalization treaty with the Republic of Korea), ტოკიო-ვაშინგტონის მოლაპარაკებები (the Tokyo-Washington negotiations) ოკინავას (Okinawa) იაპონიის ადმინისტრაციაში (მმართველობაში) დაბრუნებისა და იაპონური სინთეთიკური და შალის ქსოვილების ექსპორტის შესახებ შეერთებულ შტატებში, იაპონიის მონაწილეობა / ჩართულობა ინდოჩინეთის ომში, გაფიცვები და უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ შენობებისა და საუნივერსიტეტო კამპუსების ოკუპაცია (დაკავება) და სამრეწველო დაბინძურების გავრცელება. **(სატოს ხელისუფლების [Satō government] პერიოდში პოლიტიკის შესახებ იხ. Watanabe Akio, „Dai 61-dai: Dai 1-ji Satō naikaku: 'Kan'yō to nintai' kara 'kan'yo to chōwa' e" "Dai**

62-dai: Dai 2-ji Satō naikaku: Jujitsu shita 3-nen kan" and "Dai 63-dai: Dai 3-ji Satō naikaku: Gekidō no 70-nendai e no hashi watashi". In Nihon naikakushi roku, vol. 6, pp. 101-211; ed. Shigeru, Hayashi. Tokyo: Daiichi hōki, 1981. Kusuda Minoru, *Shushō hishokan* . Tokyo: Bungei shun-jūsha, 1975. Miyazaki Yoshimasa, *Saishō: Satō Eisaku.* Tokyo: Hara shobō, 1980) მთავრობამ მოიგო ფაქტობრივად ყველა ძირითადი ბრძოლა, მაგრამ სატოს ხშირად ქედმაღლურად, ზოგჯერ კი მზაკვრულად, კულისებს მიღმა საკამათო საკითხების განხილვა-გადაწყვეტამ, ის საბოლოოდ დააშორა და დაუპირისპირა არა მხოლოდ ოპოზიციურ პარტიებს, არამედ LDP-ში, ბიუროკრატიასა და გავლენიან ბიზნეს-ჯგუფებს.

იკედას შედარებით მოკლე მმართველობის გარდა, ამ პერიოდს ახასიათებდა პოლიტიკური დაპირისპირება და დაძაბულობა, რომლის დროსაც LDP მთავრობები და მათი პოლიტიკა აწყდებოდა სტაბილურ და ხშირად სასტიკ პარტიზანულ და საზოგადოებრივ თავდასხმებს. პარადოქსულია, მაგრამ ეს იყო ასევე დიდი სტაბილურობის პერიოდი პარლამენტის არჩევნების შედეგების თვალსაზრისით. ამ პარადოქსის გასაღები არის მასობრივი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილება ამ თვრამეტი წლის განმავლობაში.

ცხოვრების მატერიალური პირობებით კმაყოფილება გადიოდა პარტიულ, თაობათა და პროფესიულ საზღვრებზე. ამ პერიოდის (მე-20-ე საუკუნის 60 -იანი წლების დასასრულს) ბოლოს LDP-ის მომხრეთა 80%, PSP-ისა და DSP-ის 75%, PPP-ის 70% და CPI-ის მხარდამჭერების 65% კმაყოფილი იყო მათი მიმდინარე ცხოვრების პირობებით. **(Kazama Daiji "Chūnensō no shijiseitōbetsu seikatsu ishiki", in Nihonjin kenkyū , no. 2 (Tokushū: shiji seitobetsō Nihonjin shūdan), ed. Nihonjin kenkyūkai. Tokyo: Shiseidō, 1975. p. 146.)** ამრიგად, ეკონომიკური საკითხები ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო როგორც საერთო ამომრჩეველისთვის, ასევე პოლიტიკური პარტიებისთვის. კეთილდღეობამ და სიმდიდრემ, რომელიც წარმო-

დგენილია საოჯახო (საყოფაცხოვრებო / შინამეურნეობების) დანაზოგების სწრაფი ზრდით, იაპონელები მნიშვნელოვნად უფრო კონსერვატიულები (ძველის / ტრადიციულის დამცველები) გახადა 1960-იან და 1970-იანი წლების დასაწყისში, ვიდრე ისინი იყვნენ ოკუპაციის დროს და ადრეულ პოსტოკუპაციის პერიოდში. **(Mita Munesuke, *Gendai Nihon no shinjō to ronri* . Tokyo: Chikuma shobō, 1971, p. 139)**

1960 წლის გამოკითხვაში, როდესაც რესპონდენტებს სთხოვეს, რომ დაესახელებინათ ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი, ტოკიოში ორჯერ მეტმა რესპონდენტმა დაასახელა მშვიდობა, ვიდრე მათ, ვინც დაასახელა საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა, ხოლო ეს უკანასკნელი ორჯერ აღემატებოდა მათ, ვინც სხვა მიზანს ასახელებდა. **(Shinohara, Hajime. Gendai Nihon no bunka henyō: Sono seijigakuteki kōsatsu. Tokyo: Renga shobō, 1971, p. 72.)** ჰიტაჩიოტაში (Hitachiota), სოფლად მცხოვრები რესპონდენტებიდან მხოლოდ ოდნავ ნაკლებმა ახსენა მშვიდობა, მაშინ როცა არსებითად მეტმა, მაგრამ გაცილებით ნაკლებმა, ვიდრე მშვიდობის მომხრეებმა, აღნიშნა ოჯახის კეთილდღეობა. იმავე წელს, მთავრობის მცდელობებმა, დაერწმუნებინა პარლამენტი შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის შესწორებული ურთიერთუსაფრთხოების ხელშეკრულების რატიფიცირებაში, გამოიწვია საპროტესტო მიტინგებისა და დემონსტრაციების სერია, არა იმიტომ, რომ საზოგადოება მოულოდნელად გახდა რევოლუციური ან ანტიამერიკული, არამედ იმიტომ, რომ ბევრს სჯეროდა, რომ მთავრობის ძალისხმევა საფრთხეს უქადდა მშვიდობას ან დემოკრატიული მართვის წესებს, ან ორივეს ერთად. **(იხ., Seki, Hiroharu. "Taigai kankei no kōzōhenka to gaikō". In Nenpō seijigaku 1977, p. 105; *(55-nen taisei no keisei to hōkai: Zoku gendai Nihon no seiji katei)*, ed. gakkai, Nihon seiji. Tokyo: Iwanami shoten, 1979. Takabatake, Michitoshi. "Taishū undō no tayōka to henshitsu". In Nenpō seijigaku 1977, pp. 335-6; *(55-nen taisei no keisei to***

***hōkai: Zoku gendai nihon no seiji katei)*, ed. gakkai, Nihon seiji. Tokyo: Iwanami shoten, 1979.)**

თუმცა, საშუალო კლასის კონსერვატიზმის აღზევებამ არ გამოიწვია იდეოლოგიის დასასრული. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, კონფლიქტები ფუნდამენტურ ფასეულობებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით კვლავ მიჯნავდა ორივეს, როგორც ამომრჩეველს, ასევე პარტიებს. 1973 წლის გამოკითხვის თანახმად, 27 და 20 პროცენტი მათი, ვინც იდენტიფიცირებული იყო LDP-სთან და DSP-სთან აშკარად უჭერდა მხარს კაპიტალიზმს, ხოლო მათგან მხოლოდ 5 და 10 პროცენტი, ვინც თავს აიგივებდა CPJ-სთან და CPSU-სთან, მხარს უჭერდა კაპიტალიზმს. **(Hayashi, Chikio. "Nihonjin no ishiki wa seitōshijibetsu ni dō chigau ka". Nihonjin kenkyū No. 2 (Tokushū: Shijiseitōbetsu nihonjin shūdan), ed. kenkyūkai, Nihonjin. Tokyo: Shiseidō, 1975, pp. 40-7.)** მეორე მხრივ, CGP, LDP და DSP მხარდამჭერთა 69, 60 და 51 პროცენტი ეწინააღმდეგებოდა კომუნიზმს, მაგრამ JCP -ისა და JSP-ის მხარდამჭერთა მხოლოდ 9 და 37 პროცენტი იყო მსგავს პოზიციაზე. უმნიშვნელო ნაწილი რომელიმე პარტიის მხარდამჭერებისა თუ ეწინააღმდეგებოდა "დემოკრატიას", მაგრამ ეს ცნება სხვადასხვა ჯგუფებისთვის განსხვავებულს ნიშნავდა. LDP-ისა და DSP-ის მხარდამჭერებისთვის ის შეუთავსებელი იყო როგორც სოციალიზმთან, ასევე კომუნიზმთან; CGP-ის მხარდამჭერებისთვის ის თავსებადი იყო სოციალიზმთან, მაგრამ არა კომუნიზმთან; JCP-ის მხარდამჭერებისთვის ის თავსებადი იყო როგორც სოციალიზმთან, ასევე კომუნიზმთან; და ბოლოს, JSP-ის მხარდამჭერებისთვის, ის არც ერთ იდეოლოგიასთან აშკარად არ იყო თავსებადი და არც აშკარად შეუთავსებელი**.**

ზუსტად ასევე, 1960-იანი წლების ბოლოს, LDP და DSP-ის მხარდამჭერები დიდი სხვაობით ანიჭებდნენ უპირატესობას შეერთებულ შტატებს საბჭოთა კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან შედარებით, ხოლო SPB -სა და CPI-ის მხარდამჭერები საბჭოთა კავშირს და ჩინეთს ამჯობინებ-

დნენ შეერთებულ შტატებს თანაბრად ასევე დიდი სხვაობით. **(Karube, Kiyoshi. "Nihonjin wa dono yō ni shite shijiseitō o kimeru ka". In Tokushū: *Shijiseitōbetsu Nihonjin shūdan.* vol. 2 of *Nihonjin kenkyū*, ed. Nihonjin kenkyūkai Tokyo: Shiseidō, 1975, pp. 82-3. იხ, აგრეთვე: Hayashi, Chikio. "Nihonjin no ishiki wa seitōshijibetsu ni dō chigau ka", *Nihonjin kenkyū,* no. 2, ed. Nihonjin kenkyukai. Tokyo: Shiseidō, 1975. pp. 14-27.)** LDP-ის შუა ხნის მხარდამჭერების ორი მესამედი და PPP-სა და DSP-ის მხარდამჭერების დიდი უმრავლესობა პატივისცემით და ზოგადად, კეთილგანწყობილი იყო იმპერატორის მიმართ, მაშინ როდესაც PSP-ის მხარდამჭერების მხოლოდ ნახევარს და CJP-ის მხარდამჭერების მესამედზე ნაკლებს გააჩნდა მსგავსი გრძნობები. **(Kazama Daiji "Chūnensō no shijiseitōbetsu seikatsu ishiki", in Nihonjin kenkyū , no. 2. Tokushū: shiji seitobetsō Nihonjin shūdan, ed. Nihonjin kenkyūkai. Tokyo: Shiseidō, 1975. p. 145.)** მოსაზრებები გაიყო პარტიული ხაზით, განსაკუთრებით თანასწორობის საკითხებზე, როგორც ქვეყნებს შორის, ასევე იაპონური საზოგადოების შიგნით. LDP-ის მხარდამჭერებს შორის, ვინც თვლიდა, რომ აბსოლუტური თანასწორობა მიუღწეველია, თუ არა არასასურველი, ბევრად აღემატებოდა მათ, ვისაც ამის არ სჯეროდა, მაგრამ პირიქით იყო JSP-სა და CGP-ს მხარდამჭერთა შორის, და, განსაკუთრებით, JCP-ს მხარდამჭერებთან. **(Karube Kiyoshi, "Nihonjin wa dono yō ni shite shijiseitō kimeruka". In Tokushū: *Shijiseitōbetsu Nihonjin shūdan.* vol. 2 of *Nihonjin kenkyū*, ed. Nihonjin kenkyūkai. Tokyo: Shiseidō, 1975, pp. 82-83.)** LDP-ისა და CGP-ის მხარდამჭერები, რომლებიც თვლიდნენ, რომ იაპონელები რასობრივად აღმატებულები იყვნენ სხვა ხალხებზე, აჭარბებდა მათ, ვინც უარყოფდა ასეთი შეხედულებას, მაგრამ JSP-ისა და JCP-ის მხარდამჭერები, რომლებიც უარყოფდნენ რასისტულ შეხედულებას, აღემატებოდნენ მათ, ვინც მას იცავდნენ. CGP-ის, LDP-ის, DSP-ისა და JSP-ის მხარდამჭერების აბსოლუტური უმრავლესობა ამტკიცებდა, მაგრამ JCP-ის მხა-

რდამჭერები ეწინააღმდეგებოდნენ მოსაზრებას, რომ ქალებს უნდა მიეღოთ ქმრის გვარები და რომ ბავშვების / შვილების გაჩენის შემდეგ ისინი უნდა ყოფილიყვნენ დიასახლისები და არა დასაქმებულები (ე.ი., მათ უნდა ეზრუნათ სახლზე და არა სამუშაოზე). **(Kazama Daiji „Chūnensō no shijiseitōbetsu seikatsu ishiki“, in Nihonjin kenkyū , no. 2 (Tokushū: shiji seitobetsō Nihonjin shūdan), ed. Nihonjin kenkyūkai. Tokyo: Shiseidō, 1975. p. 132.)** LDP-ისა და DSP-ის მხარდამჭერები მხარს უჭერდნენ პროსტიტუციის ლეგალიზაციას, ხოლო PSP -ის, KKE -სა და CPJ -ის მხარდამჭერები ეწინააღმდეგებოდნენ ასეთ ნაბიჯს. **(Karube Kiyoshi, “Nihonjin wa dono yō ni shite shijiseitō kimeruka”. In Tokushū: *Shijiseitōbetsu Nihonjin shūdan.* vol. 2 of *Nihonjin kenkyū*, ed. Nihonjin kenkyūkai Tokyo: Shiseidō, 1975, pp. 82-83.)**

ღირებულებები და პარტიის იდენტიფიკაცია დაკავშირებული იყო ისეთ ცვლადებთან, როგორიც არის ასაკი, სქესი, განათლება, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, ორმოცდაათ წელზე მეტი ასაკის ადამიანთა მნიშვნელოვნად მაღალი პროცენტი ემხრობოდა LDP-ს, ვიდრე ოციანების (20-29 წლებს შორის მონაკვეთი), მაშინ როცა ოც წელს გადაცილებულთა მნიშვნელოვნად მაღალი პროცენტი მუდმივად ამჯობინებდა ოპოზიციურ პარტიებს, ვიდრე ორმოცდაათიანები (50-59 წლებს შორის მონაკვეთი). **(Miyake Ichirō, „Yūkensha kōzō no hendō to senkyo“. In *Nenpō seijigaku.* 1977, p. 280. იხ., აგრეთვე Kazama, „Chūnensō“, in *Nihonjin kenkyū,* no. 2, p. 130.)**

ამრიგად, თითოეული პარტია ამომრჩეველთა გარკვეულ სეგმენტთან იყო იდენტიფიცირებული (გაიგივებული). LDP-ს მხარს უჭერდნენ უფროსი ასაკის მამაკაცი დამსაქმებლები, თვითდასაქმებულები და ფერმერები. **(NHK hōsō yoron chōsajo, ed., *Gendai nihonjin no ishiki kōzō.* NHKBooks, no. 344, Tokyo: Nihon hoso shuppan kyōkai, 1979 , pp. 228-9. იხ., აგრეთვე Miyake, Ichirō. “Yūkensha kōzō no hendō to senkyo”. In Nenpō**

seijigaku 1977, pp. 266-9. (55-nen taisei no seiritsu to hōkai: Zoku gendai Nihon no seiji katei) 55, ed. gakkai, Nihon seiji. Tokyo: Iwanami shoten, 1979. Kazama, „Chūnensō“, in *Nihonjin kenkyū,* no. 2, p. 130; Asahi. shinbunsha yoron chōsa shitsu, ed., *Asahi shinbun yoron chōsa no 30-nen: Nihonjin no seiji ishiki* . Tokyo: Asahi shinbunsha, 1976, pp. 8-9, 76-78.) მეორე მხრივ, JSP უპირატესად წარმოადგენდა უმაღლესი სკოლის ან კოლეჯის დიპლომის მქონე, ორმოც წლამდე ასაკის ქალაქად დასაქმებულთა პარტიას. **(*Asahi shinbunyoron chōsa,* p. 83.)** DSP, CGP და JCP მიიღეს მათი საარჩევნო მხარდაჭერის უმეტესი ნაწილი ძირითადი ურბანული ცენტრებიდან, მაგრამ მათი პოპულარობა ყველაზე სტაბილური იყო შესაბამისად, მამრობითი სქესის თეთრსაყელოიან („თეთრსაყელოიან“ მომუშავეებად ჩათვლილია ისინი, რომელთა საქმიანობაც შეესაბამებოდა მენეჯერის, სპეციალისტის, ტექნიკოსის, ოფისის დამხმარე პერსონალის, მომსახურების სფეროს მუშაკის ფუნქციას. / თეთრსაყელოიანი სამუშაოები ეხება პროფესიონალებს, რომლებიც მუშაობენ სერვისის [მომსახურების] ინდუსტრიებში და იღებენ ხელფასს.), მდედრობითი სქესის ლურჯსაყელოიან („ლურჯსაყელოიან“ მომუშავეებად კი ჩათვლილია სოფლის მეურნეობის კვალიფიციური მუშის, ხელოსნის, ამწყობ-ოპერატორის, არაკვალიფიციური მუშის ფუნქციების მქონე დასაქმებულები. / ლურჯსაყელოიანი სამუშაოები, როგორც წესი, გულისხმობს ხელით შრომას და მუშების ანაზღაურებას საათობრივად ან შესრულებული სამუშაოს მიხედვით.) და ორივე სქესის ახალგაზრდა ლურჯსაყელოიან და თეთრსაყელოიან ამომრჩეველს შორის. **(Ibid., p. 13.)** CGP -ის მხარდამჭერები ძირითადად დაწყებითი და საშუალო სკოლების კურსდამთავრებულები იყვნენ, ხოლო JCP -ის მხარდამჭერები - ბევრად უკეთ განათლებულნი.

1950-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში, სოფლად ამომრჩეველთა აქტივობა მუდმივად უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქალაქად. **(Miyake, Ichirō. “Yūkensha kōzō no hendō**

to senkyo". In Nenpō seijigaku 1977. PP. 288-289. (55-nen taisei no seiritsu to hōkai: Zoku gendai Nihon no seiji katei) 55, ed. gakkai, Nihon seiji. Tokyo: Iwanami shoten, 1979. იხ., აგრეთვე Shinohara, Hajime. Gendai Nihon no bunka henyō: Sono seijigakuteki kōsatsu. Tokyo: Renga shobō, 1971. PP. 140-141.) თუმცა, სხვა მხრივ, ელექტორალური (საარჩევნო) ქცევა შეიცვალა. ამ პერიოდის დასაწყისში, ამომრჩეველთა აქტივობა მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო მამრობითი სქესის ამომრჩეველთა შორის, ვიდრე ქალ ამომრჩეველთა შორის და ოდნავ უფრო მაღალი იყო ახალგაზრდა და უკეთ განათლებულ ამომრჩევლებში, ვიდრე ხანდაზმულ და ნაკლებად განათლებულ ამომრჩევლებში. ამ პერიოდის ბოლოს, მამაკაცებსა და ქალებს შორის განსხვავებები გაქრა და ხანდაზმულ და ნაკლებად განათლებულ ამომრჩეველთა აქტივობამ გადააჭარბა ახალგაზრდა და უფრო განათლებული ამომრჩევლების აქტივობას. ამ ტენდენციამ სარგებელი მოუტანა LDP-ს და ზიანი მიაყენა ოპოზიციას, განსაკუთრებით PSP-ს.

რადიომ და განსაკუთრებით ტელევიზიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1960 წლის საყოველთაო არჩევნებში, როდესაც ძირითადმა კერძო სატელევიზიო ქსელებმა კანდიდატებს პირველად გამოუყვეს კამპანიისთვის სარეკლამო დრო. **(Uchikawa, Yoshimi. *"Masukomi jidai no tenkai to seiji katei".* In Nenpō seijigaku 1977. PP. 313-314. (55-nen taisei no keisei to hōkai: Zoku gendai Nihon no seiji katei) 55, ed. gakkai, Nihon seiji. Tokyo: Iwanami shoten, 1979.)** იაპონიის ნაციონალური სამაუწყებლო კორპორაცია (რომანიზებული: Nippon Hōsō Kyōkai / NHK, იაპონ. 日本放送協会, ინგლ., JAPAN BROADCASTING CORPORATION) განაგრძო იგივე ხაზი ერთი წლის შემდეგ ერთსაათიანი პროგრამით, რომლის სახელწოდება იყო „გაიცანი პრემიერ-მინისტრი". 1963 წლის შემდეგ, სატელევიზიო რეკლამები (სარეკლამო როლიკები / რგოლები) კანდიდატების ფოტოებით და მათი ბიოგრაფიების მოკლე შინაარსით იქცა სტანდარტულ საარჩევნო დროის პროგრამად, ხოლო 1969

წლის შემდეგ დაიწყო უფრო გრძელი და უფრო დახვეწილი წინასაარჩევნო გამოსვლების ტელემაუწყებლობა. **(Ibid., p. 319; Miyake, "Yūkensha kōzō", in *Nenpō seijigaku,* 1977, p. 293.)** აუდიო-ვიზუალური მედიის გავლენის გაზომვა ამომრჩეველთა გადაწყვეტილებებზე იყო ძნელი, მაგრამ ალბათ მნიშვნელოვანი იმის გათვალისწინებით, რომ ტელევიზორის ქონის მაჩვენებელი გაიზარდა ქვეყნის ოჯახების 1 პროცენტზე ნაკლებიდან 1955 წელს, 90 პროცენტზე ზევით 1973 წელს. **(Uchikawa, "Masukomi jidai", in *Nenpō o seijigaku,* 1977, p. 304.*)***

საგრძნობლად უფრო აშკარა იყო ამომრჩეველთა ეფექტური მობილიზება, ადგილობრივი კამპანიის მანქანების ქსელის მეშვეობით. 1950-იანი წლების შუა პერიოდში პარტიის დაარსებიდან მალევე, ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის / ლდპ-ის (ინგლ. The Liberal Democratic Party / LDP, იაპ. 自由民主党, რომანიზებული: Jiyū-Minshutō) პოლიტიკოსები იყვნენ პირველები, ვინც ცდილობდნენ შეექმნათ „პერსონალური ხმის მიცემის მანქანები" (კოენკაი, რომანიზებული: Koenkai/ kōenkai, იაპონ. 後援会, lit. "local support groups" / ლიტ. "ადგილობრივი მხარდაჭერის ჯგუფები"), რომელიც წარმოადგენდა იაპონური პარლამენტის წევრთა ადგილობრივ მხარდამჭერ ქსელებს / ასოციაციებს, - განსაკუთრებით ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის (LDP).). მოკლე ხანში, 1960-იანი წლების დასაწყისისთვის ასეთი ჯგუფები გადაიქცნენ ჩრდილოვან პარტიად, რომელშიც 10 მილიონზე მეტი წევრი იყო, მაშინ როცა თავად LDP-ში რჩებოდა არაუმეტეს რამოდენიმე ასეული ათასი. **(Miyake, "Yūkensha kōzō", in *Nenpō seijigaku,* 1977, p. 295. იხ. აგრეთვე Gerald L. Curtis., *Election Campaigning Japanese Style* . New York: Columbia University Press, 1971, chap. 5; Nathaniel B. Thayer, *How the Conservatives Rule Japan*. Princeton, N.J.: Princeton University Press, 1969, chap. 4.)** თითოეულ საარჩევნო ოლქში ხმებს აგროვებდა და აწვდიდა LDP-ს კონკრეტულ კანდიდატებს კოენკაი, რომელსაც ხშირად ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი პოლიტიკოსები, როგორიცაა

პრეფექტურებისა და ქალაქთა საკრებულოები და მხარს უჭერდნენ ამ ტერიტორიაზე არსებული ძირითადი ინტერესების ჯგუფებს. პოლიტიკოსები სხვა პარტიებიდან შეუდგნენ LDP-ის მაგალითის მიბაძვას, მაგრამ ნაკლებად წარმატებული შედეგებით.

LDP-ს დაეხმარა მისი, როგორც ეკონომიკური სასწაულის მთავარი ძალის იმიჯი, თანმიმდევრული ზრდის პოლიტიკის წყალობით, რომელსაც მემკვიდრეობით კონსერვატიული კაბინეტები ახორციელებდნენ. (ამ) პარტიას ასევე დაეხმარა ოპოზიციური პარტიების, განსაკუთრებით JSP (ინგლ. The Japan Socialist Party, იაპონ. 日本社会党, რომანიზებული: Nihon Shakaitō, abbr. JSP) -ის უუნარობა / არაკომპეტენტურობა და ნდობის სიმცირე.

1959 წლის გამოკითხვაში, გამოკითხულთა მხოლოდ 12 პროცენტი (მო)ელოდა სოციალისტების ხელისუფლებაში მოსვლას უახლოეს მომავალში. **(Shinohara Hajime, *Gendai Nihon no bunka henyō: Sono seijigakuteki kōsatsu.* Tokyo: Renga shobō, 1971. P. 33.)** 1960 წლის წარუმატებელი კამპანიის კვალდაკვალ, შეერთებული შტატები-იაპონიის ურთიერთუსაფრთხოების ახალი ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ, JSP-მ დაკარგა LDP-თან მიმართებით თავისი მხარდამჭერების მნიშვნელოვანი რაოდენობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. **(Asahi shinbunsha yoron chōsa shitsu, ed., *Asahi shinbun yoron chōsa no 30-nen: Nihonjin no seiji ishiki* . Tokyo: Asahi shinbunsha, 1976, p. 18; Hayashi Chikio, "Sengo no seiji ishiki," *in Jiyū* (January 1964): pp. 57-65.)** პირველად, ოციანებმა (20 წლიდან 29 წლამდე ასაკის ამომრჩევლები) მხარი დაუჭირეს LDP-ს, ვიდრე JSP-ს. უფრო მეტიც, JSP-ის პოპულარობის კლება ყველაზე შესამჩნევი იყო პროფკავშირებში (ორგანიზებულ მუშაკთა შორის). 1960-დან 1969 წლამდე, იაპონიის პროფკავშირების გენერალური საბჭოსთან (იაპონ. 日本労働組合総評議会, რომანიზებული: Nihon Rōdōkumiai Sōhyōgikai), ხშირად შემოკლებით Sōhyō (総評), იყო

მემარცხენე პროფკავშირების კონფედერაცია. დაარსებული 1950 წელს, ეს იყო იაპონიის ყველაზე დიდი შრომის ფედერაცია რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. **[ელ. რესურსი: https://en.wikipedia.org/wiki/Sōhyō])** აფილირებული (დაკავშირებული) [სოჰიოს/ Sōhyō-affiliated შვილობილი] გაერთიანებების წევრების რიცხვი, რომლებიც მხარს უჭერდნენ პარტიას, შემცირდა 72-დან 39 პროცენტამდე, მაშინ როცა მათი მაჩვენებელი, ვინც არცერთ პარტიას უჭერდა მხარს, გაიზარდა 14-დან 39 პროცენტამდე. **(Watanuki Jōji, "Kōdo seichō to keizai taikokuka no seiji katei", in *Nenpō seijigaku,* 1977, p. 171. (55-nen taisei no keisei to hōkai: Zoku gendai nihon no seiji katei) 55. Tokyo: Iwanami shoten, 1979. იხ., აგრეთვე Miyake Ichirō, "Yūkensha kōzō no hendō to senkyo"," in *Nenpō seijigaku,* 1977, p. 296; და Takabatake Michitoshi, "Taishū undō no tayōka to henshitsu"," in *Nenpo seijigaku,* 1977, p. 349.)** Sōhyō -ს საკუთარი კვლევითი განყოფილების მიერ 1967 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, მისი რიგითი წევრების მეოთხედზე ნაკლები მხარს უჭერდა და მოუთმენლად ელოდა სოციალიზმის მოსვლას. დანარჩენი სამი მეოთხედი ან ამჯობინებდა არსებულ კაპიტალიზმის სისტემას, ან სურდა მისი მხოლოდ ნაწილობრივი და თანდათანობითი რეფორმის ნახვა. **(Takabatake Michitoshi, "Taishū undō no tayōka to henshitsu", in *Nenpō seijigaku,* 1977, p. 340.)** გასაკვირი არ არის, რომ JSP-ის წევრთა რიცხვი დაახლოებით 50 000-მდე რჩებოდა 1960-იანი წლების ბოლომდე და შემდეგ იწყო კლება მანამ, სანამ 1973 წელს მკვეთრად არ შემცირდა დაახლოებით 37,000-მდე. JSP-ის ხმების წილი და ადგილების რაოდენობა წარმომადგენელთა პალატის საერთო არჩევნებზე სტაბილურად იკლებდა: 33% და 166 მანდატი 1958 წელს, 22% და 118 მანდატი 1972 წელს. **(Naigai senkyo dēta –. ('78 Mainichi nenkan bessatsu) '78 Tokyo: Mainichi shinbunsha, 1978. pp. 2-7; Asahi shinbunsha *Asahi nenkan.* Tokyo: Asahi shinbunsha, annual. 1974, p. 259; Jiji tsūshinsha, *Jiji nenkan,* 1958 (Tokyo: Jiji tsūshinsha, 1958),**

P. 149; Nakano Tatsuo and Iizuka Shigetarō, *Nihon o ugokasu soshiki: Shakaitō minshatō* (*Nihon o ugokasu soshiki series)*. Tokyo: Sekkasha, 1968, pp. 64-67.)

სამი პატარა პარტიიდან, დემოკრატიულ სოციალისტურ პარტიას / დსპ (ინგლ. The Democratic Socialist Party / DSP, იაპონ. 民主社会党, რომანიზებული: Minshu Shakai-tō, შემოკლებით: 民社党, Minsha-tō). – პოლიტიკური პარტია იაპონიაში 1960 წლიდან 1994 წლამდე.) დიდი წინსვლა არ ჰქონია არც ოფიციალურ წევრობაში, არც უფრო ფართო საარჩევნო მხარდაჭერაში, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა პარტიის მხარდაჭერის მთავარ წყაროს, იაპონიის შრომის კონფედერაციასთან / დომეისთან (რომანიზებული: Dōmei; იაპ.: 全日本労働総同盟) – ეროვნული პროფკავშირების ფედერაცია იაპონიაში.) ასოცირებულ პროფკავშირებს (the Domei-affiliated unions). პარტია აცხადებდა, რომ 70 000 წევრი ჰყავდა JSP-დან 1959 წლის ბოლოს გა(მო)ყოფის შემდეგ, მაგრამ, როგორც ჩანს, მათი ნახევარი დაკარგა 1973 წლისთვის. **(Jiji, tsūshinsha. *Jiji nenkan,* Tokyo: Jiji tsūshinsha, annual. 1961, p. 58; *Asahi nenkan,* 1974, p. 263.)** პარტიამ მოიპოვა ხმების 7,7% და 31 ადგილი 1969 წლის წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში, რაც მისი საუკეთესო შედეგი იყო იმ პერიოდში, მაგრამ მან დამღუპველი მარცხი განიცადა 1972 წლის შემდეგ საყოველთაო არჩევნებზე, როდესაც მოიპოვა მხოლოდ 19 ადგილი 6,9% -იანი ხმით. როგორც ჩანს, პარტიის ორაზროვანი იდეოლოგიური და პროგრამული ვალდებულებები იყო მისი პრობლემების მთავარი მიზეზი. არსებობის პირველი ათწლეულის განმავლობაში პარტია სულ უფრო და უფრო განსხვავდებოდა LDP -სგან თავისი პლატფორმითა და საკანონმდებლო საქმიანობით. **(რელევანტური კომენტარებისთვის იხ., Taketsugu Tsurutani, *Political Change in Japan* . New York: McKay, 1977, pp. 164-168.)**

CGP (ინგლ. Clean Government Party, სუფთა მმართველობის პარტია, იგივე The Kōmeitō, იაპონ. 公明党, ასევე ცნობილია რო-

გორც the Kōmei Party) და JCP (ინგლ. The Japanese Communist Party, იაპ. 日本共産党, Nihon Kyōsan-tō) მნიშვნელოვნად უკეთესად მუშაობდნენ. 1964 წელს, როდესაც პარტიამ პირველად მიიღო მონაწილეობა მრჩეველთა პალატის არჩევნებში, CGP-მ განაცხადა, რომ ნახევარი მილიონი წევრი ჰყავდა, მაგრამ 1973 წლისთვის ეს რიცხვი 160 000-მდე შემცირდა, ძირითადად, პარტიის ნომინალური "სეპარაციისა" (გამოყოფისა) და მშობლიური ორგანიზაციის, Sōka Gakkai-ის (იაპონ. 創価学会, სოკა გაკაი: „ღირებულების შემქმნელი საზოგადოება" არის იაპონური ბუდისტური რელიგიური მოძრაობა) დამოუკიდებლობის გამო 1970 წელს. **(Asahi shinbunsha, *Asahi nenkan,* 1966, p. 297; 1974, p. 262.)** მიუხედავად ფორმალური წევრობის შემცირებისა, პარტიამ შეინარჩუნა Sōka Gakkai-ის წევრების ხმებზე ვირტუალური მონოპოლია, რომელიც 1970-იანი წლების დასაწყისში რამდენიმე მილიონამდე გაიზარდა. **(თავად Sōka Gakkai ითვლიდა 15 მილიონზე მეტ წევრს. იხ. Tsurutani, *Political Change,* p. 153. მაგრამ ზუსტი რიცხვები არ არის ხელმისაწვდომი. ორგანიზაციის წევრობის შეფასების პრობლემათა შესანიშნავი განხილვისთვის იხ. James W. White, *The Sōkagakkai and Mass Society*. Stanford, Calif.: Stanford University Press, 1970, pp. 57-61.)** შედეგად, CGP-მ მოახერხა თავიდან აეცილებინა ფსკერზე დაშვება და მან შეძლო მცირე ოპოზიციური სტატუსის შენარჩუნება, 1970 წელს ჭიპლარის საჯარო გაწყვეტის შემდეგაც კი.

1955 წელს JCP იყო მარგინალური პარტია, რომლის ორი წევრი იჯდა წარმომადგენელთა პალატაში და ამავე წლის საერთო-საყოველთაო არჩევნებში მიიღო ხმების დაახლოებით 2% . მიუხედავად ამისა, 1973 წლისთვის იგი ჩამოყალიბდა, როგორც პატივსაცემი მარგინალური ოპოზიციური პარტია, 38 ადგილით წარმომადგენელთა პალატაში და მისი კონტროლის ქვეშ მყოფი ქვეყნის ამომრჩეველთა ხმების დაახლოებით 10 პროცენტით. პარტიის მიღწევები უფრო შთამბეჭდავი იყო, რადგან ის იყო ამ პერიოდის რამოდენიმე იაპონური პარტიიდან

ერთადერთი, რომელიც მეტ -ნაკლებად ეყრდნობოდა ექსკლუ-ზიურად მისი წევრების ხმებს და მუშაობას მისი საარჩევნო წარმატებისთვის. 1955 წელს CPJ– ს ჰყავდა არაუმეტეს 20 000 წევრი, მაგრამ 1973 წლისთვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა და გახდა 300 000 -ზე მეტი. **(იხ. Haruhiro Fukui, "The Japanese Communist Party: The Miyamoto Line and Its Problems," In *The Many Faces of Communism,* ed. Morton A. Kaplan. New York: Free Press, 1978, p. 284.)** 1970-იანი წლების დასაწყისში CPJ უტოლდებოდა LDP-ს და არა რომელიმე სხვა ოპოზიციურ პარტიას, როგორც წევრობის, ასევე კამპანიის დაფინანსების თვალსაზრისით. ეს მნიშვნელოვანი მიღწევები ძირითადად გამოწვეული იყო პარტიის პლატფორმისა და პოლიტიკის ოსტატურად და ეფექტურად ადაპტირებით სოციალურ-ეკო-ნომიკურ ცვლილებებთან. პარტია, მოუღლელი უხეში ოპონე-ნტიდან, არსებული კონსტიტუციური წესრიგის მხურვალე და-მცველად გადაიქცა.

ამ მოვლენების ფონზე 1955 წლის „ორპარტიული" სისტემა „კვაზიმრავალპარტიულ" სისტემად გადაიზარდა. 1967 წლის წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში LDP-მ შეწყვიტა უმ-რავლესობის პარტიად ყოფნა ხმათა წილის მიხედვით და 1971 წელს მან დაკარგა უმრავლესობა / უმრავლესობის პოზიცია მრჩეველთა პალატაში. თუმცა, პარტია რჩებოდა უმრავლე-სობის პარტიად წარმომადგენელთა პალატაში მთელი ამ პერი-ოდის განმავლობაში, ნაწილობრივ იმის გამო, რომ შენარჩუნდა მოძველებული საარჩევნო საზღვრები, რომელიც თავდაპირვე-ლად შედგენილი იყო 1947 წელს, და რომელშიც სოფლის მო-სახლეობა ქალაქის მოსახლეობასთან მიმართებით ჭარბად იყო წარმოდგენილი და ნაწილობრივ იმის გამო, რომ პარტია ყოველი არჩევნების შემდეგ (თავის რიგებში) იღებდა წარმა-ტებულ დამოუკიდებელ კანდიდატებს. **(Stockwin, J. A. A. Japan: Divided Politics in a Growth Economy. New York: Norton, 1975, pp. 91-96. იხ. აგრეთვე Flanagan, Scott C. "Electoral Change in Japan: An Overview," In *Political Opposition and Local Politics***

***in Japan,* ed. Kurt Steiner, Ellis S. Krauss, and Scott C. Flanagan. Princeton, N.J.: Princeton University Press, 1980, pp. 45-47. Asahi shinbunsha yoron chōsa shitsu, ed. *Asahi shinbun yoron chōsa no 30-nen: Nihonjin no seiji ishiki*. Tokyo: Asahi shinbunsha, 1976. pp. 13-14.)** რაც მთავარია, საერთო სახალხო მხარდაჭერა LDP-სთვის პრაქტიკულად უცვლელი დარჩა 1955 წლიდან 1973 წლამდე, სავარაუდოდ ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური კლიმატისა და ოპოზიციის მზარდი ფრაგმენტაციის გამო. Asahi shinbun-ის გამოკითხვების სერიაში LDP-ის მხარდაჭერა დაახლოებით 45 პროცენტია, ხოლო მთლიანობაში ოპოზიციის - რამდენიმე პროცენტული პუნქტით დაბალი. **(Asahi shinbunsha yoron chōsa shitsu, ed. *Asahi shinbun yoron chōsa no 30-nen: Nihonjin no seiji ishiki*. Tokyo: Asahi shinbunsha, 1976, pp. 13-14.)** როდესაც LDP-ის პოპულარობა მკვეთრად მცირდებოდა, როგორც ეს მოხდა 1960 წლის გაზაფხულზე კიშის მთავრობის (Kishi's government) ბოლო დღეებში და 1971 წლის ბოლოს და 1972 წლის დასაწყისში სატოს (Sato) მმართველობის ბოლო თვეებში, პრემიერ-მინისტრების თანმიმდევრობამ / ცვლილებამ შეცვალა ტენდენცია და აღადგინა ბალანსი. 1970-იანი წლების დასაწყისში მრავალპარტიული სისტემა, სადაც ერთი პარტია დომინირებდა (ერთპარტიული დომინირებული მრავალპარტიულ სისტემა), ჯერ კიდევ არ იყო რეალური კრიზისის წინაშე.

§2 ოკუპაცია: რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის პერიოდი

§2.1 ომისშემდგომი ეკონომიკური რეფორმა და აღდგენა

იაპონიის ომისშემდგომი ეკონომიკის ტრანსფორმაცია მოხდა დემოკრატიზაციის რეფორმის პროგრამის ფონზე, რასაც ხელს უწყობდა ამერიკული საოკუპაციო ძალები. ეს რეფორმები, რა თქმა უნდა, იყო არა მხოლოდ ამერიკელების ინიციატივების, არამედ იაპონელთა ძალისხმევის შედეგიც, რომლებიც ან თანამშრომლობდნენ ამერიკელებთან ან იბრძოდნენ მათთან, საკუთარი იდეალებისა და დღის წესრიგის მისაღწევად. განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო სამი ეკონომიკური რეფორმა: *მიწის რეფორმა, ზაიბაცუს დაშლა* და *შრომითი რეფორმა.*

მიწის რეფორმა. მიწის რეფორმამდე იაპონიის სასოფლო-სამეურნეო მიწის 45,9 პროცენტი იჯარით იყო გაცემული. ომამდე, მოიჯარეების რენტა შეადგენდა ეროვნული შემოსავლის 5 პროცენტს, ხოლო ქირავნობის შესახებ დავებმა 1935 წელს პიკს, 6 ათასს მიაღწია. ეს იყო ომამდელი სოფლის და სატყეო მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკა, საოჯახო მეურნეობების (მესაკუთრე-კულტივატორთა / ფერმერთა) წახალისება-ხელშეწყობა (ახორციელებდა ფერმერობის წახალისების პოლიტიკას) იჯარასთან დაკავშირებული / ქირავნობის პრობლემების მოგვარების მიზნით. 1945 წლის შემოდგომაზე, ამ პოლიტიკის გაფართოების კონტექსტში, გადაიხედა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კორექტირების კანონი (the Agricultural Land Adjustment Law), რომელიც ზღუდავდა მიწის ფლობას ხუთ ***chōbu*** -მდე (町歩 / ჰექტარი; hectare [2.471 acres]) და მოითხოვდა რენტის გადახდას ნაღდი ანგარიშსწორებით.

ამერიკულმა საოკუპაციო ძალებმა, იგრძნო რა რომ ამ კანონმდებლობამ საკმარისად ვერ წაიწია წინ, 1945 წლის 9 დე-

კემბერს იაპონიის მთავრობას გაუგზავნა მემორანდუმი მიწის რეფორმის შესახებ, რომელიც უფრო მასშტაბური ცვლილებებისკენ მოუწოდებდა. ეგრეთ წოდებული მიწის მეორე რეფორმა განხორციელდა 1946 წლის 21 ოქტომბერს "დამოუკიდებელ მემამულეთა / მიწადმოქმედთა სპეციალური დაწესებულების შესახებ" (the Law for the Special Establishment of Independent Cultivators) კანონის გამოქვეყნებით. კანონი ითვალისწინებდა დაუსწრებელი მემამულეების (absentee landlords) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სახელმწიფოს მიერ შეძენას; არაკულტივატორი (არადამმუშავებელი) რეზიდენტი მემამულეებისთვის მიწის ფლობა უნდა განსაზღვრულიყო ერთზე ნაკლები chōbu -თი; მიწის მესაკუთრე-კულტივატორთა (დამმუშავებელთა) მიწის ოდენობის შეზღუდვას სამ chōbu -დე; ხოლო სახელმწიფოს მიერ შეძენილი მიწების (ხელახლა) მიყიდვას მოიჯარე ფერმერებზე (tenant farmers). იმის გამო, რომ ინფლაციის შედეგად მიწის რეალური ფასი მკვეთრად დაეცა, მიწის რეფორმა თითქმის კონფისკაციის ტოლფასი იყო.

მიწის რეფორმის დროს 1,916 მილიონი ჰექტარი, ანუ სასოფლო-სამეურნეო ფართობის 37,5 პროცენტი ხელიდან ხელში გადავიდა, შეიცვალა მფლობელი. 3,7 მილიონზე მეტი მემამულის მიწა შეისყიდა მთავრობამ. **(მიწის რეფორმის შესახებ არსებული ძირითადი მასალები შეგიძლიათ იხილოთ Nōsei chōsakai nōchi kaikaku kiroku iinkai. *Nōchi kaikaku tenmatsu gaiyō*. Tokyo, 1951. სტანდარტული ნაშრომი ინგლისურად არის Dore, R. P., *Land Reform in Japan*. London: Oxford University Press, 1959.)** რეფორმის შედეგად იჯარით აღებული მიწა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მხოლოდ 10 პროცენტამდე შემცირდა; მოიჯარეების ქირა / საარენდო გადასახადი გახდა შეთანხმებითი; და მოიჯარეთა დავები გაქრა. ფერმერებს გაუჩნდათ შრომის სურვილი; ფერმერული სოფლები პოლიტიკურად უფრო სტაბილური გახდა; და სოფლის მეურნეობა განვითარდა სახელმწიფოს მხრიდან ფასებზე მხარდაჭერით და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებით. ურბანული

(ქალაქად) დასაქმების შესაძლებლობები იზრდებოდა სწრაფ ზრდასთან ერთად და შემცირდა მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაცია (დანაწევრება) და სოფლის მეურნეობაში დასაქმების ნაკლებობა, რომელიც წარმოიშვა ომის შემდეგ მყისიერად, სოფლად მოსახლეობის გადინებით.

მიწის რეფორმის შედეგად, იაპონიის სოფლის მეურნეობა ომის შემდეგ გახდა დამოუკიდებელი ფერმერების პროვინცია. მეორე მხრივ, მას შემდეგაც კი, რაც ეკონომიკა სწრაფი ზრდის ფაზაში გადავიდა, არასრული სამუშაო დღით მომუშავე (*ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულ)* ფერმერთა რიცხვი გაიზარდა, და მიწის ნაკვეთები ფრაგმენტული (დანაწევრებული) დარჩა. ეს ხელს უშლიდა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაუმჯობესებას. ამ პრობლემის გადასაჭრელად ბევრი (დაჟინებით) მოითხოვდა კულტივაციის (დამუშავების) მასშტაბის გაზრდას და მიწის გაქირავების (საიჯარო მიწის) წახალისებას. გაჩნდა მზარდი მოთხოვნა პოლიტიკაში ცვლილების, (კერძოდ,) სოფლის მეურნეობის ცენტრში (*jisakunō chūshin shugi*) მიწის მესაკუთრე ფერმერების ყოფნის თაობაზე. ე.ი., ეს იყო პოლიტიკა, დაფუძნებული როგორც საოკუპაციო ძალების, ისე იაპონიის ომამდელი აგრარული რეფორმატორების მიზნებზე.

ზაიბაცუს (zaibatsu) დაშლა. ამერიკულმა ოკუპაციამ (the American Occupation) თავიდანვე განიზრახა ზაიბაცუს დაშლა, რომელიც ზოგიერთი ამერიკელი ჩინოვნიკის აზრით იყო თანამონაწილე იაპონიის მიერ ტერიტორიული დაპყრობითი ომის წარმოებაში. 1945 წლის ოქტომბერში ოკუპაციამ (the Occupation) მიიღო გადაწყვეტილება ზაიბაცუს ჰოლდინგური კომპანიების სათავო ოფისების (honsha / ჰონშას) დაშლის შესახებ და 1946 წლის აპრილში დააარსა კომიტეტი ჰოლდინგური კომპანიების რეორგანიზაციისთვის. 1947 წლის ივნისისთვის ოთხმოცდასამი კომპანია იყო განსაზღვრული (აღნიშნული / მითითებული) ჰოლდინგურ კომპანიად. აქედან ოცდარვის რეორგანიზაცია განხორციელდა საოჯახო ჰოლდინგურ კომპანიად, ხოლო დანარჩენებს საშუალება მიეცათ როგორც მწა-

რმოებელ კომპანიებს გაეგრძელებინათ ფუნქიონირება მათი აქციების / ფონდების (stockholdings / საკუთრებაში არსებული აქციების ან აქციების კონკრეტული რაოდენობის) გადაცემის / დათმობის შემდეგ. ამასობაში, 1947 წლის 3 ივლისს, საოკუპაციო ხელისუფლებამ ბრძანა დაშლილიყო Mitsui Trading Company და Mitsubishi Trading Company. **(ძირითადი მასალა ზაიბაცუს [zaibatsu] დაშლის შესახებ გვხვდება Tokushu kaisha seiri iinkai -ში, ed., *Nihon zaibatsu to tono kaitai*. Tokyo 1951. ინგლისურ ენაზე სტანდარტული ნაშრომი არის Eleanor M. Hadley, *Antitrust in Japan*. Princeton, N.J.: Princeton University Press, 1959)**

1947 წლის აპრილში, ამერიკული ანტიმონოპოლიური კანონის (the American Anti-Monopoly Law) საფუძველზე, ანტიმონოპოლიურ კანონთა (antitrust laws) მიღებით შეიქმნა იაპონიის სამართლიანი ვაჭრობის კომისია (Japan's Fair Trade Commission). მომდევნო წლის დეკემბერში პარლამენტმა მიიღო კანონი გადაჭარბებული ეკონომიკური კონცენტრაციის ელიმინაციის (აღმოფხვრის) შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა მონოპოლისტად მიჩნეული ნებისმიერი კომპანიის დაშლას. ამ კანონების თანახმად, თვრამეტი დიდი ფირმა დაიშალა და მათი ქარხნები გადანაწილდა. იაპონური ფოლადის კორპორაცია (The Japan Steel Corporation) გაიყო ორ ფირმად (Yawata Steel და Fuji Steel); Mitsui Mining გაიყო ორ ფირმად (Mitsui Mining და Kamioka Industries); Mitsubishi Industries გაიყო ორად (Mitsubishi Mining და Taihei Mining); Mitsubishi Heavy Industries გაიყო სამ ფირმად (Eastern Japan Heavy Industries, Central Japan Heavy Industries და Western Japan Heavy Industries); Tokyo Shibaura Electric -ი ორმოცდასამი ქარხნიდან ოცდაშვიდისგან გათავისუფლდა; და Hitachi Manufacturing-მა ოცდათხუთმეტი ქარხნიდან ცხრამეტზე თქვა უარი. ამ და სხვა დაშლის შედეგად არსებითად შემცირდა კონცენტრაციის ხარისხი რკინისა და ფოლადის, გემთმშენებლობის, ლუდსახარშისა, ქაღალდისა და სხვა ინდუსტრიებში (მრეწველობის დარგებში).

ზოგიერთი მსხვილი საწარმო, რომელიც დაიშალა ან გაიყო ეკონომიკური დეკონცენტრაციის პირობებში, კვლავ გაჩნდა ოკუპაციის დასრულების შემდეგ. Mitsubishi Trading Company აღორძინდა 1954 წელს, Mitsui Trading Company 1959 წელს, Mitsubishi Heavy Industries 1964 წელს და New Japan Steel Corporation 1970 წელს. შესაძლოა ზაიბაცუს სათავო ოფისები გაქრა, მაგრამ საწარმოები რეკონცენტრირდა (კვლავ გაერთიანდა) "სამეწარმეო/საწარმოო ჯგუფებად" (keiretsu), რომლებიც ორიენტირებულნი იყვნენ ბანკებზე, ორმხრივი ფონდების / აქციებისა (mutual stockholding) და დაფინანსების გზით. კრიტიკოსები ამას ხშირად "ზაიბაცუს გამოცოცხლებად / აღორძინებად" ("revival of the zaibatsu") მოიხსენიებდნენ.

ზაიბაცუს (zaibatsu) დაშლამ და კონცენტრაციის გაუქმებამ სამუდამოდ იმოქმედა ეკონომიკაზე. წარმოების კონცენტრაცია, რომელიც შემცირდა ანტიზაიბაცუს / ზაიბაცუს საწინააღმდეგო კანონმდებლობით (the antizaibatsu legislation), კიდევ უფრო შესუსტდა ზრდის მაღალი ტემპების შედეგად. კონკურენცია საწარმოებს შორის გახდა უფრო ცოცხალი. სამრეწველო ფირმები, რომლებიც არ იყვნენ აფილირებული ომამდელ ზაიბაცუსთან, ახალი შესვლისა და მასშტაბის გაფართოების შესაძლებლობათა გამო გაფართოვდნენ მსხვილ საწარმოებამდე (გადაიზარდნენ მსხვილ / დიდ საწარმოებში). ომისშემდგომ დიდ ფირმებს შორის ბევრია ასეთი. მაგალითად, Toyota, Hitachi და New Japan Steel, რომლებსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდათ ომამდელ ზაიბაცუსთან. Kawasaki Steel-ისა და Sumitomo Metals -ის, როგორც ფოლადის მწარმოებლის გამოჩენა, Honda-ს შესვლა მსუბუქი ავტომობილების / სამგზავრო მანქანების ინდუსტრიაში და Sony-სა და Matsushita-ს სწრაფი ზრდა აჩვენებდა იმას, რომ იაპონიის ინდუსტრიული ორგანიზაცია მთლიანობაში განაგრძობდა კონკურენტუნარიანად ყოფნას. შეიძლება ითქვას, რომ ეს კონკურენტუნარიანი სამრეწველო სტრუქტურა განვითარდა ომისშემდგომი ზაიბაცუს დაშლისა და კონცენტრაციის გაუქმების შედეგად.

შრომის რეფორმა. შრომის რეფორმის საფუძველი იყო სამი შრომის კანონის (three labor laws) მიღება: პროფკავშირების შესახებ კანონით (the Labor Union Law), რომელიც შეიქმნა ამერიკული ვაგნერის აქტის (the American Wagner Act) მიხედვით და გამოქვეყნდა 1945 წლის დეკემბერში, დადგინდა მუშაკთა უფლება ორგანიზებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმართვის თაობაზე; პროფკავშირული აქტივობა (პროფკავშირის საქმიანობა) გათავისუფლდა სამოქალაქო სამართლისგან და განისაზღვრა არასამართლიანი შრომითი პრაქტიკა. 1946 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული შრომითი ურთიერთობების რეგულირების (მოწესრიგების) კანონით განისაზღვრა გაფიცვის ქცევის საზღვრები და დადგინდა პროცედურები შრომითი დავების გადაწყვეტისთვის. 1947 წლის აპრილის შრომის სტანდარტების კანონი აწესებდა გაუმჯობესებულ სამუშაო პირობებს, როგორიცაა იძულებითი შრომის აკრძალვა, რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღება, ქალთა და მცირეწლოვანთა დასაქმების ლიმიტაცია (შეზღუდვა) და სამუშაოსთან დაკავშირებული დაზიანებების კომპენსაციის (ფულადი ანაზღაურების) უზრუნველყოფა. ამ სამმა კანონმა, განსაკუთრებით კი პროფკავშირების შესახებ კანონმა, სტიმული მისცა / ხელი შეუწყო პროფკავშირულ საქმიანობას.

პროფკავშირული მოძრაობა სწრაფად იზრდებოდა ომისშემდგომ ადრეულ წლებში. უკონტროლო ინფლაციისა და მოსახლეობის საერთო გაღატაკების გამო გახშირდა შრომითი დავები. 1948 წელს სამრეწველო მუშახელის (ტრანსპორტის, მშენებლობების, სამთო და წარმოების მუშაკთა ჩათვლით) პროფესიულ კავშირებში გაწევრიანების მაჩვენებელი შეადგენდა 50 პროცენტზე მეტს, ხოლო ე.წ. enrollees / ჩარიცხულთა ოდენობა (ანუ, იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ოფიციალურად შეუერთდნენ ორგანიზაციას.) იყო 6,677 მილიონი. ზოგიერთ სამრეწველო დავაში, პროფკავშირებმა მიმართეს აგრესიულ ტაქტიკას, როგორიცაა "წარმოების კონტროლი", რომლის

დროსაც მუშები ეფექტურად აკონტროლებდნენ და მართავ-დნენ წარმოებას.

1947 წლის 1 თებერვალს დაიგეგმა საყოველთაო გაფიცვა, რომელიც ორგანიზებული იყო სახელმწიფო პროფკავშირე-ბის (the public labor unions) მიერ, მაგრამ საოკუპაციო ხელი-სუფლებამ (the Occupation authorities) გაფიცვა მის დაწყება-მდე აკრძალა. საოკუპაციო პოლიტიკასა (Occupation Policy) და შრომით მოძრაობას (the labor movement) შორის დაპირისპი-რება უფრო თვალსაჩინო გახდა 1948 წლის ივლისში, როდესაც მთავრობამ, გენერალ დუგლას მაკარტურის (General Douglas MacArthur) წერილის საპასუხოდ გამოაქვეყნა რეგულაცია / გა-ნკარგულება (an ordinance), რითაც გააუქმა საჯარო მოხელეე-ბის გაფიცვის უფლება. ამის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში პროფკავშირული მოძრაობის კონტროლისთვის ბრძოლა მი-მდინარეობდა მათ შორის, ვინც პოლიტიკურ საკითხებს უმთა-ვრესად მიიჩნევდა და მათ შორის, ვინც უპირატესად თვლიდა ეკონომიკურ საკითხებს. როდესაც პროფკავშირული მოძრაობა კონსოლიდირებული (გაერთიანებული / გამთლიანებული) იყო "კორპორატიული გაერთიანებების" (იაპონ., 企業組合 / ინგლ. "enterprise unions") საფუძველზე, რომელიც ინკორპორი-რებდა (თავს უყრიდა / აერთიანებდა) ფირმის ყველა თანამ-შრომელს ერთ გაერთიანებაში, დომინირებდა (ჭარბობდა) "ია-პონური სტილის პროფკავშირული პრინციპები" (the principles of Japanese-style unionism), რომლებიც ხაზს უსვამდნენ ეკო-ნომიკური საკითხების პირველობას. 1955 წელს დაიწყო ეგრეთ წოდებული საგაზაფხულო შეტევითი ოპერაციები (shuntō), რა-მაც ხელი შეუწყო ხელფასების გაზრდაზე რუტინულ (ერთფე-როვან / მოსაწყენ) მოლაპარაკებებს.

ოკუპაციამ და მისმა პოლიტიკამ ირიბი გავლენა მოახდინა ეკონომიკაზეც. პირველი, ომში დამარცხებამ დაასრულა ია-პონიის მცდელობები, გაეზარდა თავისი ეკონომიკური უპირა-ტესობა ომისა და სამხედრო საშუალებებით. პირიქით, ამერი-კული "ბირთვული ქოლგის" ("nuclear umbrella") მფარველო-

ბით იაპონიას არ სჭირდებოდა ბევრის დახარჯვა თავდაცვაზე და ასე რომ, კაპიტალი, ადამიანური რესურსები და ადამიანური ენერგია შეიძლებოდა უფრო ეფექტურ საქმიანობაში გადადენილიყო. მეორე, ამერიკული ოკუპაციის დროს, იაპონელებმა პირველად დაამყარეს კონტაქტი უცხო ქვეყანასთან და ბევრად უფრო მეტმა იაპონელმა, ვიდრე ოდესმე, შეძლო უშუალოდ ეხილა ამერიკული ცხოვრების მაღალი სტანდარტი /დონე და ეფექტური ორგანიზაციული მეთოდები, რომლებიც მხარს უჭერდა მას. საბოლოოდ, ოკუპაციამ ცვლილება მოიტანა იაპონიის ელიტაში. ახალმა ლიდერებმა პოლიტიკაში, ბიზნესსა და ბიუროკრატიაში საკუთარი ენერგიები მიმართეს ძლიერი ეკონომიკის აღდგენისკენ ომისშემდგომი დაბნეულობის ფონზე.

§2.2 ომისშემდგომი ეკონომიკური პოლიტიკა

ომისშემდგომი ლიდერები დადგნენ ეკონომიკური პოლიტიკის ახალი ჩარჩო-წესრიგს შექმნის წინაშე, რომელიც პასუხობდა დამარცხებით შექმნილ პირობებს. ნაწილობრივ ეს ნიშნავდა ომის შედეგად განადგურებული ეკონომიკის აღდგენას; ნაწილობრივ ეს ნიშნავდა ომისშემდგომი ინფლაციის გაკონტროლებას; და ნაწილობრივ ეს ნიშნავდა პოლიტიკის პრინციპების ჩამოყალიბებას, რომლებიც უნდა ყოფილიყო დაცული, შემდგომი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისას.

იაპონიისთვის საკვანძო საკითხად რჩებოდა ეკონომიკური დაგეგმვა, რაც გაგრძელდა ომის შემდეგაც, 1949 წლამდე. კრიზისულ სიტუაციაში ეკონომიკურ კონტროლს ცვლილებები უნდა შეეტანა პარალიზებული კერძო სექტორის აქტივობებში. როგორც ომის დროს, პირველი მოხმარების საქონელზე გრძელდებოდა ნორმირება (ანუ, საჭიროებების რაციონირება), ხოლო მთავრობა ხელმძღვანელობდა წარმოებასა და (წარმოების საშუალებების) შესყიდვებს. (სახელმწიფოს მხრიდან)

კონტროლდებოდა ფასები, უზრუნველყოფილი იყო სუბსიდიები და ეკონომიკა კვლავ მკაცრად რეგულირდებოდა. თუმცა, ომიანობის დროსთან შედარებით, კონტროლი ნაკლებად ეფექტური გახდა, შავი ბაზრების დიდი რაოდენობით გაჩენის გამო.

ომის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, 1946 წელს დეფიციტი იყო ყველაზე დიდი და ცხოვრების დონე ყველაზე დაბალი. რადგან საკვები უკიდურესად მწირი იყო, არსებობდა შიში, რომ ბევრი ადამიანი შიმშილით მოკვდებოდა. ქალაქის მოსახლეობას იძლულებით უწევდა სოფლად მგზავრობა უკიდურესად მოსაწყენი, ხალხმრავალი მატარებლებით, რათა საკვებზე გადაეცვალა თავისი დარჩენილი ქონება (კიმონო და ქსოვილი). ნორმირებული საკვები საკმაოდ მცირე იყო რაოდენობრივად. ამიტომ, ფიზიკური გადარჩენისთვის ყველას უწევდა კანონის დარღვევა და შავ ბაზართან ურთიერთობა. თუმცა, როგორც ყველგან და ყოველთვის აქაც იყო გამონაკლისი. ცნობილია, - ტოკიოს სამხარეო სასამართლოს მოსამართლე **იოსიტადა იამაგუჩი** (იაპონ. 山口・芳忠, ინგლ. Yoshitada Yamaguchi, 16.11.1913 - 11.10.1947), იმდენად პატიოსანი ადამიანი იყო, რომ მას არ სურდა საკვები პროდუქტების შესახებ არსებული კანონის დარღვევა, იკვებებოდა მხოლოდ ნორმირებული საკვებით და უარს ამბობდა არალეგალური საკვებით სარგებლობაზე. 1947 წლის ოქტომბერში ის შიმშილით გარდაიცვალა.

როდესაც ჯარისკაცები და მშვიდობიანი მოქალაქეები დაბრუნდნენ სახლში ფრონტიდან / ყოფილი კოლონიებიდან, უმუშევრობა სერიოზულ პრობლემად იქცა. იყო მოლოდინი, რომ უმუშევრობა 10 მილიონს მიაღწევდა. თუმცა (საკვების უკიდურესი სიმწირის მიუხედავად) არც მასობრივი შიმშილი არც მასობრივი უმუშევრობა არ დაფიქსირებულა, რადგან დაუსაქმებელი / უმუშევარი მოსახლეობა აბზორბირდა (შთაინთქა) ძირითადად არაფორმალურ და სოფლის მეურნეობის სექტორებში. ქალაქის მრავალი მაცხოვრებელი მუშაობდა არაფორ-

მალურ სექტორიში (the informal sector) თავის გადასარჩენად. (არაფორმალურ სექტორში იგულისხმება სამუშაო ადგილების ერთობლიობა, რომლებიც არ არის ოფიციალურად რეგისტრირებული ან ნებადართული, ისეთი, როგორიცაა მაგ., ქუჩის მოვაჭრეები, საყოფაცხოვრებო მომსახურების მიმწოდებლები და საოჯახო სამუშაოები, ლეგალურად სანქცირებული საწარმოებისა და კოოპერატივებისგან განსხვავებით. რამდენადაც ის ფუნქციონირებს რუხ / ნაცრისფერ ზონაში ლეგალურსა და არალეგალურს შორის, მისი სტატუსი რჩება გაურკვეველი, ექვემდებარება ოფიციალურ ჩხრეკასა და კონფისკაციას, მუშაკთა უფლებების დაცვისა თუ / ან კონტრაქტის აღსრულების გარეშე. ამავე მიზეზით, მცირეა ფიზიკური აქტივების ფორმირების სტიმული. არაფორმალური სექტორი ჩნდება კრიზისულ ქვეყანაში ან რომლის საბაზრო ეკონომიკა განუვითარებელი ან დროებით პარალიზებულია.) ეს სექტორები უზრუნველყოფდნენ დროებით სამუშაო ადგილებსა და საკვების / სურსათის არალეგალური გაზიარების / გაცვლის მექანიზმს. **(The History of Japanese Economic Development. [By Kenichi Ohno]. *Chapter 10, Postwar Recovery 1945–49.* P. 146. London, 2017.)**

§ 2.2.1 ინფლაცია

ისევე როგორც ყველა დამარცხებული ქვეყანა, ომის შემდგომი იაპონიაც ღრმა ინფლაციამ მოიცვა. ფასებმა იმატა ომის დროს, თუნდაც ომის დროს ფასების კონტროლის პირობებში, და ომის დასრულების შემდეგ, ინფლაციური ზეწოლა გაიზარდა. წარმოება განიცდიდა სტაგნაციას, მაგრამ მოთხოვნა, რომელიც ომის დროს დაითრგუნა, მზად იყო "აფეთქებულიყო". ომის დროს აკუმულირდა (დაგროვდა) სახელმწიფო ობლიგაციები და სხვა სახის ფინანსური აქტივები, და თუ მოხ-

დებოდა მათი კონვერტაცია (გადაყვანა / გადაცვლა) ვალუტაში, მათ შეეძლოთ გაეძლიერებინათ ფეთქებადი ინფლაცია. ამ მდგომარეობის მოსაგვარებლად, 1946 წლის თებერვალში მთავრობამ გაატარა გადაუდებელი პოლიტიკა საბანკო ანგარიშების შეზღუდვის (restricting bank accounts), უძრავი ქონების / საკუთების გადასახადების დაწესებისა (levying taxes on property) და ფასების კონტროლის (controlling prices) შესახებ. მაგრამ ამ ზომებმა მხოლოდ დროებით შეაჩერა ინფლაცია და 1946 წლიდან 1947 წლამდე ინფლაცია მკვეთრად გაიზარდა. 1946 წელს საბითუმო ფასები 16,3-ჯერ აღემატებოდა 1934-36 წლების დონეს, ხოლო 1950 წლისთვის 246,8-ჯერ მაღალი იყო.

პროდუქციის (output) კოლაფსთან და უმუშევრობასთან გასამკლავებლად იაპონიის მთავრობამ დაბეჭდა ფული სუბსიდიების დასაფინანსებლად, მაგრამ, ფასების კონტროლის დაწესებით. ცხადია, ეს სტრატეგია დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ფისკალური დეფიციტის მონეტიზაციამ (Monetization of fiscal deficits) შექმნა სამნიშნა ინფლაცია (triple-digit inflation) 1946 წლიდან 1949 წლამდე.

შავი ბაზრის ინფლაცია (Black market inflation) უფრო მაღალი იყო, განსაკუთრებით ადრეულ პერიოდში. ეს იყო ყველაზე მაღალი ინფლაცია რაც იაპონიას ოდესმე განეცადა, მანამდე თუ მას შემდეგ. საგარეო ვაჭრობა მკაცრად კონტროლდებოდა და ნებისმიერი ტრანზაქცია (გარიგება) უნდა ყოფილიყო დამტკიცებული SCAP-ის მიერ. აკრძალული იყო კერძო საგარეო ვაჭრობა. თითოეული საქონლისთვის, SCAP-მა განსაზღვრა დოლარის ფასი და იენის ფასი ცალ-ცალკე, ასე რომ იმპლიციტური გაცვლითი კურსი (an implicit exchange rate) არსებობდა თითოეული საქონლისთვის / ნივთისთვის თუ სასაქონლო ჯგუფისთვის. ფაქტობრივად, იაპონიას 1945 - 1949 წლებს შორის პერიოდში ჰქონდა მრავალჯერადი გაცვლითი კურსის სისტემა (a multiple exchange rate system). გაცვლითი კურსი ექსპორტისთვის (150-600 იენი ერთ დოლართან) ზოგადად / მთლიანობაში უფრო გაუფასურდა, ვიდრე იმპორტის გა-

ცვლითი კურსი (125-250 იენი ერთ დოლართან). აქედან გამომდინარე, ძლიერ შეზღუდული იყო საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობაც.

1948 წელს წარმოების აღდგენა თანდათან მატულობდა. მაგრამ, ასევე იყო გაურკვეველი ინფლაცია და ინფლაციის შეკავება გახდა მთავარი პოლიტიკის საკითხი. **(Japan in the World Economy of the 1980s, By Saburo Okita. University of Tokyo Press: 1990. PP. 3-4**.)

იაპონელ ეკონომისტებს შორის - მაგალითად, ჯგუფს, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი არიზავა ჰირომი (Professor Arisawa Hiromi), - ჭარბობდა მოსაზრება, რომ გადამწყვეტი პოლიტიკა ინფლაციის შესაჩერებლად ერთი სვლით უნდა ყოფილიყო მიღებული, როდესაც წარმოება მიაღწევდა ომამდელი დონის 60%-ს. სხვებმა, მათ შორის შინიჩი იშინომ (Shinichi Ishino), ფინანსთა სამინისტროს კვლევის დეპარტამენტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, მთავრობას შესთავაზა „ეტაპობრივი სტაბილიზაციის გეგმა“, რომელიც მოითხოვდა ინფლაციის ტემპის თანდათანობით შენელებას ფასების საბოლოო სტაბილიზაციისთვის.

ინფლაციის შემცირების აუცილებლობისა და იაპონიის ეკონომიკური აღდგენისა და თვითკმარობის ხელშეწყობის საპასუხოდ, შეერთებულმა შტატებმა SCAP-ში გაგზავნა დეტროიტელი ბანკირი ჯოზეფ მ. დოჯი (Joseph M. Dodge), რომელიც გეგმავდა სავალუტო რეფორმებს ოკუპირებულ გერმანიაში, რათა მას ცვლილებების რეკომენდაცია გაეწია იაპონიის მთავრობის (მიერ წარმოებული) ეკონომიკური პოლიტიკის პროცესში. სჯეროდა რა კლასიკური ეკონომიკური ლიბერალიზმის, დოჯმა რეკომენდაცია გაუწია რიგი ზომების გატარებას, რომლებიც მას აუცილებელად მიაჩნდა ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად, (და) რაც შესაძლებელს გახდიდა იაპონიის ეკონომიკის გაჯანსაღებას. პოლიტიკის ძირითადი პუნქტები, რომელიც დოჯმა ჩამოაყალიბა 1949 წლის მარტში, იყო: (1) კონსოლიდირებული ეროვნული ბიუჯეტის დაბალანსება ინფლა-

ციური ზეწოლის შესამცირებლად; (2) რეკონსტრუქციის საფინანსო ბანკის (the Reconstruction Finance Bank) საქმიანობის შეწყვეტა, რომლის სესხები არაეკონომიური (არარენტაბელური) იყო; (3) ეკონომიკაში მთავრობის ჩარევის მასშტაბის / ფარგლების შემცირება, განსაკუთრებით სუბსიდიებისა და ფასების კონტროლის სახით; (4) გაცვლითი კურსის დადგენა ¥360-ის $1.00-თან (თანაფარდობით); და (5) საერთაშორისო ვაჭრობაში დაბრუნება კერძო არხებით და არა სახელმწიფო სავაჭრო სააგენტოების მეშვეობით. ეს პოლიტიკა, რომელიც ცნობილია როგორც Dodge Line, ამოქმედდა 1949 წლის აპრილში და აგრძელებდა მოქმედებას მომდევნო ორწელიწადნახევრის განმავლობაში, თუმცა შემცირებული აქცენტით, რადგან კორეის ომმა (the Korean War) ხელი შეუწყო ზრდას. გრძელვადიან პერსპექტივაში, ე.წ. Dodge line-მა (დოჯის ხაზმა) დაადგინა დაბალანსებული ბიუჯეტების, ორთოდოქსალური (დადგენილი / დაწესებული) ფინანსების, სტაბილიზირებული ფასებისა და ფიქსირებული (მყარი) გაცვლითი კურსის პრინციპები, რაც შეადგენდა მთავრობის პოლიტიკის ერთ მხარეს მაღალი ზრდის პერიოდში.

შედეგად, ინფლაცია სწრაფად შემცირდა. თუმცა, ამავე დროს, მძიმე დეპრესიამ მოიცვა იაპონიის ეკონომიკა, რამაც გამოიწვია უმუშევრობის მკვეთრი ზრდა და გაკოტრება. თუმცა, 1950 წელს კორეის ომის დაწყებამ გამოიწვია ის, რომ შეერთებული შტატების სამხედრო ძალებმა გააძლიერა მასალების საზღვარგარეთ შესყიდვები („სპეციალური შესყიდვები“), განსაკუთრებით იაპონიაში. ამან, უცხოეთიდან სწრაფად მზარდ მოთხოვნასთან ერთად, იაპონიის ეკონომიკას საშუალება მისცა (სწრაფად) გამოსულიყო დეპრესიიდან და მკვეთრად გაეზარდა უცხოური ვალუტის შემოსავლები. შედეგად, შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტა ომისშემდგომი ეკონომიკური დახმარება იაპონიისთვის და ამის ნაცვლად, სპეციალური შესყიდვებიდან მიღებულმა შემოსავალმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა იაპონიის ეკონომიკაში. მაგალითად, 1952

წელს, იაპონიის იმპორტის ნახევარი გადახდილი იქნა სპეციალური შესყიდვების / შესყიდვებიდან მიღებული შემოსავლით. ამის შემდეგ, იაპონიის ეკონომიკის დამოუკიდებლობა ნორმალური საექსპორტო ვაჭრობით, იქცა იაპონიის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიზნად.

ინფლაციის შეჩერების შემდეგ, ნორმალური ფასების მექანიზმმა კვლავ დაიწყო ფუნქციონირება და მთავრობამ გააუქმა პირდაპირი ეკონომიკური კონტროლი, აღადგინა ვითარება, რომელშიც ძირითადად გამოიყენებოდა თავისუფალი ბაზრის მექანიზმის პრინციპები. ამავე დროს, მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიკურ კონტროლზე პასუხისმგებელი ეკონომიკური სტაბილიზაციის საბჭოს (the Economic Stabilization Board) როლი. **(Japan in the World Economy of the 1980s, By Saburo Okita. University of Tokyo Press: 1990. PP. 5. Ibid., P. 6)**

§ 2.2.2 პრიორიტეტული წარმოების მეთოდი/პროგრამა

ინდუსტრიული (სამრეწველო) წარმოების აღდგენა იყო ასევე უმთავრესი ამოცანა. უშუალო ომისშემდგომი ეკონომიკა ფუნქციონირებდა კოლაფსის მდგომარეობაში. წარმოების განახლებას ხელს უშლიდა საზღვარგარეთიდან ნედლეულის შეფერხებული შემოდინება. 1947 წლის აგვისტოში შეზღუდული კერძო ვაჭრობის დამყარებამდე, საგარეო ვაჭრობა კონტროლდებოდა საოკუპაციო ხელისუფლების მიერ და ამ თარიღის შემდეგაც, ვაჭრობის საჯარო მართვის სისტემა ძირითადად უცვლელი რჩებოდა. მეორე მხრივ, არსებობდა დადებითი მემკვიდრეობა ომის დროინდელი ეკონომიკიდან, ანუ ძირითადი კაპიტალი მძიმე და ქიმიურ მრეწველობაში და გამოცდილების მქონე მუშაკების ჭარბი მიწოდება თანამედროვე ინდუსტრიულ საქმიანობაში. იმის გამო, რომ შეუძლებელი იყო იმპო-

რტირებულ ნედლეულზე დაყრდნობა, წარმოების შეფერხების (the production bottleneck) დაძლევა მხოლოდ ნახშირის შიდა რესურსების გამოყენებით შეიძლებოდა.

ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორმა არიზავა ჰირომიმ სტატიაში, "ზომები ეკონომიკური კოლაფსის თავიდან ასაცილებლად"განაცხადა შემდეგი: „ჩვენი იდეა არის ჩვენი ძალისხმევის კონცენტრირება ნახშირის წარმოების ზრდაზე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძირითადი მასალაა და რომელიც არის იაპონიაში. ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ, რომ მთელი ეკონომიკური პოლიტიკა სწორედ ამ მიზნის მიღწევისკენ იყოს მიმართული. ეს არის უმაღლესი პრიორიტეტი პოლიტიკებს / პოლიტიკურ მიმართულებებს შორის. ეს მაღალი პრიორიტეტი შეიძლება დიდხანს აღარ მიენიჭოს ამ კონკრეტულ პოლიტიკას და შესაძლოა არ გახდეს (მომავალში) საჭირო დიდი ხნის განმავლობაში. თუმცა, როდესაც მრავალი შეზღუდვისა და სირთულის გამო ჩვენ არ შეგვიძლია მოველოდოთ წარმოების ყოველმხრივ ზრდას, არ არსებობს სხვა ალტერნატივა გარდა იმისა, რომ ვკონცენტრირდეთ რამოდენიმე ძირითად საქონელზე / პროდუქტზე და მათი წარმოების ზრდის ხარჯზე შევძლებთ შევქმნათ მთელი სამრეწველო აქტივობათა / საქმიანობის თანდათანობითი აღდგენის შესაძლებლობა. (**Professor Hiromi Arisawa, in an article, "Measures to Prevent Economic Collapse". Hyoron : January, 1947 ; აგრეთვე იხ. JAPAN IN THE WORLD ECONOMY, By Saburo Okita. P. 3**)

პროფ. ჰირომიმ ინდუსტრიული წარმოების სტიმულირებისთვის წარადგინა ე.წ. პრიორიტეტული წარმოების მეთოდი / პროგრამა (the priority production method / programm). მისი გეგმა ითვალისწინებდა ჯერ ქვანახშირის წარმოების გაზრდას მასალებისა და კაპიტალის კონცენტრაციით ქვანახშირის მოპოვების მრეწველობაში, შემდეგ ქვანანახშირის მეტი მოპოვებით მის გამოყენებას / სარგებლობას ფოლადის წარმოებისთვის და ბოლოს, გაზრდილი წარმოებული ფოლადის ინვესტირებას ქვანახშირის მოპოვების შემდგომ ზრდაში. ე.ი.

ფოლადის გაზრდილი მიწოდება შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ქვანახშირის მრეწველობაში, რაც გაარღვევდა ნახშირისა და ფოლადის წარმოების სტაგნაციის მანკიერ წრეს.

ამ პერიოდის განმავლობაში საბურო ოკიტამ (Saburo Okita), რომელიც იყო ეკონომიკური დაგეგმვის სააგენტოს ყოვლისმომცველი დაგეგმვის ბიუროს გენერალური დირექტორი (Director-general of the Economic Planning Agency's Over-all Planning Bureau), შეადგინა წერილი პრემიერ მინისტრ იოშიდასთვის (Prime Minister Yoshida), რომელიც მიემართებოდა გენერალ დუგლას მაკარტურს (General Douglas MacArthur), მოკავშირეთა ძალების უმაღლეს მეთაურს (Supreme Commander of Allied Powers, SCAP). ამ წერილში ხაზგასმული იყო ძირითადი საქონლის წარმოების - კერძოდ, ნახშირისა და ფოლადის წარმოების გაზრდის მნიშვნელობა და ამ მიზნით წერილში კონკრეტულად მოთხოვნილი იყო ნედლი ნავთობის შემოტანის ნებართვა (იმპორტის დამტკიცება), რომელიც შეიძლებოდა გამოყენებულიყო ფოლადის წარმოების ზრდისთვის. ამ დრომდე საოკუპაციო ხელისუფლების (the occupation authorities) ძირითადი პოლიტიკა იყო შიმშილისა და შიმშილობის პრევენცია (თავიდან აცილება), მაგრამ არა პასუხისმგებლობის აღება ეკონომიკის აღდგენაზე. თუმცა, დადებითი პასუხი იქნა მიღებული მოკავშირეთა ძალების უმაღლესი მეთაურისგან (ინგლ. The Supreme Commander for the Allied Powers / SCAP, იაპონ. 連合国軍最高司令官, რომანიზებული: Rengōkokugun saikōshireikan. ეს იყო ტიტული, რომელსაც ატარებდა გენერალი დუგლას მაკარტური შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით იაპონიის ოკუპაციის შემდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს.), რომელიც ნებას რთავდა იაპონიას შემოეტანა ნედლი ნავთობი ფოლადის წარმოებისთვის. პრიორიტეტული წარმოების პროგრამის (a Priority Production Program) ეს კონცეფცია მალე ოფიციალურად იქნა მიღებული იაპონიის მთავრობისა და საოკუპაციო ხელისუფლების (the occupation authorities) მიერ, რამაც გამოიწვია იმ პოლიტიკის აღსრულება, რომელიც

უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქვანახშირის წარმოებას. შედეგად, 1947 წელს ნახშირის გამომუშავებამ (coal output) თითქმის მიაღწია სამიზნე 30 მილიონი ტონას, მიუხედავად მთავრობის ქვანახშირის საბჭოს (the government's Coal Board) პრედიქციისა / პროგნოზისა (წინასწარმეტყველებისა / წინასწარ განჭვრეტისა), რომ შეუძლებელი იქნებოდა წარმოების გაზრდა 27 მილიონ ტონაზე მეტად. ნახშირის გაზრდილმა მარაგმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რკინისა და ფოლადის გარდა, ძირითადი საქონლის წარმოების განახლებას, როგორიცაა სასუქები და ცემენტი, ასევე ხელი შეუწყო რკინიგზის გაუმჯობესებას, რითაც მოამზადა გზა იაპონიის ეკონომიკის ომის შემდგომი რეკონსტრუქციისთვის.

დამოუკიდებლად, (სხვისი) დახამრებისა და მხარდაჭერის გარეშე, შიდა წარმოების ამაღლების ეს მეთოდი 1947-48 წლებში წარმოადგენდა მთავრობის ცენტრალურ პოლიტიკას. „პრიორიტეტული წარმოების მეთოდის" განსახორციელებლად, იოშიდას კაბინეტმა (the Yoshida cabinet) დააარსა რეკონსტრუქციის საფინანსო ბანკი (რომანიზებული: Fukko kin'yu ginko, ინგლ. the Reconstruction Finance Bank), ქვანახშირის მრეწველობას ასესხა დიდი ოდენობით კაპიტალი, რკინისა და ფოლადის მრეწველობას გადასცა მნიშვნელოვანი ფასის / ღირებულების სუბსიდიები და ძირითადი / საკვანძო ინდუსტრიებისთვის დაადგინა მასალების პრიორიტეტები. **(აღნიშნულია Kōsai Yutaka -სთან, "Fukkōki", Nihon no sangyō seisaku, ed. Komiya Ryūtarō. Tokyo: Tōkyō daigaku shuppankai, 1984, pp. 30-34; Kōsai Yutaka, Kōdō seichō no jidai, ed. Komiya Ryūtanō et al. Tokyo: Nihon hyōronsha, 1981, pp. 44-58.)** შესაბამისად, 1947 წელს ნახშირის წარმოების სამიზნე მაჩვენებელი 30 მილიონი ტონა, რთულად იქნა მიღწეული.

იმავდროულად, 1947 წლის საყოველთაო არჩევნების შედეგად, იოშიდას კაბინეტი (the Yoshida Cabinet) შეიცვალა პრემიერ-მინისტრის ტეცუ კატაიამას სოციალისტების მთავრობით (the Socialist-led Government of Prime Minister Tetsu Katayama).

ახალი მთავრობის პირობებში, ჰიროო ვადა (Hiroo Wada) დასახელდა ეკონომიკური სტაბილიზაციის საბჭოს ხელმძღვანელად (head of the Economic Stabilization Board), ხოლო შიგეტო ცურუ (Shigeto Tsuru) დაინიშნა საკოორდინაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ (Vice Chairman of the Coordination Committee) - პრაქტიკულად ვიცე მინისტრის პოსტზე (a post of vice minister), საბურო ოკიტა (Saburo Okita) დაინიშნა ეკონომიკური სტაბილიზაციის კვლევის სამმართველოს / საბჭოს ხელმძღვანელად (head the Research Division of the Economic Stabilization Board).

„პრიორიტეტული წარმოების მეთოდი“ ხშირად განიხილება იაპონიის ინტერვენციონისტული პოლიტიკის წარმატებულ მაგალითად მძიმე და ქიმიურ მრეწველობაში, ხოლო მოგვიანებით ის მიჩნეულია წამყვან მეთოდად “ინდუსტრიული პოლიტიკის” შემდგომი მიმართულებით (sangyō seisaku). ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი სტიმული იყო წარმოების განახლებისთვის. იაპონიას სხვა გზა არ ჰქონდა თავისი ეკონომიკის აღდგენისთვის, გარდა მძიმე და ქიმიური მრეწველობის ბაზის გამოყენებისა, რომელიც მან ომის ბოლოს შეიძინა. როგორც აშშ -ს არმიის მდივანმა კენეტ როიალმა (Kenneth Royall) აღნიშნა 1948 წლის იანვარში, “ცხადია, რომ იაპონიას არ შეუძლია იარსებოს, როგორც მაღაზიების მეპატრონეთა, ხელოსნებისა და მცირე ხელოსნების ქვეყანამ, ისე, როგორც მას არ შეუძლია იარსებოს, როგორც წმინდა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფომ”. **(Okurashō, ed., Shōwa zaiseishi. Tokyo: Tōyō keizai shinpōsha, 1982, vol. 20. p. 185.)**

თუმცა, შეცდომა იქნებოდა „პრიორიტეტული წარმოების მეთოდის“ მნიშვნელობის გადაჭარბებული შეფასება. იაპონია იყენებდა თავის არსებულ საწარმოო / ქარხნის სიმძლავრეს ქიმიურ და მძიმე მრეწველობაში, მაგრამ არ აპირებდა მისი მასშტაბის გაფართოებას. 1947 წელს, ფოლადის წარმოება მხოლოდ 740 000 ტონას შეადგენდა, რაც არ შეედრება 1970-იან წლებში წარმოებულ 100 მილიონ ტონას. „პრიორიტეტული წარმოების მეთოდი“, ფაქტობრივად, იყო “იმპორტის იძულებითი

ჩანაცვლების” პოლიტიკა, რომელიც შემუშავდა იმ პერიოდში, როდესაც ეკონომიკა ჩაკეტილი იყო გარე სამყაროსთვის და შემცირებული იყო ნედლეულის იმპორტი. როდესაც მისი წარმომქმნელი პირობები / გარემოებები შეიცვალა, მასზე ითქვა უარი.

სამრეწველო აღდგენის ეს ხარისხიც კი შეუძლებელი იქნებოდა, თუ იაპონია ვერ შეძლებდა შეენარჩუნებინა თავისი ქიმიური და მძიმე ინდუსტრიის ბაზა. 1945 წლის დეკემბრის პაულის ანგარიშში (the Pauley Report) რეკომენდირებული ომისშემდგომი რეპარაციების საწყისი პოლიტიკა (The initial postwar reparations policy) მდგომარეობდა იაპონიის სამხედრო მრეწველობიდან მთელი მოწყობილობის / აღჭურვილობის ამოღებასა და მისი სიმძლავრეების მკვეთრად შემცირებაში თავდაცვასთან დაკავშირებული ისეთი ინდუსტრიებიდან, როგორიცაა ფოლადი, ჩარხების წარმოება და საზღვაო ვაჭრობა. როდესაც საერთაშორისო ვითარება შეიცვალა და ამერიკის ეკონომიკური პოლიტიკა იაპონიასთან მიმართებაში სადამსჯელო ზომებიდან გადავიდა ეკონომიკური რეაბილიტაციის პოლიტიკაზე, ეს მიზნები შეიცვალა. **(Ibid., p. 440.)** როგორც არმიის მდივანმა კენეთ კლეიბორნ როიელმა (Secretary of the Army Kenneth Claiborne Royall) ხაზგასმით აღნიშნა თავის 1948 წლის იანვარის გამოსვლაში, თუ იაპონიას სურდა მიეღწია პოლიტიკური სტაბილურობისთვის და შეენარჩუნებინა თავისუფალი მთავრობა, მას უნდა ჰქონოდა ჯანსაღი დამოუკიდებელი ეკონომიკა; უფრო მეტიც, შეერთებული შტატები ვერ შეძლებდა განუსაზღვრელი ვადით იაპონიის ასობით მილიონი დოლარით დახმარებას.

აშშ-მა დიდი რაოდენობით ჰუმანიტარული და ეკონომიკური დახმარება გაუწია იაპონიას, რომელიც 1946-50 წლებში შეადგენდა 1,95 მილიარდ დოლარს და რაც დაეხმარა მას საკვებითა და სამომხმარებლო საქონლის დეფიციტის შემცირებაში. ქვეყანაში კარგად უწყოდნენ, რომ იაპონიის ეკონომიკა ძლივს გადარჩა ორი ხელოვნური მხარდაჭერით, კერძოდ, - სუბსიდიებითა და აშშ-ს დახმარებით. ეს საყრდენები უნდა მოხსნილიყო რაც შეიძლება სწრაფად.

§ 2.3 მაკროეკონომიკური ქმედებები

სწრაფი ეკონომიკური ზრდის პერიოდს განაპირობებდა ისეთი მაკროეკონომიკური პირობები, როგორიცაა შრომის მიწოდება, კაპიტალის დაგროვება, საფასო ტენდენციები (price trends), შემოსავლების განაწილება და მოთხოვნის ზრდა. ყველა ეს რთული სახით იყო ურთიერთდაკავშირებული.

§ 2.3.1 სამუშაო ძალის ზრდა

ერთ-ერთი პირობა, რამაც იაპონიის სწრაფი ეკონომიკური ზრდა უზრუნველყო, იყო სამუშაო ძალის / შრომის შეუფერხებელი და უხვი მიწოდება. ომამდე იაპონია ჭარბად იყო დასახლებული, ხოლო ომის შემდგომ წლებში მოხდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი მატება, რადგან დემობილიზებული ჯარისკაცები და იაპონიის საზღვრებს გარეთ არსებული საკუთრების მქონე რეპატრირებული მოსახლეობა სახლში ბრუნდებოდა. 1947 წლის სპეციალური აღწერის მიხედვით, მთლიანი მოსახლეობა შეადგენდა 78,101 მილიონს, რაც შესამჩნევი ზრდაა 1940 წლის აღწერის (71,933 მილიონი) და 1944 წლის მოსახლეობის (74,433 მილიონი) სავარაუდო მაჩვენებლთან შედარებით. **(Tōyō keizai shinpōsha, Shōwa kokusei sōran. Tokyo: Tōyō keizai shinpōsha, 1980, vol. 1, p. 29. აგრეთვე, THE CAMBRIDGE HISTORY OF JAPAN [Volume 6, The Twentieth Century.] Edited by Peter Duus. Cambridge, 1988. P 503. იხ., Table 10.2 [Changes in population (in thousands)])** 1947 წელს კი ქვეყანა ეკონომიკური დისლოკაციის (გადაადგილების) მდგომარეობაში იმყოფებოდა და დასაქმება / სამუშაოს ნახვა რთული იყო. დასაქმებულთა რაოდენობა 1940 წელთან შედარებით მხოლოდ 846 000-ით გაიზარდა, ხოლო დასაქმების საერთო დონე / მთლიანი მაჩვენებელი (ანუ, დასაქმებულთა რაოდენობა, გაყოფილი მთლიან მოსახლეობაზე) 45,2 პროცენტი-

დან 42,7 პროცენტამდე შემცირდა. რადიკალურად შეიცვალა დასაქმების დისტრიბუციაც (განაწილება). მაშინ როცა წარმოებაში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 1,400 მილიონით, ხოლო მომსახურების ინდუსტრიაში 600,000-ით, სოფლის მეურნეობაში მუშაკთა რაოდენობა გაიზარდა 3 მილიონით. როგორც ეს რიცხვები აჩვენებს, (უშუალოდ) ომის შემდგომ პერიოდში იაპონიას ჰქონდა ჭარბი სამუშაო ძალა / შრომა და სამუშაო ადგილების სიმცირე / დასაქმების დეფიციტი.

თუმცა, 1948-1955 წლებში შრომისუნარიანი / მშრომელი მოსახლეობა გაიზარდა წლიური მაღალი მაჩვენებლით, - 2,6 პროცენტით. **(Tōyō keizai shinpōsha, Shōwa kokusei sōran. Tokyo: Tōyō keizai shinpōsha, 1980, , vol. 1, p. 58. აგრეთვე, - Ibid. P. 503, Table 10.3 [Changes in the labor force])** (ამის) ორი მიზეზი არსებობდა: პირველი, 1930-იანი წლების პირველ ნახევარში (მაღალი შობადობის პერიოდში) დაბადებულები, რომლებმაც მიაღწიეს სამუშაო ასაკს; მეორე, სამუშაო ძალის ზრდა მოსახლეობის პროპორციულად. მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულთა რაოდენობა არსებითად გაიზარდა, ასევე გაიზარდა მთლიანი უმუშევრობის მაჩვენებელი. ის ფაქტი, რომ არსებობდა ბევრი დისკუსია შრომის ბაზარზე "ორმაგი სტრუქტურის" ("dual structure") შესახებ (ანუ ის, რომ სახელფასო განსხვავებები / wage differentials დაკავშირებული იყო საწარმოს მასშტაბთან) მიუთითებს იმაზე, რომ ამ პერიოდშიც კი იყო მანევრირების ადგილი ([მოძრაობის] თავისუფლება, [მოძრაობის] სივრცე) სამუშაო ძალის / შრომის მოთხოვნაში.

სამუშაო ძალის (ყოველ)წლიური ზრდის ტემპი 1955-1965 წწ-დან 1965-1973 წწ-მდე შემცირდა 1,3 პროცენტამდე. საერთაშორისო სტანდარტებით ეს არ იყო დაბალი. მიუხედავად იმისა, რომ ომისშემდგომმა ე.წ. "ბეიბი ბუმმა" (ე.წ. "baby boom"-ის ცნება ხშირად გამოიყენება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ [1946–1964] შეერთებულ შტატებსა და ევროპაში არსებული შობადობის მნიშვნელოვანი ზრდის აღსანიშნავად. ამ პერიოდში დაბადებულ ადამიანებს ხშირად ბეიბი ბუმერებს

[baby boomers] უწოდებენ.) გაზარდა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა, ეს მაჩვენებელი შენელდა, რადგან (1) ომის დროს შობადობის შემცირებამ გამოიწვია სამუშაო ძალაში ახალ მონაწილეთა / დამწყებ მუშაკთა (new entrants ახალი შემსრულებლების / ახალ მონაწილეთა) რაოდენობის შემცირება 1955-1960 წლებში; და (2) 1960 წლიდან 1965 წლამდე ბევრი ახალგაზრდა განაგრძობდა განათლების მიღებას, მუშაობის დაწყების ნაცვლად. 1960-იანი წლების ბოლოს შრომისუნარიანი მოსახლეობის ზრდის განგრძობადი შენელება ასახავდა შობადობის შემცირებას "ბეიბი ბუმის" (the baby boom) დასრულების შემდეგ. იმავდროულად, იმის გამო, რომ ეკონომიკის ზრდის ტემპი კვლავ მაღალი რჩებოდა, უმუშევრობის დონემ შემცირება დაიწყო 1950-იანი წლების ბოლოს. 1960-იანი წლების დასაწყისისთვის, საწარმოს მასშტაბზე / საწარმოო ზომაზე (scale of enterprise) დაფუძნებული ხელფასებს შორის განსხვავებულობა (wage differentials) შემცირდა და სამუშაო ადგილების რაოდენობამ პირველად გადააჭარბა ახალ კურსდამთავრებულთა (new graduates) რაოდენობას. 1967 წლისთვის სამუშაო ადგილების რაოდენობა აჭარბებდა სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობას მთლიან შრომის ბაზარზე. იაპონიის ეკონომიკამ მიაღწია სრული დასაქმების მდგომარეობას.

როდესაც შრომის ბაზარი გადავიდა შრომის სიჭარბიდან შრომის დეფიციტზე, ეკონომიკური ზრდა შენარჩუნდა მშრომელთა გადანაცვლებით (გადასვლით / გადაადგილებით) სამრეწველო სექტორებში და შრომითი დანახარჯების (labor inputs) კაპიტალური დანახარჯებით (capital inputs) სუბსტიტუციის (ჩანაცვლების / შენაცვლების) გზით. სოფლის მეურნეობის მუშაკთა რიცხვი შემცირდა 1,7 მილიონით 1945-1955 წლებში, 4 მილიონით 1955-1965 წლებში და 4,2 მილიონით 1965-1975 წლებში. ამის საპირისპიროდ, წარმოების მრეწველობის მუშაკთა რაოდენობა გაიზარდა 4,6 მილიონით 1965-1975 წლებში. **(Ibid. Source: Tōyō keizai shinpōsha, Shōwa**

kokusei sōran. Tokyo: Tōyō keizai shinpōsha, 1980, vol. 1, p. 58. Ibid. P. 503, Table 10.3 [Changes in the labor force])

სამუშაო ძალის / შრომის მიწოდების ხარისხობრივი ცვლილებები ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც რაოდენობრივი ცვლილებები. ომამდელ იაპონიაში ტექსტილის მრეწველობის სამუშაო ძალა (მუშები) წარმოადგენდა სამრეწველო სამუშაო ძალის ბირთვს / გულს, რომლებიც წარმოადგენდნენ სამრეწველო მუშაკთა ერთ მესამედს. ყველაზე ტიპური (დამახასიათებელი / ნიშანდობლივი) იყვნენ ქალი მუშები ბამბის დართვის მრეწველობაში (the cotton-spinning industry), რომლებიც იწყებდნენ მუშაობას გვიან მოზარდობაში (17-დან 19 წლამდე), უმაღლესი დაწყებითი სკოლის (higher elementary school) დამთავრების შემდეგ, ოჯახის ბიუჯეტის გასაზრდელად და რომლებიც სამსახურს ტოვებდნენ ოცი წლის ასაკში და თხოვდებოდნენ. მათი სამუშაო ცხოვრება / პერიოდი იყო ხანმოკლე; სამუშაო ძალაში ცვლილებები იყო ხშირი; და ხელფასები იყო დაბალი. მუშები, რომლებიც წამყვან როლს ასრულებდნენ ინდუსტრიულ განვითარებაში ომის დროს ქიმიური და მძიმე მრეწველობის ექსპანსიიდან (გაფართოებიდან) ომისშემდგომი ზრდის პერიოდის ჩათვლით, იყვნენ გამოცდილი მამაკაცი მუშები რკინისა და ფოლადის და მანქანათმშენებლობის ინდუსტრიაში. ისინი იყვნენ უვადო თანამშრომლები; წარმოებიდან მოუწყვეტლად (სამსახურში სწავლების გზით) ისინი იძენდნენ სპეციფიურ / კონკრეტულ უნარ-ჩვევებს პროფესიული მომზადების ფარგლებში; და მათ დადებითი წვლილი შეჰქონდათ ფირმათა მცირე საწარმოო ჯგუფების / ერთეულების საქმიანობაში. ისინი მოელოდნენ ხელფასისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას შრომითი სტაჟისა და ეკონომიკური ზრდის გზით. სავალდებულო განათლება გაგრძელდა / გახანგრძლივდა ექვსიდან ცხრა წლამდე და გაიზარდა მათი წილი, ვინც განაგრძობდა განთლების მიღებას, ასე რომ სამუშაო ძალის ინტელექტუალური ხარისხიც ასევე გაუმჯობესდა.

§ 2.3.2 დანაზოგები და კაპიტალის აკუმულაცია

წყნარი ოკეანის ომმა (The Pacific War; [1931/37-] 07.12.1941-15.08.1945.) უდიდესი მატერიალური ზიანი მიაყენა იაპონიას, რაც ეროვნული სიმდიდრის მეოთხედს შეადგენდა. **(Keizai antei honbu, *Taiheiyō sensō ni yoru wagakuni, higai sōgō hōkukusho*. Tokyo, 1949; Nakayama Ichirō, ed., *Nihon no kokufu kōzō*. Tokyo: Toyō 1959)** აგრეთვე, **THE CAMBRIDGE HISTORY OF JAPAN [Volume 6, The Twentieth Century.] Edited by Peter Duus. Cambridge, 1988. P 506. Table 10.4 [Wartime damage to national wealth**) ომის დასასრულს ეროვნული სიმდიდრე 1935 წლის დონემდე დაეცა. ფაქტობრივად, ომმა ნულამდე დაიყვანა კაპიტალის ყოველგვარი აკუმულაცია (დაგროვება) 1935-1945 წლებში. თუმცა, თუ შევადარებთ პროდუქტიულ აქტივობებს (საქმიანობებს), ცხადია, რომ ეკონომიკაში ჯერ კიდევ არსებობდა გარკვეული მანევრირების სივრცე / (მოქმედების) თავისუფლება. რეალური მეპ / მთლიანი ეროვნული პროდუქტი (GNP / Gross National Product) დავიდა ომამდელი დონის / მაჩვენებლის მხოლოდ ნახევარზე. თუ გადავხედავთ ინდუსტრიებს სექტორების მიხედვით, დავინახავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამომხმარებლო საქონლის ინდუსტრიის / მრეწველობის სიმძლავრე დაზიანდა, რადგან ბევრი ქარხანა გადაკეთდა სამხედრო / საომარ წარმოებად, პირიქით, ზიანის მაჩვენებელი შედარებით დაბალი იყო მძიმე და ქიმიურ მრეწველობაში. ფოლადისა და ელექტროენერგიის წარმოების ინდუსტრია / მრეწველობა ომიდანაც კი ისე გამოვიდა, რომ ქარხნების სიმძლავრე აღემატებოდა ომამდელ დონეს. **(Keizai antei honbu, *Taiheiyō sensō ni yoru wagakuni, higai sōgō hōkukusho*, Tokyo, 1949; Nakayama Ichirō, ed., *Nihon no kokufu kōzō*. Tokyo: Toyō 1959. აგრეთვე, THE CAMBRIDGE HISTORY OF JAPAN [Volume 6, The Twentieth Century.] Edited by Peter Duus. Cambridge, 1988. P 506. Table 10.5, P. 507.)**

როგორც უკვე ვნახეთ, პირველი ომისშემდგომი მცდელობა

სამრეწველო წარმოების სტიმულირებისთვის - „უპირატესი წარმოების მეთოდი“ (the priority production method) - იყო ამ უხვი კაპიტალის მარაგის კომბინირება (გაერთიანება) ჭარბ შრომასთან. სუსტ / ვიწრო ადგილს (ინგლ. Bottleneck) წარმოადგენდა ნედლეულის იმპორტის მოპოვების / მიღების სირთულე. მას შემდეგ, რაც იაპონიას მიეცა წვდომა უცხოურ ბაზრებზე, მისი ეკონომიკური აღდგენის პროცესი სწრაფი ტემპებით წარიმართა. აღდგენის პერიოდში, ქარხანაში ინვესტიცია კონცენტრირებული იყო შეკეთებასა და განახლებაზე. ზღვრული კაპიტალის კოეფიციენტი (ანუ, ინვესტიციის ოდენობა, რომელიც საჭიროა მთლიანი ეროვნული პროდუქტის [the GNP] 1 პროცენტით გაზრდისთვის) დაბალი დარჩა.

1955 წლისთვის, როდესაც ეკონომიკური აქტივობის დონე დაუბრუნდა ომამდელ მაჩვენებელს / დონეს, საჭირო გახდა ინვესტიციები ახალ ობიექტებში, რამდენადაც რეკონსტრუქციის პერიოდში (აღდგენის დროს) ინვესტიციები არც ისე ბევრი იყო. იაპონიის კაპიტალის მარაგი (capital stock ძირითადი ფონდები / კაპიტალი) ძველდებოდა, რაც ასუსტებდა იაპონური მრეწველობის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას. კორეის ომის (25.06.1950 – 27.07.1953) შემდეგ, ინვესტიციების რაციონალიზაცია (rationalization investment) დაიწყო რიგ ინდუსტრიებში. 1950-იანი წლების მეორე ნახევრისთვის იაპონური მრეწველობა გადავიდა თანამედროვე საწარმოო ობიექტებში ინვესტირებაზე. დაინერგა ახალი ტექნოლოგიები და შეიცვალა იაპონური ინდუსტრიის სახე. ეს ცნობილი იყო, როგორც პროცესი, როდესაც “ინვესტიციები შეპირობებულია (გამოწვეულია / სტიმულირდება) ინვესტიციებით” (tōshi ga tōshi o yobu). 1960-იანი წლების მეორე ნახევარში, მუშახელის დეფიციტის საპასუხოდ, ინვესტიციები ჩაიდო შრომის დაზოგვის ტექნოლოგიაში, ხოლო 1970-იან წლებში - გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო ობიექტებში.

ძირითადი ფონდების / კაპიტალის (capital stock) ზრდის ტემპი 1 პროცენტიდან 2 პროცენტამდე აღემატებოდა მთლიანი

ეკონომიკის ზრდის ტემპს. მიზეზი იყო ის, რომ ინვესტიციების ექსპანსია (გაფართოება) ქარხნებში შედარებით დაბალი იყო 1945 წლიდან 1955 წლამდე, მაგრამ სწრაფად გაიზარდა 1955 წლის შემდეგ. კაპიტალის ფორმირების ეს მაღალი მაჩვენებელი ფინანსდებოდა არა უცხოური კაპიტალიდან, არამედ შიდა დანაზოგების, განსაკუთრებით ინდივიდუალური დანაზოგების ზრდის შედეგად.

1946-1947 წლებში, საშუალო ურბანულ (ქალაქის) მუშათა საოჯახო / შინამეურნეობის სამომხმარებლო ხარჯები შეადგენდა მათი შემოსავლის 100 პროცენტზე მეტს. 1955 წლისთვის ეს მაჩვენებელი 90,8 პროცენტამდე შემცირდა, რაც ომამდელი დროის მსგავსია (1934-1936 წლების საშუალო მაჩვენებელი იყო 88,3 პროცენტი). მზარდი ეკონომიკური ზრდის კვალდაკვალ, მოხმარებისადმი მიდრეკილებამ განაგრძო კლება და დანაზოგების / დაზოგვის მაჩვენებელი ომამდელ მაჩვენებელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა. 1955 წლის შემდეგ იაპონიის ეკონომიკა გამოირჩეოდა მაღალი დანაზოგებით და მაღალი ინვესტიციებით.

არსებობს სხვადასხვა ჰიპოთეზა, რომელიც ხსნის საყოფაცხოვრებო დანაზოგის (the household savings) მაღალ მაჩვენებელს. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ რამდენადაც შემოსავალი მოსალოდნელზე უფრო სწრაფად იზრდებოდა, მოხმარება ვერ ეწეოდა (ე.ი. შემოსავლების პროპორციულად არ მიმდიანრეობდა მოხმარების ზრდის ტემპის ზრდა), რის შედეგადაც გაიზარდა დანაზოგი; სხვები მიუთითებენ მოსახლეობის შედარებით გაახალგაზრდავებაზე; ხოლო სხვები აღნიშნავდნენ, რომ რამდენადაც საბინაო მშენებლობა / საცხოვრებელი და სოციალური კეთილდღეობის / უზრუნველყოფის ობიექტები (social welfare facilities) ჩამორჩებოდა დანარჩენ ეკონომიკას, ხალხი აგროვებდა დანაზოგებს მომავლისთვის. თუმცა, მაღალი ზრდის პერიოდი ასევე იყო პერიოდი, როდესაც სულ უფრო მეტ ადამიანს მიაჩნდა, რომ მიაღწია საშუალო კლასის სტატუსს და დანაზოგების / დაზოგვის მაღალი მაჩვენებელი

შეიძლება დაკავშირებული იყოს საზოგადოების ცნობიერების ამ ცვლილებასთან.

პირადი დანაზოგები არ ინვესტირდებოდა პირდაპირ ბიზნესში, არამედ დეპონირდებოდა (ირიცხებოდა) საბანკო ანგარიშებზე. თავის მხრივ, ბიზნესი / კომერციული საწარმოები (საკუთარ) ინვესტიციებს ბანკების კრედიტებით / ბანკებიდან აღებული სესხებით აფინანსებდა. "არაპირდაპირი დაფინანსების" ("indirect finance") ამ სისტემის პირობებში წარმოიშვა თვითკაპიტალიზაციის (self-capitalization) დაბალი მაჩვენებელი (the low rate) ბიზნესებს (საწარმოები; კომპანიები / ფირმები) შორის, რაც ასე დამახასიათებელია სწრაფი ზრდის პერიოდისთვის.

§ 2.3.3 საგადამხდელო ბალანსის ჭერი / ზედა ზღვარი

1945-1973 წლებში ეკონომიკური ზრდის ყველაზე პირდაპირი ლიმიტაცია (შეზღუდვა) იყო საერთაშორისო საგადამხდელო ბალანსი (the international balance of payments). ომის დასრულებიდან 1955 წლამდე შიშობდნენ, რომ იაპონია ვერც კი შეძლებდა საკვებისა და ნედლეულის ძირითადი იმპორტის დაფინანსებას. შეერთებული შტატების დახმარების ან სპეციალური შესყიდვების პროგრამის (the special procurements program) გარეშე კორეის ომის დროს, როდესაც ამერიკელი სამხედროები იაპონიაში ახდენდნენ მარაგების შესყიდვას და აღჭურვილობის შეკეთებას, შეუძლებელი იქნებოდა ამ პერიოდის განმავლობაში საგადამხდელო ბალანსის წონასწორობის მიღწევა. **(*Tōyō keizai shinpōsha, Shōwa kokusei sōran.* Tokyo: Tōyō keizai shinpōsha, 1980, vol. 2, pp. 652, 660. აგრეთვე, THE CAMBRIDGE HISTORY OF JAPAN [Volume 6, The Twentieth Century.] Edited by Peter Duus. Cambridge, 1988. P 509. Table 10.6)** 1955 წლის შემდეგ საგასამხდელო ბალანსის მიმდინარე

ანგარიში (the balance-of-payments current account) წონასწორობას მიუახლოვდა. თუმცა, იაპონია ატარებდა ენერგიულ შიდა ზრდის პოლიტიკას უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებულების გარეშე. მისი უცხოური ვალუტის რეზერვები (foreign currency reserves უცხოური სავალუტო რეზერვები) შეძლებისდაგვარად მცირე იყო და ნებისმიერი რეზერვი, რომლის დაზოგვაც შეიძლებოდა, გამოიყენებოდა შემოსავლებისა და იმპორტის ზრდაზე ორიენტირებული გაფართოებისთვის (the growth-oriented expansion of income and imports). იმავდროულად, მთავრობა ასევე ატარებდა (მხარდამჭერ) პოლიტიკას, რომ შეენარჩუნებინა უცხოური ვალუტის კურსი ¥360 იენის $1.00 დოლართან მიმართებით, რომელიც დადგინდა 1949 წელს. შედეგად, (ყოველ ჯერზე) როდესაც წარმოიქმნებოდა დეფიციტი საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშში, მთავრობას არ ჰქონდა არჩევანი, გარდა იმისა, რომ დაეწია ეკონომიკური ექსპანსიის (გაფართოების / ზრდის) ტემპი და შეემცირებინა იმპორტი, რათა წონასწორობაში დაებრუნებინა საერთაშორისო საგადამხდელო ბალანსი. როდესაც 1954, 1957, 1961 და 1963 წლებში გაჩნდა საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი, მთავრობამ გაატარა მკაცრი ფულადი პოლიტიკა, საგადამხდელო ბალანსის შედარებით სწრაფად აღდგენის დასახმარებლად. როდესაც იაპონური ინდუსტრიების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა გაუმჯობესდა 1955-1965 წლებში, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი მოვიდა წონასწორობაში. 1965 წლის შემდეგ, მიმდინარე ანგარიშის პროფიციტი (ჭარბი რაოდენობა / სიჭარბე) თანდათან გაიზარდა და იაპონიამ შექმნა თავისი უცხოური ვალუტის რეზერვები. ამის მიზეზი ის იყო, რომ იაპონური საექსპორტო საქონლის ფასი რჩებოდა შედარებით სტაბილური, მაშინ როდესაც ინფლაცია ვრცელდებოდა იმ დროს ვიეტნამის ომში (01.11.1955 - 30.03.1975) მონაწილე შეერთებული შტატებიდან (აღნიშნულ ომში აშშ-ის გარდა ერთ მხარეს წარმოადგენდენ სამხრეთ ვიეტნამი, სამხრეთ კორეა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ლაოსი,

კამბოჯა (1967–1970), კმერის რესპუბლიკა (The Khmer Republic 1970–1975), ტაილანდი, ფილიპინები, ტაივანი.) სხვა მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებში. ამან იაპონური პროდუქტები შედარებით იაფი გახადა მსოფლიო ბაზარზე. 1970 წელს, მიმდინარე ანგარიშში ჭარბი პროფიციტით, იაპონიის ბანკმა (იაპონ. 日本銀行, რომანიზებული: Nippon Ginkō, ინგლ. The Bank of Japan / BOJ) გაატარა თავდაცვითი მკაცრი ფულადი პოლიტიკა, რისი შედეგიც იყო იაპონიის საგადამხდელო ბალანსის დრამატული (მნიშვნელოვანი / შთამბეჭდავი) ზრდა. ამ პროფიციტის დასაძლევად იენი გადაფასდა / ხელახლა შეფასდა 1971 წელს, ხოლო 1973 წელს იგი გადავიდა მცურავ კურსზე. **(https://epdf.tips/the-economic-emergence-of-modern-japan.html ; Yutaka Kōsai, THE POSTWAR JAPANESE ECONOMY, 1945-1973. Kōzō Yamamura, The economic emergence of modern Japan. University of Washington, CAMBRIDGE UNIVERSITY PRESS. PP. 174-175)**

§ 2.3.4 საფასო ტენდენციები

მას შემდეგაც კი, რაც "დოჯის სტაბილიზაციის გეგმამ" (The Dodge stabilization plan) შეაჩერა გაქცეული ფასების ომისშემდგომი ზრდა, იაპონია განაგრძობდა ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლას. როდესაც კორეის ომი (The Korean War) დაიწყო, ინფლაციური ტენდენციები განახლდა 1951 წელს და შეჩერდა მხოლოდ 1954 წელს მკაცრი ფულადი პოლიტიკის გატარებით. უშუალო ომისშემდგომი ინფლაცია გამოწვეული იყო სამომხმარებლო ფასების ზრდით, მაგრამ კორეის ომის ინფლაცია გამოწვეული იყო მწარმოებელი საქონლის (მწარმოებელი საქონელი / producer goods, რომელსაც ასევე უწოდებენ შუალედურ საქონელს / intermediate goods, ეკონომიკაში, საქონელი, რომელიც წარმოებულია და გამოიყენება შემდგომ წარმოებაში, გადამუშავებაში ან გადაყიდვაში. მწარმოებელი საქონელი ან

ხდება საბოლოო პროდუქტის ნაწილი, ან კარგავს თავის მკაფიო იდენტურობას წარმოების ნაკადში. მწარმოებელი საქონლის ფასები არ შედის ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტის [GNP] შეჯამებაში, რადგან მათი ჩართვა გულისხმობს ხარჯების ორმაგ დათვლას და გამოიწვევს GNP-ის გაზვიადებულ შეფასებას. მშპ-ში შედის მხოლოდ საბოლოო სამომხმარებლო საქონლის ფასი. მწარმოებელი საქონლის წვლილი GNP-ში შეიძლება განისაზღვროს დამატებული ღირებულების მეთოდით. ეს მეთოდი ითვლის საბოლოო სამომხმარებლო საქონელზე დამატებული ღირებულების რაოდენობას წარმოების პროცესის თითოეული ეტაპის მიხედვით. როდესაც წარმოების ყველა ეტაპზე დამატებული ღირებულებები დადგენილია, ისინი ჯამდება საბოლოო პროდუქტის მთლიანი ღირებულების შესაფასებლად.) ფასის ზრდით. ამ ინფლაციის შედეგად, უცხოური ვალუტის კურსი, რომელიც დადგინდა დაბალ დონეზე 1949 წელს დოჯის სტაბილიზაციის (the Dodge stabilization) დროს, შედარებით მაღალი გახდა. საერთაშორისო საგადამხდელო ბალანსი დაირღვა და იაპონური ინდუსტრიის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა შესუსტდა. ამ პრობლემების გადასაჭრელად ფიქსირებული გაცვლითი კურსის ფარგლებში, იაპონიამ საჭიროდ ჩათვალა, რომ შეემცირებინა ხარჯები თავის მძიმე და ქიმიურ მრეწველობაში, და ბევრმა ინდუსტრიამ / მრეწველობის მრავალმა დარგმა დაიწყო ინვესტიციების ჩადება საკუთრი ობიექტების რაციონალიზაციასა და მოდერნიზაციაში.

1955 წლიდან 1960 წლამდე ფასები შედარებით მყარი იყო, მაგრამ 1960 წლის შემდეგ გამოჩნდა ინფლაციის ახალი ფორმა - საბითუმო ფასები სტაბილური დარჩა, მაგრამ სამომხმარებლო ფასები გაიზარდა. ეს ფორმა (ნიმუში / მოდელი) წარმოიშვა შემდეგი მექანიზმის შედეგად: **(ძირითადი ნაშრომი ამ თემაზე არის: Takasuka Yoshihiro, *Gendai Nikon no bukka mondai,* rev. ed. Tokyo: Shinhyōron, 1975.)** პირველი, ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემის პირობებში ეკონომიკა ისე იმართებოდა, რომ მსოფლიო მასშტაბით ინფლაცია რომ არ

ყოფილიყო, საექსპორტი და საბითუმო ფასები სტაბილური დარჩებოდა. მეორე, მიუხედავად იმისა, რომ ხელფასების სხვაობა დიდ და მცირე საწარმოებს შორის მცირდებოდა, შრომის / სამუშაო ძალის ჭარბი მიწოდებიდან შრომის / სამუშაო ძალის დეფიციტზე გადასვლის გამო, მათ შორის მაინც იყო უფსკრული პროდუქტიულობის (ნაყოფიერების) / მწარმოებლურობის ზრდის თვალსაზრისით. პროდუქტიულობა გაიზარდა მასობრივი წარმოების მსხვილ საწარმოებში, მაგრამ შრომის დანახარჯები - და შესაბამისად წარმოების ხარჯები - გაიზარდა შრომის ინტენსიური / შრომატევადი მცირე და საშუალო წარმოებისა და მომსახურების საწარმოებში. მესამე, სამომხმარებლო ფასების მატება დაშვებული იყო იქამდე, ვიდრე ის არ იმოქმედებდა ხელფასების ზრდაზე და, შესაბამისად, საექსპორტო საქონლის ფასებზე.

სხვა სიტყვებით (რომ ვთქვათ), მიუხედავად იმისა, რომ ფასები სტაბილური იყო სექტორში, სადაც პროდუქტიულობის ზრდა იყო მაღალი, ფასები და ხარჯები გაიზარდა იმ სექტორში, სადაც პროდუქტიულობა იყო დაბალი. სამომხმარებლო ფასების ზრდა ჩვეულებრივ შეკავებული იქნა დაბალი ხელფასებით იმ სექტორებში, რომლებშიც შრომის ნაყოფიერება იყო დაბალი, მაგრამ როდესაც სრულმა დასაქმებამ მოახდინმა იმ მუშაკების ელიმინირება-განეიტრალება, რომლებსაც სურდათ და რომლებიც თანახმა იყვნენ ემუშავათ დაბალ ანაზღაურებაზე, წარმოიქმნა აღწერილი სახის ინფლაცია "პროდუქტიულობის / მწარმოებლურობის უფსკრული / ხარვეზი" ("productivity gap"). 1960-იანი წლების ბოლოს, მთელ მსოფლიოში შეინიშნებოდა ინფლაციის ტენდენცია. იმ პირობებში, სანამ ფიქსირებული გაცვლითი კურსი პრევალირებდა და იყო მცდელობები თავიდან აეცილებინათ საგადამხდელო ბალანსის პროფიციტი, დადებითი საგადამხდელო ბალანსის ზრდა (მაგ., იაპონიამ 1969 წელს საერთაშორისო საგადამხდელო ბალანსში დაარეგისტრირა რეკორდული ჭარბი 2,28 მილიარდი აშშ დოლარი **(ელ. რესურსი: The New York Times https://www.nytimes.com ›**

japa...)), შიდა მოთხოვნის ექსპანსიის (გაფართოების / ზრდის) აქსელერაციის (დაჩქარების) ერთადერთი გზა ფისკალური საშუალებები იყო. ფასების ზრდის თავიდან ასაცილებლად, 1969 წელს გატარდა მკაცრი ფულადი პოლიტიკა. როგორც ვნახეთ, ამან მხოლოდ გააფართოვა პროფიციტი / დადებითი სალდო საერთაშორისო საგადამხდელო ბალანსში. შესაბამისად, 1970-იანი წლების დასაწყისში მთავრობა შეეცადა ფულის მიწოდებისა და ფისკალური ხარჯების გაზრდას. ამ ზომების მიღებით, ისევე როგორც საგარეო ინფლაციის შედეგად, 1973 წლის შემოდგომისთვის იაპონიაში საბითუმო ფასების დონე წინა წელთან შედარებით გაიზარდა 20 პროცენტით უფრო მეტად. **(ამ საკითხზე მთავარი ნაშრომი ეკუთვნის ტაკასუკე იოშიჰიროს: Takasuka Yoshihiro, Gendai Nihon no bukka mondai, rev. ed. Tokyo: Shinhyoron, 1975.)** ამ დროს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ (OPEC / the Organization of Petroleum Exporting Countries) გაზარდა ფასები, იაპონია ჩააგდო ჰიპერინფლაციის, ანუ "გიჟური ფასების" (იაპონ. 狂乱物価, რომანიზებული: kyōran bukka, ინგლ. "crazy prices"; იგივე, ინგლ. soaring / skyrocketing prices, სწრაფად მზარდი / შეუკავებელი ფასები) ტალღაში. ფიქსირებული გაცვლითი კურსის შენარჩუნების პოლიტიკამ ხელი შეუწყო ინფლაციის განვითარების პრევენციას (თავიდან აცილებას) 1960-იანი წლების შუა პერიოდებამდე, მაგრამ (მას) საპირისპირო ეფექტი ჰქონდა 1970-იან წლებში, როდესაც მსოფლიოში არსებობდა ინფლაცია და იაპონური ინდუსტრია უფრო კონკურენტუნარიანი გახდა. **(https://epdf.tips/the-economic-emergence-of-modern-japan.html ; Yutaka Kōsai, THE POSTWAR JAPANESE ECONOMY, 1945-1973. Kōzō Yamamura, The economic emergence of modern Japan. University of Washington, CAMBRIDGE UNIVERSITY PRESS. PP. 176-177)**

§ 2.3.5 შემოსავლის განაწილება

რაც შეეხება ეროვნული შემოსავლის განაწილებას **(Tōyō keizai shinpōsha, *Shōwa kokusei sōran.* Tokyo: Tōyō keizai shinpōsha, 1980, vol. 1, p. 91. თვითდასაქმებულთა რაოდენობა, და თვითდასაქმებულთა შემოსავალი ერთ ადამიანზე დადასაქმებულთა / მოსამსახურეთა შემოსავალთან შედარებით ერთ ადამიანზე ეფუძნება შემდეგ წყაროს: Keizai kikakuchō, *Gendai Nihon Keizai no tenkai*. Tokyo: Keizai kikakuchō, 1976, p. 599** აგრეთვე, **THE CAMBRIDGE HISTORY OF JAPAN [Volume 6, The Twentieth Century.] Edited by Peter Duus. Cambridge, 1988. P. 511. Table 10.7)**, უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ინდივიდუალური / ცალკეულო ბიზნესის მფლობელებისთვის მიღებული შემოსავალი არანორმალურად გაიზარდა, მაგრამ ეროვნული შემოსავლის წილი, რომელიც მოდიოდა დასაქმებულთა შემოსავალზე (employee income), საკუთრების / ქონების შემოსავალსა (property income) და კორპორაციის შემოსავალზე (corporation income), არსებითად შემცირდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ თანამედროვე სამრეწველო წარმოება პარალიზებული იყო და ბევრი ადამიანი გახდა ფერმერი ან ვაჭარი, რათა ეკონომიურად გადარჩენილიყო. ომისშემდგომი ეკონომიკის აღდგენისას, ეროვნული შემოსავლის წილი, რომელიც მიდიოდა დასაქმებულთა შემოსავალსა და კორპორატიულ შემოსავალზე, სწრაფად აღდგა, მაგრამ საკუთრებიდან / ქონებიდან მიღებული შემოსავლის წილი დარჩა დაბალი. მიზეზი იმისა, რომ ქონების შემოსავალი დაბალი დარჩა იყო ის, რომ შემოსავალი მოიჯარეების იჯარიდან / არენდის გადასახადიდან (tenant rents) ფაქტობრივად გაქრა მიწის რეფორმის შედეგად, ხოლო პროცენტები (interest), მიწის ფასი (land prices) და საცხოვრებლის / ბინის ქირა (housing rents) კონტროლდებოდა მთავრობის მიერ ინფლაციაზე დაკვირვებისთვის (მის შესამოწმებლად და შესაკავებლად).

სწრაფი ეკონომიკური ზრდის პერიოდში, დასაქმებულთა

/ თანამშრომელთა (employees) და კორპორატიული შემოსავლების წილი განუხრელად იზრდებოდა, ხოლო ინდივიდუალური ბიზნესის მფლობელების (individual business owners) წილი ომამდელ დონეზე ქვემოთაც კი დაეცა. კორპორატიული შემოსავლის ზრდა აისახა ბიზნესის მოგების ზრდაში, მაღალი ინვესტიციებისა და მაღალი ეკონომიკური ზრდის გამო. საოკუპაციო / დასაქმების სტრუქტურის (occupational structure) ცვლილებებმა (ანუ, ცვლილებებმა დასაქმების / პროფესიულ სტრუქტურაში) განაპირობა დასაქმებულთა (employees) შემოსავლის წილის ზრდა, რომელთა ოდენობაც იზრდებოდა, ხოლო ინდივიდუალური ბიზნესის მფლობელების წილის შემცირება, რომელთა რიცხვიც ოჯახის / ოჯახის წევრების დასაქმებულებთან (family employees) ერთად კლებულობდა. მაგრამ დასაქმებულთა (employees) ერთ სულ მოსახლეზე (per capita) შემოსავალი, ცალკეული ბიზნესის / საწარმოს მფლობელების (individual business owners) ან ოჯახის / ოჯახის წევრების დასაქმებულებთან (family employees) ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალთან შედარებით, აჩვენებს, რომ მათ შორის უფსკრული ვიწროვდებოდა.

ინდივიდუალური შემოსავლების განაწილება უფრო დიდი თანასწორობისკენ მოძრაობდა. ომისშემდგომი რეფორმები, - მიწის რეფორმა (land reform), ზაიბაცუს დაშლა (zaibatsu dissolution) და შრომის / შრომითი რეფორმა (labor reform) - ყველა ფუნქციონირებდა (მუშაობდა) შემოსავლების განაწილების თანასწორობის უზრუნველსაყოფად. ომისშემდგომმა ინფლაციამ და გაღატაკებამ, 1946 წლის ქონების გადასახადის აკრეფასთან ერთად, ხელი შეუწყო "სიღარიბის თანასწორობას" ("equality of poverty"). ეკონომიკური აღდგენის წინსვლის კვალდაკვალ, შემოსავლების განაწილებამ აჩვენა თანასწორობის შემცირების ნიშნები, მაგრამ დაახლოებით 1960 წლისთვის, სრული დასაქმების თანმხლები სახელფასო განსხვავების შემცირებით, რომელიც თან ახლავს სრულ დასაქმებას, განახლდა შემოსავლების გათანაბრების ტენდენცია,

განსაკუთრებით ხელფასებთან მიმართებით. სწრაფი ზრდის პერიოდში, იაპონია, ყველა მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყანას შორის, გახდა შემოსავლების ყველაზე თანაბარი განაწილების ქვეყანა. **(M. Sawyer, Income Distribution in OECD Countries. Paris: OECD, 1976. Tachibanaki Yoshiaki, "Shunyu bunpai to shotoku bunpu no fubyōdō", Kikan gendai keizai, no. 28, 1977. PP. 160-75.)** სოიერის (Sawyer) ნაშრომის გამოყენებით, ტაჩიბანაკიმ (Tachibanaki) გამოთვალა ჯინის კოეფიციენტი მთლიანი [გადასახადამდე] შემოსავლის (gross [pretax] income) განაწილებისთვის შემდეგნაირად: იაპონია 0,335, შვედეთი 0,356, დასავლეთ გერმანია 0,396, აშშ 0,404 და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (Organisation for Economic Co-operation and Development, OECD) საშუალო 0,366.)).

შემოსავლების განაწილების თანასწორობა წარმოადგენდა საშუალო ფენის ცნობიერების გავრცელების წინაპირობას მოსახლეობაში. 1960-იან წლებში იაპონელების თითქმის 90 პროცენტი გრძნობდა, რომ ისინი სარგებლობდნენ საშუალო კლასის ცხოვრების სტანდარტით. **(Keizai kikakuchō, *Gendai Nihon Keizai no tenkai*. Tokyo: Keizai kikakuchō, 1976, p. 207. აგრეთვე, THE CAMBRIDGE HISTORY OF JAPAN [Volume 6, The Twentieth Century.] Edited by Peter Duus. Cambridge, 1988. P 513. Table 10.8)** საშუალო კლასის ამ ცნობიერებამ ხელი შეუწყო ხანგრძლივი მოხმარების საქონლის (durable consumer goods) სწრაფ დიფუზიას (გავრცელებას / მოძრაობას), უნივერსიტეტებში შემსვლელი ახალგაზრდების რაოდენობის ზრდას, საკუთარი სახლის (home ownership) ქონის ძლიერ სურვილს და დაზოგვის მაღალ მაჩვენებელს (savings rate), რაც (ყველა ერთად) ასტიმულირებდა ეკონომიკურ ზრდას. მასობრივი წარმოების ინდუსტრიების (დარგების) განვითარებამ, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ხანგრძლივი მოხმარების საქონლის (consumer durables) (consumer durables, - ასევე ცნობილი როგორც გამძლე საქონელი, არის სამომხმარებლო სა-

ქონლის კატეგორია, რომელიც სწრაფად არ ცვდება და ამიტომ არ არის საჭირო ხშირი შეძენა. ისინი საცალო გაყიდვების ძირითადი მონაცემების ნაწილია და ითვლება გამძლედ, რადგან ისინი მოხმარებაშია მინიმუმ სამი წლის განმავლობაში, როგორც ეს განსაზღვრულია აშშ-ს კომერციის დეპარტამენტის მიერ.) საჭირო მასალების მიწოდებას წარმოებისთვის, გაზარდა მოთხოვნა შრომაზე, დააჩქარა სრული დასაქმების მიღწევა, ხელი შეუწყო მუშათა მოძრაობას (the movement of the labor force) და სტიმული მისცა შემოსავლების უფრო თანაბარ განაწილებას. თავის მხრივ, ამან ხელი შეუწყო იაპონური სტილის მასობრივი მოხმარების საბაზრო ეკონომიკას (Japanese-style mass-consumption), რომელშიც მზარდი მოთხოვნა ხანგრძლივი მოხმარების საქონლზე (სამომხმარებლო გამძლე პროდუქტებზე / consumer durables) თანაარსებობდა დაზოგვის მაღალ მაჩვენებელთან (a high savings rate) ერთად. ინდუსტრიული საზოგადოების ამ დინამიურმა ლოგიკამ შეინარჩუნა ზრდის მაღალი ტემპი (the high growth rate).

§ 2.3.6 მოთხოვნის ზრდა

ომისშემდგომი იაპონიის ეკონომიკა ინარჩუნებდა სწრაფ ზრდას მისი საგადამხდელო ბალანსით დაწესებული ლიმიტების ფარგლებში და უცხოურ კაპიტალზე დაყრდნობის გარეშე. მნიშვნელოვანმა დანაზოგებმა, სამუშაო ძალის / შრომის უხვად მიწოდებამ, შიდა ინვესტიციებმა და მოხმარების მოთხოვნამ ეს შესაძლებელი გახადა. თუ გადავხედავთ მშპ-ს 1946 წლიდან 1955 წლამდე სასაქონლო მოთხოვნის მიხედვით (როგორც კლასიფიცირებულია მოთხოვნის მუხლების / პუნქტების მიხედვით), ინდივიდუალური მოხმარების ზრდა შთამბეჭდავია. 1955 წლიდან ინვესტიციების ექსპანსია (გაფართოება) საჯარო დაწესებულებებში აგრეთვე გასაოცარია, და 1970 წლამდე ექსპორტი ასევე ავლენდა ზრდის ტენდენციას.

(Kokumin shotoku tōkei: 1946-55: Keizai kikakuchō, *Gendai Nihon Keizai no tenkai*. Tokyo: Keizai kikakuchō, 1976, p.p 578-9. 1955-65, 1965-75: Tōyō keizai shinpōsha, *Shōwa kokusei sōran.* Tokyo: Tōyō keizai shinpōsha, 1980, vol. 1, pp. 99-100. Figures based on old SNA. აგრეთვე, THE CAMBRIDGE HISTORY OF JAPAN [Volume 6, The Twentieth Century.] Edited by Peter Duus. Cambridge, 1988. P. 513. Table 10.9)

ომისშემდგომი რეკონსტრუქციისას (აღდგენისას) მომხმარებელთა მოთხოვნის ექსპანსიის (გაფართოების) მიზეზი ის იყო, რომ ომის დროს იაპონიის ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცა, თითქმის საარსებო მინიმუმამდე. ეს ასტიმულირებდა ზეწოლას რეკონსტრუქციისთვის (აღდგენისთვის). რეკონსტრუქციის (აღდგენის) დასრულების შემდეგ, ინვესტიციები ქარხნების მოდერნიზაციაში გააქტიურდა და მოხმარების ექსპანსია (გაფართოება) შენარჩუნდა ხანგრძლივი მოხმარების პროდუქტების (სამომხმარებლო გრძელვადიანი პროდუქტების) დიფუზიით (გავრცელებით / მოძრაობით). პროცესი, რისი საშუალებითაც განვითარდა მასობრივი წარმოება იაპონიაში, ასევე იყო პროცესი, რითაც შეიქმნა (და რომლითაც იგი გახდა) მასობრივი მოხმარების საზოგადოება.

ინდუსტრიული (სამრეწველო) განვითარების საპასუხოდ, ადამიანები იცვლიდნენ როგორც სამუშაოს, ისე საცხოვრებელ ადგილს. 1955 წლიდან 1970 წლამდე დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 15,22 მილიონით, 18,17-დან 33,39 მილიონამდე; ქალაქების მოსახლეობა გაიზარდა 50-დან 75 მილიონამდე, ხოლო მათი წილი მთლიან მოსახლეობაში 56,3-დან 72,1 პროცენტამდე გაიზარდა. დასაქმება (თვითდასაქმების გამოკლებით) და ურბანიზაცია იმყოფებოდა უნისონში. ამ პერიოდში მოხმარების დონეც გაორმაგდა. თუ გადავხედავთ ურბანული მუშაკების საყოფაცხოვრებო / საოჯახო ბიუჯეტის (household budget) მოხმარების შინაარსს (შემადგენლობას / სტრუქტურას), დავინახავთ, რომ ენგელის კოეფიციენტი (the Engel's coefficient ან Engel's Law. ენგელის კოეფიციენტი, ენგელის კა-

ნონზე დაფუძნებული, არის ქვეყნის [მოსახლეობის] ცხოვრების დონის საყოველთაოდ გამოყენებული საზომი. ზოგიერთი ქვეყანა ასევე იყენებს მას სიღარიბის ზღვრის დასადგენად. კოეფიციენტი გამოითვლება საკვების ხარჯების მთლიან დანახარჯებზე გაყოფით. ენგელის კოეფიციენტი, ან ენგელის კანონი არის სტატისტიკური თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ იდეალურ შემთხვევაში, როგორც იზრდება შემოსავალი, ისე მცირდება შემოსავლის პროცენტი, რომელიც იხარჯება საკვებზე [ე.ი. შემოსავლის ზრდას თან ახლავს საკვებზე დახარჯული შემოსავლის პროცენტის კლება.]) შემცირდა 44,5 პროცენტიდან 1955 წელს 32,4 პროცენტამდე 1970 წელს **(Tōyō keizai shinpōsha, *Shōwa kokusei sōran.* Tokyo: Tōyō keizai shinpōsha, 1980, vol. 2, p. 358. აგრეთვე, THE CAMBRIDGE HISTORY OF JAPAN [Volume 6, The Twentieth Century.] Edited by Peter Duus. Cambridge, 1988. P 514. Table 10.10)**. ამის საპირისპიროდ, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენაზე დახარჯული თანხა 8,5-ჯერ გაიზარდა, კულტურული და გასართობი ხარჯები კი 5,1-ჯერ.

1957 წელს არასასოფლო-სამეურნეო ოჯახების / საოჯახო მეურნეობების 7,8 პროცენტი ფლობდა შავ-თეთრ ტელევიზორს, მაგრამ 1965 წლისთვის ეს მაჩვენებელი 95 პროცენტამდე გაიზარდა. იმავე პერიოდში, ელექტრო ან გაზის მაცივრების მფლობელი ოჯახების / შინამეურნეობების (households) რაოდენობა შეიცვალა 2.8-დან 68.7 პროცენტამდე, ხოლო სარეცხი მანქანების მფლობელი ოჯახების / შინამეურნეობების (households) რაოდენობა 20.1-დან 78.1 პროცენტამდე. **(Tōyō keizai shinpōsha, *Shōwa kokusei sōran.* Tokyo: Tōyō keizai shinpōsha, 1980, vol. 2, pp. 603-604. აგრეთვე, THE CAMBRIDGE HISTORY OF JAPAN [Volume 6, The Twentieth Century.] Edited by Peter Duus. Cambridge, 1988. P 515. Table 10.11)** ხანგრძლივი მოხმარების საქონლის (გრძელვადიანი სამომხმარებლო საქონლის) ფლობა კვლავ გაიზარდა 1960-იანი წლების მეორე ნახევარში, თუმცა მომხმარებელთა პრეფერენ-

ციებმა (უპირატესობებმა) გადაინაცვლა ძვირადღირებულ საქონელზე. 1967 წელს არასასოფლო-სამეურნეო ოჯახების / შინამეურნეობების მხოლოდ 2.2 პროცენტი ფლობდა ფერად ტელევიზორს, მაგრამ 1975 წლისთვის უკვე - 90.9 პროცენტი. ასევე გაიზარდა ავტომობილების მფლობელობა 1967 წელს 11 პროცენტიდან 1975 წელს 37,4 პროცენტამდე, ხოლო კონდიციონერებზე - 2,6-დან 21,5 პროცენტამდე. ეს ხანგრძლივი მოხმარების საქონელი (გამძლე სამომხმარებლო საქონელი), რომელსაც მოიხსენიებენ / უწოდებენ ისეთი სახელებით, როგორიცაა "სამი საყოფაცხოვრებო წმინდა ნივთი" ("three household sacred items" or "three C's" ფერადი ტელევიზორი, სარეცხი მანქანა და მაცივარი), იყო იაპონიის მასობრივი მოხმარების საზოგადოების გაჩენის მოწმობა. რამდენადაც იაპონელების უმეტესობა თავს საშუალო ფენას მიაკუთვნებდა, ადვილი იყო მათი ცხოვრების წესი ჰომოგენური (ერთგვაროვანი) გამხდარიყო. ამან ხელი შეუწყო ხანგრძლივი მოხმარების საქონლის (სამომხმარებლო გრძელვადიანი საქონლის) სწრაფ გავრცელებას, რადგან ადამიანები ცდილობდნენ, რომ არ ჩამორჩენოდნენ მეზობლებს.

დასაქმების დიდმა ზრდამ, რომელიც თან ახლდა იაპონიის ინდუსტრიულ განვითარებას, გამოიწვია დაბალი შემოსავლების მქონე დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება და შემოსავლების განაწილების გათანაბრება. თუ 500-ზე მეტი მუშაკის მქონე კომპანიებში ხელფასები მოცემულია 100-ის ინდექსით, მაშინ 30-დან 99-მდე მუშაკის მქონე საწარმოებში ანაზღაურება იყო მხოლოდ 58,8 ინდექსით 1955 წელს, მაგრამ 1965 წლისთვის ეს გაიზარდა 71-მდე. საწარმოებში, ხელფასებს შორის სხვაობა სამუშაოს კატეგორიის (თანამდებობრივი მდგომარეობის / პოზიციის) მიხედვით იყო შედარებით მცირე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1970 წლისთვის, ყველა მოწინავე ქვეყანას შორის, იაპონია გამოირჩეოდა ინდივიდუალური შემოსავლების ყველაზე სამართლიანი განაწილებით. იაპონიაში სახლის საკუთრების მაჩვენებელი უფრო დაბალი იყო,

ვიდრე შეერთებულ შტატებში, მაგრამ უფრო მაღალი ვიდრე დასავლეთ ევროპაში. სტუდენტების მაჩვენებელი, რომლებიც აგრძელებდნენ სწავლას სავალდებულო საფეხურს ზევით, გაიზარდა 47,4 პროცენტიდან 1955 წელს 79,4 პროცენტამდე 1970 წელს, ხოლო კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტების მაჩვენებელი გაიზარდა 17,2-დან 24,2 პროცენტამდე (ეს მაჩვენებლები გაიზარდა 1975 წელს 91,9 პროცენტამდე და 38,4 პროცენტამდე).

თავი 2.
იაპონიის ეკონომიკური ბუმი (1955-1965 წწ. და 1966-1972 წწ.)

§1 დეველოპმენტალიზმის პოლიტიკა: მაღალი ეკონომიკური ზრდა და მისი შედეგები

§ 1.1 „ეკონომიკური სასწაულის" ხარჯები და სარგებელი

ეგრეთ წოდებული "შემოსავლის გაორმაგების გეგმა" (Income Doubling Plan) შემუშავდა იკედას კაბინეტის მიერ (the Ikeda Cabinet), ხოლო საბურო ოკიტამ (Saburo Okita), რომელიც იყო ეკონომიკური დაგეგმვის სააგენტოს ყოვლისმომცველი დაგეგმვის ბიუროს გენერალური დირექტორი (Director-general of the Economic Planning Agency's Over-all Planning Bureau) დაგეგმვაზე იკისრა უშუალო / პირდპირი პასუხისმგებლობა.

პრემიერ მინისტრი ჰაიატო იკედა (Hayato Ikeda) და ეკონომისტი, დოქტორი ოსამუ შიმომურა (economist Dr. Osamu Shimomura), მისი ახლო მრჩეველი, დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ იაპონიის ეკონომიკას შეეძლო სწრაფი ზრდის მიღწევა. მაგრამ ეკონომიკური დაგეგმვის სააგენტომ (Economic Planning Agency), რომელსაც ევალებოდა გეგმის შემუშავება, მიზნად დაისახა გარკვეულწილად ზომიერი ზრდის მიღწევა და შეიმუშავა გეგმა, რომელიც უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებდა ბალანსის უზრუნველყოფას ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებს შორის.

გეგმას შემდეგი ხუთი ძირითადი მიზანი ჰქონდა:

1. სოციალური ზედნადები კაპიტალის გაძლიერება; (Strengthening of social overhead capital;)

2. ეკონომიკის მაღალინდუსტრიული სტრუქტურის გა-

ნხორციელების სტიმული; (Inducement to realize a highly industrialized structure of the economy;)

3. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებთან ექსპორტის ხელშეწყობა და ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება; (Promotion of exports and strengthening of economic cooperation with less developed countries;)

4. ადამიანის შესაძლებლობების განვითარება და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების წინსვლა; და (Development of human ability and advancement of science and technology; and)

5. ორმაგი სტრუქტურის შერბილება და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა. (Mitigation of the dual structure and securing of social stability.)

მგეგმავთა / დამგეგმავების უპირველესი მიზანი იყო არა მხოლოდ ეროვნული შემოსავლის გაორმაგება, არამედ ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევა ეკონომიკური ზრდის პროცესში.

თუმცა, გეგმის შედგენის შემდეგ განხორციელებულმა ეკონომიკური ზრდის ფაქტობრივმა ტემპმა არსებითად გადააჭარბა მიზანს და მიაღწია წლიურ 10%-ს, ხოლო ეროვნული შემოსავლისა და GNP - ის მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ) (gross national product (GNP)) გაორმაგება (**JAPAN IN THE WORLD ECONOMY, By Saburo Okita. P. 7)** ათი წლის ნაცვლად შვიდ წელიწადში შესრულდა / განხორციელდა. (ibid. P. 8) (აქ საუბარია ქვეყნის მთლიან ეროვნულ შემოსავალზე (მეშ) [gross national income (GNI)], ადრე ცნობილი როგორც მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ) [(gross national product (GNP)]).

რა დაეხმარა იაპონიის ეკონომიკას მიეღწია ასეთი სწრაფი ზრდისთვის?

მაშასადამე, იაპონურ საზოგადოებაში, რომელიც ხასიათდებოდა ჭარბი სამუშაო ძალით, დაბალი შემოსავლითა და ფართოდ გავრცელებული ზოგადი განათლებით, შრომის ნაყოფიერება სწრაფად იზრდებოდა / უმჯობესდებოდა, ძირითადად, მოწინავე უცხოური ტექნოლოგიების დანერგვით. ამან შესაძლებელი გახადა დანაზოგების / დაზოგვის მაღალი მაჩვენებლის

მიღწევა (a high rate of savings). მან ასევე გააძლიერა იაპონიის სამრეწველო პროდუქციის კონკურენტული პოზიცია მსოფლიო ბაზრებზე, რამაც შესაძლებელი გახადა გაზრდილი იმპორტის შესყიდვები, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკის სწრაფი ზრდისთვის. ეს ანალიზი ეფუძნება ინტერპრეტაციას, რომლის თანახმად, ეკონომიკური ზრდის ძალიან მაღალი ტემპი მიღწეული იქნა ჭარბი შრომის, დაბალი შემოსავლისა და დაბალი პროდუქტიულობის სტადიიდან სამუშაო ძალის დეფიციტის, მაღალი შემოსავლისა და მაღალი პროდუქტიულობის სტადიაზე გადასვლის პროცესში. **(ibid. P. 8)**

იკედას „შემოსავლის გაორმაგების“ გეგმა უფრო სიმბოლო და შედეგი იყო, ვიდრე იაპონიის „ეკონომიკური სასწაულის“ მიზეზი (Japan's „economic miracle“). იმ დროისთვის, როდესაც ეს გამოცხადდა, ქვეყნის ეკონომიკა 1950-იან და 1960-იან წლებში სამი მდგრადი ბუმიდან მეორეში გადავიდა**.** პირველი, სახელწოდებით „ჯიმუ ბუმი“ (ინგლ. the „Jimmu boom“, რომანიზებული: Jimmu keiki), მოხდა 1950-იან წლებში, რომელიც მოიცავდა ოცდათერთმეტთვიან პერიოდს 1955 წლის დასაწყისიდან 1957 წლის შუამდე; მეორე, მოიხსენიება როგორც „გამოქვაბულის ბუმი“ (ინგლ. the „cave boom“, რომანიზებული: iwato keiki), დაიწყო 1958 წლის შუა ხანებში და გაგრძელდა ორმოცდაორი თვე 1961 წლის ბოლომდე. პირველი ბუმის დროს რეალური მშპ წელიწადში დაახლოებით 8 პროცენტით გაიზარდა; მეორეში ზრდის ტემპი საშუალოდ 10 პროცენტზე მეტი იყო. სერიის ბოლო და ყველაზე ხანგრძლივი, „იზანაგის ბუმი“ (ინგლ. the „Izanagi boom“, გარომანულებული/რომანიზებული: Izanagi keiki*)*, დაიწყო 1965 წლის ბოლოს და გაგრძელდა ორმოცდათექვსმეტი თვის განმავლობაში 1970 წლის შუა პერიოდამდე, საშუალო ზრდის ტემპით 11 პროცენტზე მეტი წელიწადში. **(იხ. Kanamori, Hisao "Tenbō I: Kyōran doto no naka no seichō": In *Shōwa keizai shi,* pp. 369-371; ed. Hiromi, Arisawa. Tokyo: Nihon keizai shinbunsha, 1976. Kōsai, Yutaka "Iwato keiki" In *Shōwa keizai shi,* pp. 378-80; ed. Hiromi, Arisawa. Tokyo:**

Nihon keizai shinbunsha, 1976. Iki Makoto, "Izanagi keiki", In *Shōwa keizai shi,* pp. 474-477. ed. Hiromi, Arisawa. Tokyo: Nihon keizai shinbunsha, 1976.)

ბუმების ამ თანმიმდევრობამ დააჩქარა კაპიტალის ფორმირება, გამოიწვია მასობრივი ინვესტიციები ქარხნებსა და აღჭურვილობაში და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა იაპონელი მწარმოებლების კონკურენტული პოზიცია საერთაშორისო ბაზრებზე. 1960 წლისთვის იაპონიის მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი / Gross National Product [GNP]) გახდა მეხუთე უმსხვილესი მსოფლიოს საბაზრო ეკონომიკებს შორის, რომელიც ჩამორჩებოდა მხოლოდ შეერთებული შტატებს, დასავლეთ გერმანიას, გაერთიანებულ სამეფოსა და საფრანგეთს; 1968 წლისთვის მან ყველას გადაუსწრო შეერთებული შტატების გარდა. ეკონომიკის ექსტრაორდინალურმა (გამორჩეულმა / განსაკუთრებულმა) ზრდამ და ტრანსფორმაციამ დიდი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ იაპონიის საერთაშორისო სტატუსსა და იმიჯზე, არამედ მის შიდა საზოგადოებასა და პოლიტიკაზეც.

სწრაფი ეკონომიკური ზრდა წარმოადგენდა (დ)აჩქარებული ინდუსტრიალიზაციის რეზულტატს, რაც თავის მხრივ იყო ქვეყნის ინტენსიური ურბანიზაციის მიზეზიც და შედეგიც. 1960-იანი წლების დასაწყისში ქვეყნის მასშტაბით დაიწყო სოფლის მაცხოვრებლების მასობრივი მიგრაციები. ათწლეულის შუა პერიოდისთვის მრავალი სოფელი გაუკაცრიელდა, მაშინ როცა ქალაქებში, განსაკუთრებით ტოკიოს (Tokyo), ოსაკასა (Osaka) და ნაგოიას (Nagoya) ირგვლივ, იწყო გამოვლენა ჭარბი მოსახლეობის / გადატვირთულობის გამო წარმოქმნილმა დაძაბულობის ნიშნებმა. ათწლეულის ბოლოს მიგრანტების ნაკადი სამ უდიდეს ქალაქში გარკვეულწილად შენელდა, მაგრამ (დ)აჩქარდა შედარებით მცირე ურბანულ ცენტრებში, როგორიცაა საპორო (Sapporo), სენდაი (Sendai), ჰიროშიმა (Hiroshima), ფუკუოკა (Fukuoka) და კიტა-კიუშუ (Kita-Kyushu). **(Nishio Masaru, "Kaso to kamitsu no seiji gyōsei". In *Nenpō seijigaku,* 1977, p. 231 *(55 -nen taisei no keisei to hokai: Zoku***

***gendai Nihon no seiji katei)*. ed. Nihon seiji gakkai. Tokyo: Iwanami shoten, 1979.)**

ჭარბმოსახლეობამ / გადატვირთულობამ გამოიწვია სივრცისა და საცხოვრებლის მწვავე დეფიციტი დიდ ქალაქებში. ეს მდგომარეობა გამწვავდა 1950-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული მზარდი ტენდენციით, როცა ტრადიციული მრავალშვილიანი ოჯახები დაიშალა პატარა / მცირე ბირთვულ ოჯახებად. შედეგად, 1970-იანი წლების პირველ წლებში, ქალაქებში დასაქმებული ოჯახების თითქმის 45 პროცენტი იყო მემამულე (არენდატორი / გამქირავებელი). **(Keizai, kikakuchō sōgō keikakukyoku, ed., *Shotoku shisan bunpai no jittai to mondaiten: Shotoku bunpai ni kansuru kenkyūkai hōkoku*. Tokyo: Ōkurashō insatsu kyoku, 1975, pp. 82-83.)** იმავდროულად, ურბანული მიწის ფასი სწრაფად იზრდებოდა. 1955-დან 1970 წლამდე თხუთმეტი წლის განმავლობაში, ურბანული საცხოვრებელი მიწის ფასების ინდექსი საშუალოდ დაახლოებით თხუთმეტჯერ, ხოლო ექვს უდიდეს ქალაქში ის ოცჯერ გაიზარდა. **(Kokumin seikatsu sentā, ed. *Kokumin seikatsu tōkei nempō'80.* Tokyo: Shiseidō, 1980, p. 135.)** მდგომარეობის გაუარესების მიზნით, მიწის ფასების ზრდის ტემპსა და გაბატონებულ საპროცენტო განაკვეთებს შორის განსხვავებამ აიძულა ქალაქად მცხოვრები / ქალაქელი მემამულეების (არენდატორების / გამქირავებელის) უმრავლესობა, შეენარჩუნებინათ თავიანთი ქონება რაც შეიძლება დიდხანს, რაც აძლიერებდა უკვე დიდ ზეწოლას საბინაო ბაზრებზე და აიძულებდა მიწის ფასის კიდევ უფრო გაზრდას. **(Itō Mitsuharu, *Hoshu to kakushin no Nihonteki kōzō*. Tokyo: Chikuma shobō, 1970, p. 165.)**

ამ სწრაფი ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის შედეგებმა იმოქმედა არა მხოლოდ დიდ და ძველ ქალაქებში არსებულ საბინაო ბაზრებზე, არამედ მცირე და ახალგაზრდა ურბანული ცენტრების ფიზიკურ გარემოზეც. „შემოსავლების გაორმაგების“ ათწლეულის განმავლობაში ქვეყანა „რეგიონული განვითარების“ (a „regional development“) ცხელებამაც მოიცვა;

მუნიციპალიტეტები მთელი ქვეყნის მასშტაბით იბრძოდნენ მეტი და უფრო დიდი ინდუსტრიების / სამრეწველო დარგების მოსაზიდად, რათა დაებალანსებინათ საკუთარი ქრონიკული დეფიციტის მქონე ბიუჯეტები საგადასახადო შემოსავლების ადგილობრივი წყაროების გაფართოებითა და დივერსიფიკაციის გზით. 1969 წლის გაზაფხულზე, პრეფექტურების დაახლოებით 90 პროცენტმა, ქალაქების 60 პროცენტმა და ქალაქებისა და სოფლების 35 პროცენტმა გამოსცა სპეციალური განკარგულებები, რომლებიც შეიქმნა მრეწველობის მოსაზიდად. **(Nishio, "Kaso to kamitsu", p. 209, n. 20. იხ. აგრეთვე Mizuguchi Norito, "Kamitsuchi ni okeru seiji sanka: Ōsaka daitoshi ken o rei to shite". In *Nenpō seijigaku, 1974 (Seiji sanka no riron to genjitsu),* ed. Nihon seiji gakkai. Tokyo: Iwanami shoten, 1975, p. 148.)** პროცენტული მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მაღალი იყო იაპონიის ზღვის სანაპირო ზოლზე ყველაზე ნაკლებად განვითარებული პრეფექტურების მუნიციპალიტეტებისთვის.

იაპონიის სოფლის ინდუსტრიალიზაციამ არსებითად განავრცო სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხარჯები და სარგებელი. ათწლეულის შუა პერიოდისთვის, საზოგადოებების უმეტესობისთვის, მოცულნი სამრეწველო ქარხნების კომპლექსებითა და დამხმარე საშუალებებით / ობიექტებით, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება ისეთივე სერიოზული და გავრცელებული უბედურება გახდა, როგორც შეშუპება და სივრცის შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის მშპ 1960-1970 წლებში საშუალოდ 10,7 პროცენტით იზრდებოდა წელიწადში, ჰაერში გოგირდის დიოქსიდის (sulfur dioxide) და აზოტის დიოქსიდის (nitrogen dioxide) ოდენობა ასევე გაიზარდა სავარაუდო წლიური 13,4 პროცენტიანი ტემპით. შესაბამისად, ქიმიური ჟანგბადის მოთხოვნილებამ ([the chemical oxygen demand (COD)] ქიმიური ჟანგბადის მოთხოვნილება არის წყლის ტევადობის საზომი, მოიხმაროს ჟანგბადი წყალში ორგანული ნივთიერებების დაშლის დროს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ჟანგბადის რაოდენობა, რომელიც საჭიროა წყალში არსებული

ორგანული ნივთიერებების დაჟანგვისთვის.) 12,7 პროცენტი და სამრეწველო ნარჩენების მთლიანმა მოცულობამ (the total volume of industrial waste) 13,8 პროცენტი შეადგინა. **(იხ. Otoda Masami, "Kōgai mondai," In *Shōwa keizai shi,* ed. Arisawa Hiromi. Tokyo: Nihon keizai shinbunsha, 1976, p. 506. ასევე იხ. Shōsuke Tanaka, Japan's Anti-Pollution Measures And Their Results. PP. 482-483. https://www.ide.go.jp/library/English/Publish/Periodicals/De/pdf/76_04_08.pdf)**

დაბინძურების სწრაფმა გავრცელებამ, ეროვნული და ადგილობრივი მთავრობების ეფექტური რეაგირების შეფერხებასთან ერთად, გამოიწვია საზოგადოებრივი მოძრაობები, პირველ რიგში, მათ შორის, ვინც უშუალოდ დაზარალდა ინდუსტრიაზე დაფუძნებული დაბინძურების შედეგად და შემდგომში მზარდი რიცხოვნების სხვა დაინტერესებულ მოქალაქეთა შორის, მიყენებული ზიანის კომპენსაციის მოთხოვნითა და ობიექტების დახურვის ან საქმიანობის შეჩერების მოწოდებით, რომელიც ითვლება დაბინძურების მთავარ წყაროდ და ინტენსიური ინდუსტრიალიზაციის სხვა არასასურველ გვერდით (შემთხვევით ან მეორად) პროდუქტებად (by-products).

ორგანული ვერცხლისწყლით მოწამვლის მსხვერპლებმა მინამატაში (Minamata City), კუმამოტოს პრეფექტურაში [Kumamoto Prefecture] (მინამატას დაავადება / (Minamata disease)) და მათმა ნათესავებმა პირველებმა მოაწყვეს 1958 წელს ის, რაც ცნობილი გახდა როგორც [რეზიდენტი/ადგილობრივი] მოსახლეობის მოძრაობა (ინგლ. a residents' movement, რომანიზებული: jutnin undo) ან მოქალაქეთა მოძრაობა (ინგლ. a citizens' movement, რომანიზებული: shimin undo). 1960-იანი წლების შუა პერიოდისთვის მსგავსი მოძრაობები დაიწყეს დაბინძურებით გამოწვეული სხვა უბედურებებით დაზარალებულებმა, განსაკუთრებით ასთმით - ქალაქ იოკაიჩიში (Yokkaichi City), მიეს პრეფექტურაში [Mie Prefecture] (იოკაიჩის ასთმა / Yokkaichi asthma), კადმიუმის მოწამვლით (cadmium poisoning) - მდინარე ჯინცუს (the Jintsu River) გასწვრივ ტო-

იამას პრეფექტურაში [Toyama Prefecture] (იტაი-იტაი [კადმიუმის სულფატი/მარილი] დაავადება / itai-itai disease) და ვერცხლისწყლით მოწამვლით (mercury poisoning) - მდინარე აგანოს (the Agano River) გასწვრივ ნიიგატას პრეფექტურაში [Niigata Prefecture] (ნიიგატა მინამატას დაავადება / Niigata Minamata disease). **(ამ და სხვა შემთხვევების მიმოხილვისთვის იხ. Kankyōchō., *Kankyō hakusho*. Tokyo: Ōkurashō insatsu kyoku, annual.)** 1970-იანი წლების დასაწყისისთვის, მოქალაქეთა მოძრაობა გავრცელდა ბევრ თემში მთელი ქვეყნის მასშტაბით, (საკმაოდ) შორს იმ (ადამიანთა) წრეების მიღმა, ვინც უშუალოდ დაზარალდნენ დაბინძურებით გამოწვეული კონკრეტული დაავადებებით. 1973 წელს გამოვლენილი ამ ტიპის დაახლოებით სამი ათასი ორგანიზაციიდან უმეტესობა ძირითადად ეკოლოგიური საკითხებით იყო დაინტერესებული, მაგრამ დაახლოებით 40 პროცენტი დაინტერესებული იყო ბევრად უფრო ზოგადი ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკის საკითხებით, როგორიცაა საცხოვრებელი, განათლება, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ინფლაცია. **(*The Asahi shimbun [იაპონ.* 朝日新聞*],* May 21, 1973. იხ. აგრეთვე Nishio Masaru, "Gyōsei katei ni okeru taikō undō: Jūmin undō ni tsuite no ichikōsatsu". In *Nenpō seijigaku,* 1974, p. 75. *(Seiji sanka no riron to genjitsu),* ed. Nihon seiji gakkai. Tokyo: Iwanami shoten, 1975)**

1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იან წლებში მოქალაქეთა მოძრაობები ისეთივე განსხვავებული იყო მათი წარმომავლობითა და წევრობის ხასიათით, როგორც მათი შეშფოთებით. 1973 წლის გამოკითხვის მიხედვით, იმდროინდელი მოქალაქეთა მოძრაობის ორგანიზაციების დაახლოებით 45 პროცენტი იყო ტრადიციული სამეზობლო ასოციაციები (traditional neighborhood associations) დიდი ხნის განმავლობაში, ჩვეულებრივ იწოდებოდა ბლოკის / კვარტლის ან სოფლის ასოციაციებად (block or hamlet associations); დაახლოებით 15 პროცენტი იყო თანატოლთა ჯგუფები, ასევე ქალთა და ახალგაზრდული ასოციაციები, მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციები, ან მხატვართა და მწერალთა

წრეები; თითქმის 12 პროცენტი იყო პოლიტიკური პარტიები ან პროფკავშირები; ხოლო 30 პროცენტზე ნაკლები იყო ახლად ფორმირებულ (ჩამოყალიბებულ) საკითხებზე ორიენტირებული ორგანიზაციები. **(Ibid., p. 76. იხ. აგრეთვე Margaret A, McKean, "Political Socialization Through Citizen's Movement." In *Political Opposition and Local Politics in Japan,* ed. Kurt Steiner, Ellis S. Krauss, and Scott C. Flanagan. Princeton, N.J.: Princeton University Press, 1980, chap. 7.)** ამ მოძრაობების უმრავლესობა იყო პოლიტიკურად კონსერვატიული და ეხებოდა არა ფუნდამენტურ რეფორმებს, არამედ კონკრეტული ადგილობრივი ინტერესების დაცვას ან ხელშეწყობას არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის ფარგლებში. **(Nishio, "Gyōsei katei," in *Nenpō seijigaku,* 1974, pp. 80-81; Yokoyama Keiji, "Toshi saikaihatsu to shimin sanka no seidoka". In *Nenpō seijigaku* 1974, pp. 104-108. (*Seiji sanka no riron to genjitsu*), ed. Nihon seiji gakkai. Tokyo: Iwanami shoten, 1975.)**

მიუხედავად ამისა, მოქალაქეთა მოძრაობების ზრდამ ხელი შეუწყო მედიის ყურადღების ფოკუსირებას ადგილობრივ ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებსა და ადგილობრივი ხელისუფლების როლზე. იმ ადგილებში, სადაც განსაკუთრებით დიდი იყო სწრაფი ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის უარყოფითი გავლენა, მოქალაქეთა მოძრაობები მხარს უჭერდნენ ანტი-ისტებლიშმენტის (ხელისუფლებისა და მართვის მთლიანი სისტემის მოწინააღმდეგე) კანდიდატებს პრეფექტურულ და მუნიციპალურ არჩევნებში, მიუხედავად იმისა, ისინი ოფიციალურად დამოუკიდებელნი იყვნენ თუ ოპოზიციური პარტიის მიერ მოწონებულნი. ამ მხარდაჭერამ გზა გაუხსნა „პროგრესული" გუბერნატორების, მერების და ქალაქის საკრებულოს / კრების წევრთა მნიშვნელოვანი რაოდენობის არჩევას. როდესაც 1964 წელს შეიქმნა პროგრესული მერების ეროვნული ასოციაცია (ინგლ. the National Association of Progressive Mayors, გარომანულებული/რომანიზებული: Zenkoku kakushin shicho kai), მას შეუერთდა დაახლოებით 60 მერი და 1971

წლისთვის მათი რიცხვი 106-მდე გაიზარდა. **(Nishio, "Kaso to kamitsu," in *Nenpō seijigaku,* 1977, p. 243.)** იმავდროულად, „პროგრესულმა" მინობე რიოკიჩიმ (Minobe Ryokichi) მოიგო ტოკიოს პრეფექტურის გუბერნატორის არჩევნები 1967 წელს, ხოლო მეორემ, კუროდა რიოიჩიმ (Kuroda Ryoichi) გაიმარჯვა მეორე ყველაზე დასახლებულ ოსაკას პრეფექტურაში (prefecture Osaka) 1971 წელს. ნინაგავა ტორაზო (Ninagawa Torazo), კიოტოს (Kyoto) პირველი არჩეული გუბერნატორი 1950 წელს, გახდა პირველი ექვსი ვადით გუბერნატორი ქვეყნის ისტორიაში 1970 წელს. **(ნინაგავას კარიერისა და პოლიტიკის შესახებ იხ. Ellis S. Krauss, "Opposition in Power: The Development and Maintenance of Leftist Government in Kyoto Prefecture." In *Political Opposition and Local Politics in Japan,* chap. 11., ed. Kurt Steiner, Ellis S. Krauss, and Scott C. Flanagan. Princeton, N.J.: Princeton University Press, 1980.)**

ოკუპაციის (the Occupation) რეფორმების მსგავსად, 1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების „ეკონომიკურმა სასწაულმა" გაცილებით მეტი ბენეფიციარი (მოსარგებელე / მიმღები) შვა, ვიდრე მსხვერპლი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ფერმერულმა თემმა (farming communities) განიცადა როგორც მოსახლეობის, ისე ეკონომიკური აქტივების სერიოზული დანაკარგი, მათ ვინც დარჩნენ თავიანთ მეურნეობებში, მოახერხეს არა მხოლოდ გადარჩენა, არამედ სარგებლის მიღებაც ამ ცვლილებისგან. მიუხედავად გაუთვალისწინებელი და არასასურველი შედეგებისა, რასაც თან სდევდა ინტენსიური ინდუსტრიალიზაცია და მოსახლეობის გადაადგილება, ქალაქათ დასაქმებულთა უმეტესობა ეკონომიკურად ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იყო (ეკონომიკური) სასწაულის შემდეგ, ვიდრე მანამდე. და ბოლოს, მიუხედავად LDP -ის მთავრობებსა და ოპოზიციას შორის ძალადობრივი შეტაკებების განმეორებისა, სახალხო / ქვეყნის მასები (the nation's masses) ძირითადად კმაყოფილი იყვნენ კონსერვატიული ადმინისტრაციების მემკვიდრეობის ეკონომიკური მაჩვენებლებით / წარმატებებით.

§ 1.2 ცვალებადი ინდუსტრიული სტრუქტურა

ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იაპონიის ეკონომიკაში ომის დასრულებიდან 1973 წლამდე იყო მისი გადაქცევა ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე ინდუსტრიულ ძალად მსოფლიოში.

§ 1.2.1 სამრეწველო რაციონალიზაციის გეგმები და ტექნიკური ინოვაციების განვითარება

1950-იანი წლების დასაწყისიდან მთავრობა კოორდინაციას უწევდა რიგ რაციონალიზაციის გეგმებს იაპონიის საკვანძო ინდუსტრიებში (მრეწველობის დარგებში). მაშინ, როცა "პრიორიტეტული წარმოების" ("priority production") მთავარი მიზანი იყო ქვანახშირისა და ფოლადის მრეწველობის რეამინირება (გაცოცხლება), ინდუსტრიული (სამრეწველო) რაციონალიზაციის მთავარი მიზანი იყო ამ ინდუსტრიებში ხარჯების შემცირება. კორეის ომმა სტიმული მისცა მოთხოვნას იაპონიაში და ვიტალიზირება (გამოცოცხლება) მოახდინა იაპონური ინდუსტრიის, მაგრამ ფასები მკვეთრად გაიზარდა, რამაც გააძვირა იაპონური საქონელი. ქვანახშირისა და ფოლადის ფასების ზრდამ შეამცირა მანქანათმშენებლობისა (machinery) და სხვა ინდუსტრიების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა. რაციონალიზაციის გეგმები, რომლებიც მიზნად ისახავდა ქარხნის ობიექტების (აღჭურვილობა-მოწყობილობების) მოდერნიზაციას, განხორციელდა ამ წარმოების ხარჯების შესამცირებლად.

ფოლადის რაციონალიზაციის პირველი გეგმის დროს მოსალოდნელი იყო, რომ 1951-1954 წლებში განხორციელდებოდა 63 მილიარდი ¥ (იენის) -ის ინვესტიცია. ფაქტობრივად, რეალურმა ინვესტიციებმა მიაღწია 120 მილიარდ ¥-ს 1953 წლისთვის. ძველი სტილის ქარხნები (Old-style pull-over plants / დრუვერის ქარხნები) შეიცვალა (ზოლოვანი/ზოლური) საგლი-

ნავი ქარხნებით (strip mills / ცილინდრის/ლილვის ქარხნები), რამაც მოძრავი პროცესი გახადა უფრო ეფექტური. მთავრობამ დაიწყო ძირითადი ინდუსტრიული პარკის განვითარება ჩიბას პრეფექტურაში (Chiba Prefecture) ტოკიოს ყურედან (იაპონ. 東京湾, რომანიზებული: Tōkyō-wan; ინგლ. Tokyo Bay) დაბრუნებულ / მოპოვებულ მიწაზე. 1953 წელს Kawasaki Steel Company-მ, ახალმა მონაწილემ ინდუსტრიაში, გახსნა ინდუსტრიულ პარკში მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე ინტეგრირებული ფოლადის ქარხანა (the integrated steel facility). წყლის სანაპიროზე მდებარე საწარმოო ხაზი წარმოადგენდა უწყვეტ პროცესს ნედლეულის მიწოდებიდან ბრძმედში / აფეთქების ღუმელში (the blast furnace) ფოლადის წარმოებამდე და (გა) გლინვამდე (rolling). სხვა, უკეთ დამკვიდრებული ფოლადის მწარმოებელი ფირმები მალევე მიჰყვნენ მსგავსი ობიექტების მშენებლობას. პირველმა რაციონალიზაციის გეგმამ არსებითად მოახდინა იაპონიის ფოლადის ინდუსტრიის მოდერნიზება.

ამის საპირისპიროდ, ქვანახშირის მრეწველობაში, რომელმაც დიდი მოგება მიიღო კორეის ომის დროს, როდესაც ჭარბი მოთხოვნა ყველგან ნახშირის დეფიციტს იწვევდა, წარმოების რაციონალიზაციის გეგმები, ინვესტიციების გზით დასავლეთ გერმანიიდან მოწინავე სამთო ტექნოლოგიის შემოტანა-დანერგვა და ღრმა მაღაროების გათხრები, არასოდეს მატერიალიზირებულა (განხორციელებულა / განივთებულა). ვინაიდან იაპონიის ქვანახშირის საბადოების ხარისხი დაბალი იყო, შეუძლებელი იყო დანახარჯების შემცირება, რომელიც საჭიროა ინდუსტრიის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისთვის. გარდა ამისა, როდესაც 1952 წლის შემოდგომაზე მოხდა ქვანახშირის მაღაროელების ხანგრძლივი გაფიცვა, საკვანძო ინდუსტრიებმა შეამცირეს ნახშირზე, როგორც ენერგიის წყაროზე დამოკიდებულება და გადავიდნენ ნავთობსა და ელექტროენერგიაზე.

ფოლადისა და ქვანახშირის მრეწველობაში რაციონალი-

ზაციის მცდელობების მიღმა, 1950-იანი წლების დასაწყისში რაციონალიზაციას ტექნოლოგიური ინოვაციების მეშვეობით ადგილი ჰქონდა სხვა ინდუსტრიებში. ელექტროენერგეტიკის ინდუსტრიაში ფართო მასშტაბით განვითარდა ჰიდროელექტროენერგია, (და) იმპორტირებული (შემოტანილი) იქნა თერმომოდელის (თბომოდელის) დანადგარები (thermal model plants); გემთმშენებლობის ინდუსტრიაში დაინერგა საოკეანო მცურავი გემების (ocean ships) კონსტრუქციის (მშენებლობის / აგების) ახალი მეთოდები; ამონიუმის სულფატის ინდუსტრიაში წარმოება ელექტროლიზიდან (electrolysis) აირის მეთოდზე გადავიდა; და ძალისხმევა გაწეულ იქნა სინთეტიკური ბოჭკოების / ბოჭკოვანი ინდუსტრიის განვითრებისთვის.

ისევე როგორც პრიორიტეტული წარმოების მეთოდი ცდილობდა აღედგინა ომისშემდგომი წარმოება მსოფლიო ბაზრისგან იზოლირებულად არსებული ომამდელი და ომისდროინდელი ქარხნების გამოყენებით, 1950-იანი წლების დასაწყისში ინდუსტრიული რაციონალიზაციის გეგმებით ადგილი ჰქონდა მცდელობას იმისას, რაც გულისხმობდა ხარჯების შემცირებას მისი საწარმოო სიმძლავრეების / წარმოების ობიექტების (production facilities) განახლებითა და მოდერნიზებით (გათანამედროვებით) და იაპონიის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებით ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში. ეს გეგმები ითვალისწინებდა ღია მსოფლიო ბაზარს. ინვესტიციების რაციონალიზაციამ (რაციონალიზაცია მიზნად ისახავს ეფექტურობის გაზრდას არსებული შესაძლებლობების უკეთ გამოყენების გზით: ანალოგიური ეფექტი შეიძლება მიღწეული იქნას ნაკლები საშუალებებით ან იგივე საშუალებებით. ამგვარად, ინდუსტრიაში ხშირად სამუშაო ძალის ჩანაცვლება ხდება მანქანებით [ინვესტიციების რაციონალიზაცია].) ასევე ხელი შეუწყო წარმოების ხარჯების შემცირებას.

მაშინ, როდესაც პრიორიტეტული წარმოება განხორციელდა მთავრობის უშუალო ზედამხედველობით, ინდუსტრიული

რაციონალიზაციის გეგმები უმთავრესად შესრულდა, როგორც დამოუკიდებელი გეგმები, რომლებსაც ახორციელებდნენ კერძო ბიზნეს-საწარმოები. რა თქმა უნდა, მთავრობა ჩაერია პროცესში, რამაც იგი ერთგვარ ერთობლივ საწარმოდ (joint venture) აქცია სახელმწიფოსა და ძირითად კერძო საწარმოებს შორის, მაგრამ მთავრობამ არ გამოიყენა ფასების კონტროლი (საფასო სუბსიდიები) ან საქონლის კონტროლი თავისი მიზნების მისაღწევად. ამის ნაცვლად, იგი ეყრდნობოდა სხვა მეთოდებს. 1951 წლის მარტში დაარსდა იაპონიის განვითარების ბანკი (გარომანულებული/რომანიზებული: Nihon kaihatsu ginko / ინგლ. the Japan Development Bank) კაპიტალის აკუმულაციისა და სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით. 1952 წლის მარტში მიღებულ იქნა საწარმოთა რაციონალიზაციის აქტი (the Enterprises Rationalization Act) და შესწორებები შევიდა სპეციალური საგადასახადო ზომების შესახებ კანონში (the Special Tax Measures Law) განვითარებადი ინდუსტრიების / დარგების დასახმარებლად. ინდუსტრიების / დარგების განვითარების წასახალისებლად-ხელშესაწყობად მთავრობას გააჩნდა ახალი მეთოდების არსენალი, რაც მიმართული იყო სპეციალურად (საგანგებოდ) რაციონალიზაციაზე, - სპეციალური საგადასახადო რეჟიმი, გემთმშენებლობის პროცენტის სუბსიდირება, სესხები სახელმწიფო სახსრებიდან ისეთი ინსტიტუტების მეშვეობით, როგორიცაა განვითარების ბანკის (the development bank), ელექტროენერგიის წყაროს განვითარების კომპანიის (the Electrical Power Source Development Company / რომანიზებული: Dengen kaihatsu KK) დაფუძნება / შექმნა, იმპორტის კვოტების გამოყენება, უცხოური კაპიტალის იმპორტის კონტროლი და "ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა" ("administrative guidance"). 1970-იან წლებში გავრცელებული მოსაზრება, რომ არსებობდა ე.წ. Japan Incorporated, მჭიდრო კავშირი მთავრობასა და ბიზნესს შორის, სადაც მთავრობა უშუალოდ ხელმძღვანელობდა კერძო ფირმების საქმიანობას, ძირითადად ეყრდნობოდა შთაბეჭდილებებს, თუ როგორ მოქმე-

დებდა იაპონური ეკონომიკა ამ პერიოდში. მაგრამ შეცდომა იქნებოდა თუნდაც დროის ამ მონაკვეთში იაპონის „გეგმურ ეკონომიკად“ ან მთავრობის „ეკონომიკურ გენერალურ შტაბად“ მიჩნევა. მთავრობა და ბიზნესი ერთმანეთს უზიარებდნენ ინფორმაციას და აცნობდნენ საკუთარ შეხედულებებს, მაგრამ საბოლოო საინვესტიციო გადაწყვეტილებები იყო ბიზნეს / კომერციული ფირმების / კომპანიების ხელში (the business firms - ბიზნეს ფირმები არის სამუშაო ძალის, ფინანსებისა და ფიზიკური რესურსების ერთობლიობა, რომელიც დახმარებას სწევს მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებაში.).

1955-1965 წლებში მოდერნიზაციისთვის ინვესტიციებმა მოიმატა (შევიდა აქტიურ ფაზაში). პირველი რაციონალიზაციის გეგმის წარმატებას ფოლადის ინდუსტრიაში მოჰყვა მეორე რაციონალიზაციის გეგმა. რაც ყველაზე თვალსაჩინოა, ის ითვალისწინებდა თუჯის (pig iron) წარმოებისთვის სანაპირო ზოლის ქარხნების არსებით მშენებლობას და (ზოლოვანი/ზოლური) საგლინავი ქარხნებისა (strip mills / ცილინდრის/ლილვის ქარხნები) და სუფთა ჟანგბადის კონვერტიორების (გადამყვანები) (pure oxygen converters) ფართოდ დიფუზიას (გავრცელებას). პირველი რაციონალიზაციის გეგმა, რომელიც შეიქმნა მაშინ, როდესაც ინდუსტრიის ბაზა იყო სუსტი, ცდილობდა შეემცირებინა წარმოების ხარჯები და დაყრდნობოდა სახელმწიფო სესხებს. ამის საპირისპიროდ, გაზრდილი მოთხოვნის / მოთხოვნის ზრდის მოლოდინში, სიმძლავრის გასაზრდელად, მეორე გეგმით მოდერნიზირდა (განახლდა) ობიექტები. მაშინ როცა პირველი რაციონალიზაციის გეგმამ მოითხოვა ¥120 მილიარდის ინვესტიცია, მეორე გეგმაში გამოყენებული იყო 500 მილიარდ ¥-ზე მეტი ინვესტიცია. როდესაც დასრულდა მეორე რაციონალიზაციის გეგმა, იაპონიის რკინისა და ფოლადის პროდუქციამ (output) გადააჭარბა საფრანგეთის, გერმანიისა და ბრიტანეთისას და მეორე ადგილზე გადაინაცვლა შეერთებული შტატების შემდეგ. ცხელი საგლინავი ქარხნების (hot strip mills) რაოდენობით, იაპონია მეორე ადგილზე იყო მხოლოდ შე-

ერთებული შტატების შემდეგ და მან მიაღწია პირველ ადგილს თავისი სუფთა ოქსიგენის კონვერტორების (ჟანგბადის გადამყვანების) ეფექტურობითა და გამოყენებული კოქსის (მყარი ხელოვნური საწვავის) წარმოებული ფოლადის ინგოტებთან (ბლოკებთან) თანაფარდობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად, იაპონია გახდა რკინისა და ფოლადის პირველი კლასის მწარმოებელი.

როგორც პრიორიტეტული წარმოების, ასევე 1950-იანი წლების დასაწყისის სამრეწველო რაციონალიზაციის გეგმების ფარგლებში, ქვანახშირი მნიშვნელოვანი იყო რკინისა და ფოლადის ინდუსტრიაში, როგორც მთავარ ინდუსტრიაში. თუმცა, ქვანახშირის ინდუსტრიამ (მრეწველობამ) ვერ დაძლია თავისი ბუნებრივი უარყოფითი მხარეები ინვესტიციების რაციონალიზაციის (rationalization investment) გზით. უფრო მეტიც, ინდუსტრიაში/დარგში გაუარესდა სამუშაო ძალა - მმართველობის (labor-management, შრომითი მენეჯმენტის / შრომის ორგანიზაციის) ურთიერთობები და ნახშირის მიწოდება გახდა ნაკლებად სტაბილური. ამ მიზეზით, ენერგიაზე მოთხოვნა კვლავ აგრძელებდა გადანაცვლებას ნახშირიდან ელექტროენერგიასა და ნავთობზე. იაპონური ინდუსტრია შეიძლებოდა კიდევ უფრო სწრაფად განვითარებულიყო, თუ (ის) ძვირადღირებული შიდა რესურსიდან გადაინაცვლებდა იაფ უცხოურ რესურსზე, კერძოდ, ნავთობზე. ამ დროს, ახლო აღმოსავლეთში ხდებოდა ახალი ნავთობის საბადოების აღმოჩენა და ნედლი ნავთობის ფასი დრამატულად (მკვეთრად) ეცემოდა. ენერგომატარებლების ხარჯების შემდგომი ეკონომია მიღწეული იქნა მაღალსიჩქარიანი სუპერტანკერების გამოყენებით, რამაც შეამცირა ნავთობის ტრანსპორტირების (გადატანის / გადაზიდვის) ღირებულება / ხარჯი იაპონიაში.

(ასევე) იცვლებოდა ელექტროენერგიის ინდუსტრიაც / ელექტორენერგეტიკაც. 1955 წლამდე ინდუსტრია ძირითადად ეყრდნობოდა ჰიდროელექტროენერგიას და მხოლოდ მეორადად - თბოელექტროენერგიას, მაგრამ შემდეგ თანაფარდობა

შეიცვალა, (და) პირველადი დამოკიდებულება გადავიდა თბოელექტროენერგიის გენერაციაზე (გამომუშავებაზე). 1955 წელს, როდესაც დაიწყო მძიმე ნავთობის / მაზუთის გამოყენებით თბო (ელექტრო)სადგურების (thermal plants) მშენებლობა, ჰიდროელექტროსადგურებმა (hydroelectric power plants) გამოიმუშავა 7,48 მილიონი კილოვატი, ხოლო თბოსადგურებმა მხოლოდ 4,1 მილიონი, მაგრამ 1961 წლისთვის ჰიდროელექტროენერგია და თბოელექტროენერგია დაახლოებით იგივე რაოდენობის იყო, 9,444 მილიონი კილოვატი და 9,75 მილიონი კილოვატი, შესაბამისად. თბოსადგურების სიმძლავრის მასშტაბი გაიზარდა 1958 წელს 58,000 -დან 1960 წელს 2.2 მილიონამდე და 1965 წელს 3.75 მილიონამდე. მიზეზი იმისა, რომ ჰიდროელექტროენერგია, როგორც ელექტროენერგიის ძირითადი წყარო შემცირდა, იყო პირველ რიგში ის, რომ შემცირდა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისთვის შესაფერისი ადგილების რაოდენობა და მეორეც, რომ ენერგორესურსების იმპორტი იყო შიდა / ადგილობრივი რესურსების ლიმიტაციის (შეზღუდულობის) დაძლევის გზა.

ენერგიის ახალ წყაროებზე გადასვლამ ასევე იმოქმედა ქიმიურ მრეწველობაზე. აყვავებული კარბიდის ინდუსტრია, რომელიც ეყრდნობოდა ჰიდროელექტროენერგიას, აწვდიდა კარბიდს ვინილის ქლორიდის, აცეტატის და სხვა ქიმიური პროდუქტების შიდა წარმოებისთვის. მაგრამ 1950-იანი წლების ბოლოს განვითარდა ახალი ნავთობქიმიური მრეწველობა, რომელიც აწარმოებდა პოლიეთილენს და პოლისტიროლს, რომელიც ეყრდნობოდა იმპორტირებულ ნაფტას / ლიგროინს და ახალი ნაფტაკრეგინგის ტექნოლოგიის დანერგვას.

მწარმოებელი საქონლის ინდუსტრიებში (producer goods industries) (არსებული) ტექნიკური ინოვაციების პარალელურად, ტექნიკური ინოვაციები ასევე იყო ხანგრძლივი მოხმარების საქონლის წარმოებაში. მასობრივი წარმოების მეთოდები დაინერგა ავტომობილებსა და საყოფაცხოვრებო ელექტრო-მოწყობილობებზე, როგორიცაა შიდა მოთხოვნის

ტელევიზორები და მაცივრები, ასევე საკერავი მანქანების (sewing'machines), ტრანზისტორული რადიომიმღებისა და კამერების / ფოტოაპარატების ექსპორტის დასაკმაყოფილებლად. **(1960 წლის [იაპონურ ჟურნალ] 年次経済報告 Nenji keizai hōkoku -ში გაანალიზებულია ეს პერიოდი როგორც "პერიოდი, როდესაც მანქანათმშენებლობის ინდუსტრია ხელმძღვანელობდა ინდუსტრიის განვითარებას". ["a period in which the machine tools industry led the development of industry".]. Keizai kikakuchō chōsakyoku, ed. *Shiryō: keizai hakusho nijugo nen* .Tokyo, 1972, pp. 214-215.))**

დაახლოებით 1950 წელს წარმოებდა დებატები იმის შესახებ, უნდა დაყრდნობოდა თუ არა იაპონია საკუთარი ავტომობილების / მანქანების მიწოდებისთვის იმპორტს, თუ უნდა ეცადა, რომ დაცვის ქვეშ განევითარებინა შიდა / სამამულო საავტომობილო ინდუსტრია. შედეგი იყო დაცული შიდა / სამამულო საავტომობილო ინდუსტრიის განვითარების მიზანი და ბევრი საავტომობილო კომპანია ცდილობდა შეეძინა ტექნოლოგია უცხოურ ავტომობილების მწარმოებლებთან ტექნიკური კავშირების (technical tie-ups) გზით. 1955 წელს, Toyota-ს, ავტომობილების ტოპ მწარმოებელს ჰქონდა ხუთწლიანი მოდერნიზაციის გეგმა, რომლის (ყოველ)თვიური საწარმოო სამიზნე (production target) იყო მხოლოდ სამი ათასი მანქანა (vehicles). მაგრამ მისი საწარმოო სიმძლავრეების (production facilities / წარმოების ობიექტების, საწარმოო ბაზის.) მოდერნიზაცია დაჩქარდა და წარმოების მასშტაბები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. დაახლოებით 1960 წლისთვის, როდესაც Toyota-მ ააშენა კომპაქტური მანქანების ქარხანა მოტომაჩიში (Motomachi) და Nissan-მა ოპამაში (Oppama), ყოველი ახალი ქარხანა ითვალისწინებდა ყოველთვიურად ათი ათასი მანქანის წარმოებას. ასევე დაინერგა ახალი მასობრივი წარმოების აღჭურვილობა, როგორიცაა ტრანსფერული მანქანები (გადამცემი მოწყობილობა) და ავტომატური ბრეკეტები (automatic braces).

საავტომობილო სატრანსპორტო საშუალების / მოტორიზებული მანქანების მასობრივმა წარმოებამ დიდი გავლენა იქონია მონათესავე დარგებზე. პირველ რიგში, სწრაფად განვითარდა თხელი ფირფიტების (thin-plate) წარმოება რკინისა და ფოლადის მრეწველობაში. ინვესტიციებმა ქარხნების მოდერნიზაციაში, როგორიცაა (ზოლოვანი / ზოლური) საგლინავი ქარხნების (strip mills) ინსტალაცია-დამონტაჟება, ხელი შეუწყო ავტომობილების მასობრივ წარმოებას. მეორე, სპეციალიზებული ფოლადისა და ჩარხების მრეწველობა, რომლის წარმოების მოცულობა ადრე შეზღუდული იყო მცირე ბაზრით, ავტომობილების მასობრივი წარმოების ზრდით ახალი შესაძლებლობებით იქნა წარმოდგენილი. 1955 წელს ჩარხების გამომუშავების ღირებულება შეადგენდა 5 მილიარდ ¥ -ს, მაგრამ 1962 წლისთვის მან მიაღწია 100 მილიარდ ¥-ს, ოცჯერ მეტს, ხოლო მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა იყო ასევე მაღალი. 1956 წელს ტოიოტამ (Toyota) და მისმა მონათესავე დარგებმა (მასთან დაკავშირებულმა ინდუსტრიებმა) დაიწყეს ახლა უკვე ცნობილი კანბანის მეთოდის (the kanban method) გამოყენება (ასევე ცნობილია როგორც "ნულოვანი ინვენტარის მეთოდი" / "zero inventory method" ან "ზუსტად დროში [/დროულად] წარმოება" / "justin-time production"). ქვეკონტრაქტორი ფირმები იძენდნენ მეორად მანქანებს დედა კომპანიებისგან, რაც მათ საშუალებას აძლევდა დაეწყოთ მექანიზაცია და რაციონალიზაცია, რამაც გამოიწვია ჩარხების ბაზრის (the machine tool market) ექსპანსია.

ელექტრო მანქანების ინდუსტრიაში (the electrical machine industry) პირობები დაახლოებით იგივე იყო. ფოლადის სილიკონის ფირფიტის ხარისხის გაუმჯობესებამ საფუძველი ჩაუყარა მასობრივ წარმოებას. მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ რადიოსა და ტელევიზიის წარმოებასთან, ასევე რაციონალიზირდნენ / მოახდინეს რაციონალიზაცია და საექსპორტო ინდუსტრიად / დარგებად განვითარდნენ (ჩამოყალიბდნენ / გარდაიქმნენ).

იაპონური ინდუსტრიის მოდერნიზაცია ეყრდნობოდა უცხოური ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვას. ომის დროს იაპონია ტექნოლოგიურად იზოლირებული იყო დანარჩენი მსოფლიოსგან და ომის ბოლოს არსებობდა მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ხარვეზი, რომელიც მალევე იქნა აღმოფხვრილი უცხოური კომპანიების ტექნოლოგიების მასობრივად დანერგვით. 1950-იანი წლების დასაწყისში ტექნოლოგიები დაინერგა უცხოურ ფირმებთან საავტომობილო ინდუსტრიაში (Nissan და Austin, Isuzu და Hillman), სატელევიზიო წარმოებაში (NEC და RCA) და ნეილონის წარმოებაში (Toyo Rayon და DuPont) ტექნიკური კავშირით (technical tie-ups). 1950-იანი წლების ბოლოდან და 1960-იანი წლების განმავლობაში გაიზარდა როგორც იმპორტირებული ტექნოლოგიების რაოდენობა, ასევე მათზე გადახდები, რამაც კიდევ უფრო გააუმჯობესა იაპონიის ტექნოლოგიური სტანდარტები. **(Tōyō keizai shinpōsha, *Shōwa kokusei sōran.* Tokyo: Tōyō keizai shinpōsha, 1980, vol. 1, p. 662. აგრეთვე, THE CAMBRIDGE HISTORY OF JAPAN [Volume 6, The Twentieth Century.] Edited by Peter Duus. Cambridge, 1988. P 521. Table 10.12)**

იმის გამო, რომ იაპონიამ არ წაახალისა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უცხოური ტექნოლოგიების ეს დანერგვა / შემოტანა მიღწეული იქნა ტექნიკური კოოპერაციით (თანამშრომლობით), კაპიტალის დაკავშირების გარეშე. "ტექნოლოგიის კომერციალიზაცია" იყო ერთადერთი შესაძლო გზა ტექნოლოგიური ინოვაციების მისაღწევად, იაპონურ ბიზნესზე საგარეო კონტროლის თავიდან ასაცილებლად. ბევრი უცხოური ფირმა მზად იყო გაეყიდა თავისი ტექნოლოგია, რადგან იაპონიის ბაზარი მიიჩნეოდა ძალიან მცირედ განვითარებისთვის. უცხოური ტექნოლოგიების შეძენის ღირებულება ხშირად საკმაოდ ძვირი იყო ცალკეული იაპონური ფირმებისთვის, მაგრამ ტექნიკურმა ინოვაციებმა საგრძნობლად გაზარდა იაპონური ინდუსტრიის პროდუქტიულობა. იაპონელები ასევე ცდილობდნენ გაეუმჯობესებინათ

ტექნოლოგიები, რომლებიც მათ შემოჰქონდათ. ხშირად ასეთი გაუმჯობესებები ხდებოდა წარმოების პროცესში ახალი ტექ-ნოლოგიების გამოყენების შედეგად, რაც აძლიერებდა იაპონიის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას.

მთავრობამ გააფართოვა ახალი (სწრაფად)მზარდი ინდუსტ-რიების (მრეწველობის / დარგების) მხარდაჭერის პოლიტიკა, ისეთის, როგორიცაა ნავთობქიმიკატები და ლითონსაჭრელი ჩარხები (machine tools), ასევე ისეთი ძირითადი ინდუსტრიები / დარგები, როგორიცაა ფოლადი (ფოლადის წარმოება), ქვა-ნახშირი (ქვანახშირის მოპოვება) და გემთმშენებლობა. 1955 წელს მთავრობამ მიიღო ნავთობქიმიური მრეწველობის განვი-თარების პოლიტიკა და 1956 წელს მიიღო დროებითი ღონის-ძიება ჩარხმშენებელი / ჩარხ-ინსტრუმენტების მრეწველობის (the Machine Tool Industry) ხელშეწყობისთვის. სამრეწველო განვითარების პოლიტიკის საფუძველი იყო სპეციალური სა-გადასახადო ზომები და იაპონიის განვითარების ბანკის (ინგლ. the Japan Development Bank) სესხები, თუმცა გამოყენებული იქნა სხვა ზომებიც, როგორიცაა უცხოური ვალუტის ასიგნება (გამოყოფა) (foreign currency allotments), უცხოური კაპიტალის იმპორტის ლიცენზირება (the licensing of foreign capital imports) ტექნიკური კავშირების (technical tie-ups) საშუალებით და ად-მინისტრაციული ხელმძღვანელობის / მმართველობის სხვა ფორმები. **(Kōsai, "Fukkōki", pp. 38-42.)**

საწარმოებს შორის აქტიურმა კონკურენციამ და ენერგიუ-ლმა სამეწარმეო სულისკვეთებამ დიდი როლი ითამაშა ეკონო-მიკურ ზრდაში და, შესაბამისად, მთავრობის პროტექციონიზ-მისა და განვითარების პოლიტიკის ეფექტი (გავლენა) არ უნდა იყოს გადაჭარბებულად შეფასებული. მიუხედავად ამისა, 1956 წლის კანონი, რამაც ხელი შეუწყო ჩარხმშენებელი / ჩარხ-ინ-სტრუმენტების მრეწველობას (the machine tool industry), მაგა-ლითად, წარმატებული იყო მცირე და საშუალო ზომის მანქანე-ბის მწარმოებლების (machinery producers) ხელშეწყობასა თუ რაციონალიზაციაში და მოდერნიზაციაში.

§ 1.2.2 წარმოება და ბანკები

ომისშემდგომი რეფორმების, ეკონომიკური რეაბილიტაციისა (აღდგენისა) და მაღალი ზრდის ტემპით დაწყებისას, იაპონიის ეკონომიკამ შეიძინა გარკვეული მახასიათებლები მიკროეკონომიკურ დონეზე, რომლებიც სრულიად განსხვავდებოდა ომამდელი იაპონური ეკონომიკის ან დასავლური ეკონომიკებისგან. რა თქმა უნდა, ბევრი ამ მახასიათებელთგანი წარმოიშვა ომამდელ პერიოდში, მაგრამ მათ უფრო განსაზღვრული ფორმა შეიძინეს ომისშემდგომი რეფორმებისა და სწრაფი ზრდის დაწყების შემდეგ. მენეჯმენტთან, კაპიტალის მოზიდვასთან, შრომითი რესურსების მენეჯმენტის პრაქტიკასთან ან ქვეკონტრაქტებთან მიმართებით, იაპონური ფირმები გამოკვეთდნენ / ხაზს უსვამდნენ გრძელვადიან ურთიერთობებს. ბაზარი და ორგანიზაცია გავლენას ახდენდა ერთმანეთზე კომპლექსური (რთული) გზებით, და შენარჩუნებული იყო წონასწორობა ბიზნეს-პრაქტიკაში ადაპტირებასა (შეგუებასა) და სტაბილურობას (მდგრადობას) შორის.

იაპონური საწარმოების უმეტესობა იყო სააქციო საზოგადოება (Joint-Stock Company), მაგრამ მსხვილი საწარმოები, როგორც წესი, იყვნენ საწარმოთა ჯგუფის (keiretsu) ნაწილი, რომლის შვილობილი საწარმოები (affiliated enterprises) და ფინანსური ინსტიტუტები (financial institutions) ფლობდნენ ერთმანეთის აქციებს, რითაც თავიდან იცილებდნენ სხვა ფირმების მიერ (არამეგობრულ / არაკეთილსინდისიერ შესყიდვათა შეთავაზების გზით) შთანთქმის რისკს. ჩვეულებრივ, ფირმის მენეჯერებს ირჩევდნენ მათი დიდი ხნის თანამშრომლებს შორის, რომლებიც მოქმედებდნენ იმ საწარმოთა გრძელვადიანი ინტერესების თანახმად, რომელსაც ისინი განიხილავდნენ თანამშრომელთა ჯგუფად (a group of employees). ამიტომ, იაპონური საწარმოები, უფრო მეტად, მიზნად ისახავდნენ გრძელვადიან ზრდას და არა მოკლევადიან მოგებას და მენეჯერები უკიდურესად ზრუნავდნენ ბაზრის წილზე.

ომამდე ზაიბაცუს (zaibatsu) ჰოლდინგური კომპანიები აკონტროლებდნენ ფირმების ფართო ქსელებს აქციების დომინანტური წილების კონტროლით. ზაიბაცუს ომის შემდგომი დაშლის შემდეგ, ბევრი ყოფილი კლიენტი ან შვილობილი ფირმა (affiliated firms) და ფინანსური ინსტიტუტი ორგანიზირდა / გადაეწყო საწარმოო ჯგუფებად (enterprise groups). კეირეცუს (keiretsu) ფარგლებში ფირმებს ჰქონდათ ერთმანეთის აქციები, რათა თავიდან აეცილებინათ გარე მფლობელები. საფონდო ბაზარზე / ბირჟაზე გასაყიდი აქციების რაოდენობა მცირე იყო და მათი ღირებულება საოცრად გაიზარდა. Miyazaki Giichi-ს მიხედვით, 1970 წელს ლიმიტირებული სააქციო კომპანიების (limited stock companies / შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები) 57,1 პროცენტს აკონტროლებდნენ კორპორაციები, 20,7 პროცენტს მენეჯერები და მხოლოდ 20,5 პროცენტს აქციონერები. **(Miyazaki Giichi, *Gendai Nihon no kigyō shūdan.* Tokyo: Tōyō keizai shinpōsha, 1976, p. 290.)** ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც იაპონელი ბიზნეს-ლიდერები ეწინააღმდეგებოდნენ უცხოური კაპიტალის შემოღებას და აწუხებდათ კაპიტალის ლიბერალიზაცია 1960-იანი წლების ბოლოს, იყო ის, რომ მათ სურდათ შეენარჩუნებინათ კონტროლი თავიანთ საწარმოებზე.

მიუხედავად იმისა, რომ საკუთრებისა და მართვის ეს ნიმუში / მოდელი გავრცელებული იყო დიდ ფირმებში, არსებობდა გამონაკლისებიც. ჯერ ერთი, ბევრი მცირე და საშუალო საწარმო იმყოფებოდა ინდივიდუალურ საკუთრებაში. მეორე, მსხვილი საწარმოები ხშირად კონტროლდებოდა მათი დამფუძნებელისა და ოჯახების მიერ. ეს ეხებოდა მზარდი ინდუსტრიის წამყვან ფირმებს, როგორიცაა Matsushita, Sony, Honda, Toyota, Toyo kogyo, Suntory, Kyoto Ceramics (Kyocera) და Daiei. მესამე, საფონდო ბირჟამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფირმების შეფასებაში, რამდენადაც კაპიტალდაბანდებების / კაპიტალის ინვესტიციების ზრდაზე გავლენას ახდენდა აქციების მიმდინარე ფასები. კერძოდ, 1965 წლის შემდეგ, გაიზარდა სააქციო

/ საკუთარი კაპიტალის (equity capital) თანაფარდობა / წილი მთლიან აქტივებთან (მიმართებაში). მიუხედავად იმისა, რომ იაპონური საწარმოები დიდად იყვნენ დამოკიდებულნი სესხების აღებაზე, მათ უწევდათ იმის გაკეთება, რომ უნდა გაეზარდათ თავიანთი კაპიტალიზაცია, რათა უზრუნველეყოთ კრედიტები (სესხები). ამგვარად, მაღალი ზრდის მრეწველობაში, გაზრდილი კაპიტალიზაციის შედეგად გაიზარდა სესხების მიღების შესაძლებლობა.

მაღალი ზრდის პერიოდის განმავლობაში, ფირმები უფრო მეტ კაპიტალს აბანდებდნენ, ვიდრე აკუმულირდებოდა (გროვდებოდა) მათში (ანუ, ფირმებში / კომპანიებში) შიგნით. მაგრამ, ინდივიდუალური დანაზოგების მაჩვენებელი მაღალი იყო და ინდივიდუალური დანაზოგების ძირითადი ნაწილი კონცენტრირებული (თავმოყრილი) იყო საბანკო დეპოზიტებზე. საბანკო კრედიტები (სესხები) ასრულებდა მედიატორის (შუამავლის) ფუნქციას ბიზნეს- / კომერციულ საწარმოებში, ინდივიდუალურ დანაზოგებსა და კრედიტებს (სესხებს) ან ინვესტიციებს შორის ბიზნეს- / კომერციულ საწარმოებში. არაპირდაპირი დაფინანსების ეს ტიპი ამ პერიოდის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. **(Tōyō keizai shinpōsha, *Shōwa kokusei sōran.* Tokyo: Tōyō keizai shinpōsha, 1980, vol. 2, p. 116. აგრეთვე, THE CAMBRIDGE HISTORY OF JAPAN [Volume 6, The Twentieth Century.] Edited by Peter Duus. Cambridge, 1988. P 529. [Table 10.17 - ასახავს (ფულადი) საშუალებების / სახსრების ნაკადს სწრაფი ეკონომიკური ზრდის დროს - 1965 [1 ტრილიონ ¥-ში].**)

ცხადია, ბანკები მნიშვნელოვანი იყო არაპირდაპირი დაფინანსების ამ სისტემისთვის. ზოგჯერ ამბობენ, რომ დიდი "ქალაქის ბანკები" (the large "city banks") (როგორც უწოდებდნენ კომერციულ ბანკებს იაპონიაში) იდგნენ საწარმოთა ჯგუფების მწვერვალზე ისევე, როგორც სათაო კომპანიები (honsha / ჰონშა) იდგნენ ომისწინა (პერიოდის) ზაიბაცუს (zaibatsu) მწვერვალზე, რამდენადაც ორივე ახორციელებდა მსგავს ეკონომიკურ ძალაუფლებას. მიაზაკი გიიჩის (Miyazaki

Giichi's) „კომპლექტი/ნაკრები [ერთიანი] ჰიპოთეზის“ („one set hypothesis“) მიხედვით, რამდენადაც საწარმოთა ჯგუფები, რომლებსაც ბანკები ხელმძღვანელობდნენ, ცდილობდნენ შეეძინათ შვილობილი საწარმოები ყველა ინდუსტრიაში / დარგში და მოეცვათ ინდუსტრიებისა და ფინანსური ინსტიტუტების მთელი სპექტრი, არსებობდა ინტენსიური საინვესტიციო კონკურენცია. სხვები ფიქრობენ, რომ ბანკები ხელს უწყობდენ ხელსაყრელ / მომგებიან "საკრედიტო რაციონირებას" ("credit rationing") მძიმე და ქიმიური მრეწველობის ფირმებისთვის, კოოპერირებდნენ (თანამშრომლობდნენ) რა მთავრობის პოლიტიკასთან ხელოვნურად დაბალი საპროცენტო განაკვეთების შენარჩუნების მიზნით.

თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ბანკებს (the city banks) ჰქონდათ სასიცოცხლო მნიშვნელობა დანაზოგების ინვესტიციებში ტრანსფერისთვის (გადატანისთვის), ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მათ შეეძლოთ უგულებელყოთ საბაზრო ძალები კაპიტალის განაწილებაში, ან რომ მათ ჰქონდათ დისკრეციული (პირადი შეხედულებისამებრ) უფლებამოსილება გადაეწყვიტათ თუ ვის მისცემდნენ სესხს. ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ბევრი საქალაქო ბანკი (the city banks) არსებობდა, მათ უწევდათ კონკურენცია / კონკურენციაში შესვლა მაღალი ხარისხის კლიენტების შესაძენად სესხებისთვის. მეორე, გარდა ქალაქის ბანკებისა (city banks), არსებობდა მრავალი სხვა ფინანსური ინსტიტუტი, რომლებისთვისაც ფირმებს შეეძლოთ მიემართათ სესხის მისაღებად, მაგალითად, გრძელვადიანი საკრედიტო ბანკები (long-term credit banks) და სიცოცხლის დაზღვევის კომპანიები (life insurance companies). მესამე, როდესაც იაპონიის ეკონომიკური ზრდა აჩქარდა, განსაკუთრებით სწრაფად მზარდმა / მაღალგანვითარებულმა საწარმოებმა შექმნეს საკუთარი კაპიტალის რეზერვები, საიდანაც შეეძლოთ საკუთარი თავის დაფინანსება. მეოთხე, 1965 წლის შემდეგ, როდესაც მთავრობამ დაიწყო საჯარო ობლიგაციების გამოშვება, საპროცენტო განაკვეთების მოძრაობა იყო ლიბერალიზებული.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკები ამუშავებდნენ გრძელვადიან ურთიერთობებს ფირმებთან არაპირდაპირი დაფინანსების სისტემის ფარგლებში, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბანკები, მათი სურვილისამებრ ანაწილებდნენ კაპიტალს ან ცალმხრივად აწესებდნენ საპროცენტო განაკვეთებს. კონკურენტული ბაზრის მექანიზმები ჯერ კიდევ მოქმედებდა და ამიტომ, ქალაქის ბანკების (the city banks), როგორც ყოვლისშემძლის იმიჯის (სახის) მქონის / მატარებლის, ბიზნეს- / საქმიან სამყაროში არის შეცდომაში შემყვანი.

§ 1.3 პერსონალი-მენეჯმენტის პრაქტიკა

მაღალი / სწრაფი ზრდის ამ პერიოდში, პერსონალი-მენეჯმენტის პრაქტიკები (Labor-management practices) ხასიათდებოდა უვადო დასაქმებით (lifetime employment), სტაჟზე დაფუძნებული ხელფასებითა (seniority-based wages / ხელფასები სტაჟის მიხედვით) და საწარმოთა პროფკავშირებით (ინგლ. company unions, რომლებიც შექმნილია და/ან კონტროლდება თავად კომპანიის მიერ, რომლებიც პასუხობს საკუთარ ინტერესებს და არა მუშაკთა ინტერესებს. ზოგიერთ ქვეყანაში მათ "ყვითელ" გაერთიანებებად / a "yellow" unions მოიხსენიებენ.).

როგორც წესი, იაპონიაში საწარმოები ქირაობდნენ სკოლების ახალ კურსდამთავრებულებს და მათ სამუშაო ადგილზე უტარებდნენ სწავლებას (on-the-job training / სწავლა სამსახურში [სამუშაოსგან მოუწყვეტლივ]). იმის გამო, რომ საწარმოები აფასებდნენ პერსონალის უნარებს, მუშები დაქირავებულნი იყვნენ ძალიან ხანგრძლივი ვადით (until retirement age / საპენსიო ასაკამდე, პენსიაზე გასვლამდე), ხოლო ხელფასები დაფუძნებული იყო სამუშაო სტაჟზე (seniority / ხანდაზმულობის მიხედვით). იმის გამო, რომ ერთიც და მეორეც, პერსონალი [შრომითი რესურსები / თანამშრომლები] (labor) და მენეჯმე-

ნტი [ადმინისტრაცია / მმართველობა] (management) ცდილობდნენ მიეღწიათ სტაბილურობისთვის დასაქმებაში, ორივე მოქნილად მიუახლოვდა სახელფასო ანაზღაურებას / ხელფასის ანგარიშსწორებას (wage settlements). ბონუსების სისტემა ასევე დაეხმარა დასაქმების სტაბილიზაციას, ფირმის გარკვეული რისკის მუშაკებზე / თნამშრომლებზე გადაცემით.

პერსონალის [შრომითი რესურსების / თანამშრომლების] (labor) მართვის ასეთი მეთოდების არსებობამ ხელი შეუწყო მუშაკთა უნარების / უნარ-ჩვევების განვითარებას და (შრომის) ნაყოფიერების გაუმჯობესებას საწარმოო პროცესში მონაწილეობის სურვილის გაზრდით, რითაც (ის) უზრუნველყოფდა მაღალ ზრდას. მან ასევე შედარებით სტაბილური გახადა პერსონალი - მენეჯმენტის ურთიერთობები (labor-management relations). **(Rōdōshō. *Rōdō tōkei yōran*. Tokyo: Ōkurashō insatsukyoku, 1965-1973. აგრეთვე, THE CAMBRIDGE HISTORY OF JAPAN [Volume 6, The Twentieth Century.] Edited by Peter Duus. Cambridge, 1988. P. 531. Table 10.18)**

მიუხედავად იმისა, რომ პერსონალი - მენეჯმენტის (labor-management) ეს პრაქტიკა პრევალირებდა (ჭარბობდა) დიდ საწარმოებში, მათ ყოველთვის არ მისდევდნენ საშუალო და მცირე საწარმოები. მთლიანობაში, ეს პრაქტიკა ეხებოდა ყველა დასაქმებულთა მხოლოდ 30 პროცენტს, მაგრამ დანარჩენ დასაქმებულ მოსახლეობას შორის სამუშაო ადგილების ცვლილებები იყო ხშირი და შრომის ორგანიზების **(ინგლ. labor organization; შრომის/შრომითი ორგანიზაცია არის მუშაკთა ორგანიზაცია/გაერთიანება, რომლებიც გაერთიანდნენ/შეიკრიბნენ თავიანთი ინტერესების დასაცავად ან ხელშეწყობისთვის/წინსვლისთვის, რათა უზრუნველყონ უკეთესი სამუშაო პირობები, ხელფასი და მსგავსი შეღავათები დამსაქმებლებთან კოლექტიური მოლაპარაკებების გზით.)** მაჩვენებელი დაბალი.

დაახლოებით 1965 წლისთვის, როდესაც შრომის ბაზარი გამკაცრდა, საშუალო და მცირე საწარმოები უფრო მაღალ

ხელფასს უხდიდნენ ახალგაზრდა თანამშრომლებს. რომ არა ასეთი მიდგომა, ისინი ვერ შეძლებდნენ იმდენი სამუშაო ძალის მოპოვებას / მიზიდვას, რამდენიც სჭირდებოდათ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ახალგაზრდა მუშაკებისთვის ხელფასები განისაზღვრებოდა ჰომოგენურ (ერთგვაროვან) გარე შრომის ბაზარზე (external labor market). ხანდაზმული მუშაკების შემთხვევაში ხელფასების განსხვავება / ხელფასებს შორის მაჩვენებელი (the wage differential) გახდა უფრო თვალსაჩინო. მიზეზი იყო ის, რომ მსხვილ საწარმოებში ხელფასები გაიზარდა, რადგან მუშები იყვნენ უფრო დიდი ხნის დასაქმებულნი და მათი ხელფასი ეფუძნებოდა სტაჟს, მაშინ როცა მცირე და საშუალო საწარმოებში არსებობდა მუშახელის დიდი მობილობა (გადაადგილება-მოძრაობა / მობილობის დიდი წილი) და არ იყო სტაჟზე დაფუძნებული მასშტაბი (seniority-based scale), ამიტომ ხანდაზმული მუშები უფრო მეტად დაზარალდნენ სამუშაო ძალის / შრომის მიწოდებით. **(Rōdōshō, *1954-nen kojinbetsu chingin chōsa.* Tokyo: Rōdōshō, 1955; Rōdōshō, *1961-nen chinginjittai sōgō chōsa.* Tokyo: Rōdōshō, 1962; *Chingin kōzō kihon tōkei chōsa hōkoku,* Tokyo: 1965, 1970, 1975. [სახელფასო განსხვავება მცირე, საშუალო და დიდ საწარმოებს შორის იხ. THE CAMBRIDGE HISTORY OF JAPAN [Volume 6, The Twentieth Century.] Edited by] Duus. Cambridge, 1988. P. 532. Table 10.19**)

მსხვილ საწარმოებში, რა თქმა უნდა, არ მუშაობდნენ მხოლოდ გრძელვადიანი / ხანგრძლი დროით დასაქმებული მუშები (long-term workers). დაახლოებით 1960 წელს, როდესაც ეკონომიკა მოსალოდნელზე სწრაფად გაიზარდა, მსხვილმა საწარმოებმა დაიქირავეს დიდი რაოდენობით დროებითი მუშაკები, რომლებიც საბოლოოდ დასაქმდნენ რეგულარულად. 1970-იან წლებში გაიზარდა დროებითი (temporary), ყოველდღიური (daily) ან არასრული სამუშაო დღით / ნახევარ განაკვეთზე (part-time) დასაქმებულთა რაოდენობა. შრომის წყაროდ ასევე გამოიყენებოდა სუბკონტრაქტორებიც / ქვეკონტრაქტორე-

ბიც. მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზრები სულ უფრო და უფრო ინტერნალიზებული (ჩართული / მიღებული) ხდებოდა დიდ საწარმოებში, შიდა და გარე შრომის ბაზრები მაინც ახდენდნენ ერთმანეთზე გავლენას.

§ 1.3.1 ქვეკონტრაქტორი საწარმოების განვითარება

სწორედ ამ პერიოდის (კიდევ ერთი) მახასიათებელი იყო ის, თუ რამდენად / რა ხარისხით ეყრდნობოდნენ მსხვილი საწარმოები მცირე და საშუალო საწარმოებს, როგორც ქვეკონტრაქტორებს. 1976 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, მსხვილი სამრეწველო / გადამამუშავებელი საწარმოების (manufacturing enterprises) 82,2 პროცენტი ეყრდნობოდა გარე მომწოდებლებს, ხოლო ყველა მცირე და საშუალო სამრეწველო / გადამამუშავებელი საწარმოების (manufacturing enterprises) 58,1 პროცენტს ჰქონდა ქვეკონტრაქტორული ურთიერთობა დიდ ფირმებთან.

ხშირად ამბობენ, რომ მსხვილი ფირმები იყენებდნენ ქვეკონტრაქტორებს, როგორც ბიზნესის საერთო პირობების ცვლილებებთან შეგუების საშუალებას (გზას / შესაძლებლობას). როდესაც ბიზნესი იყო გამოცოცხლებული, ისინი იყენებდნენ ქვეკონტრაქტორებს, მაგრამ როდესაც ბიზნესი შენელდა, მსხვილი ფირმები აჩერებდნენ შეკვეთებს ან სთავაზობდნენ მხოლოდ თვითღირებულებაზე დაბალ ფასებს. სხვა სიტყვებით (რომ ვთქვათ), მსხვილმა ფირმებმა თავიანთი ქვეკონტრაქტორები მთლიანად დაიმორჩილეს, გახადეს დაქვემდებარებული და გამოიყენეს მათი იაფი შრომა / სამუშაო ძალა (cheap labor) და წარმოების ხარჯები საკუთარი მოგებისთვის. თუმცა, თუ ეს ასე იყო, ძნელი გასაგებია, რატომ იზრდებოდა ქვეკონტრაქტორების რაოდენობა ეკონომიკის ზრდასთან ერთად. ქვეკონტრაქტორების გამოკითხვის თანახმად, თუ რატომ წა-

ვიდნენ ისინი (ამ) ბიზნესში, ბევრმა დაასახელა ისეთი მიზეზები, როგორიცაა: "შემიძლია წარმოებაზე კონცენტრირება მოვახდინო გაყიდვების ძალისხმევაზე ფიქრის გარეშე" ("I can concentrate on production without having to worry about making sales efforts"), ან "სამუშაო ნაკადი / მსვლელობა სტაბილურია / მდგრადია" ("The flow of work is stable."). ქვეკონტრაქტორების გამომყენებელ ფირმებს შორის, ქვეკონტრაქტორის შერჩევისას ძირითადი მოსაზრება იყო შემდეგი: ფლობდა თუ არა ის სპეციალურ ტექნოლოგიას ან ქარხნის აღჭურვილობას (plant facilities). **(Yutaka Kōsai and Yoshitarō Ogino, *The Contemporary Japanese Economy.* New York: Macmillan, 1981, p. 72.)**

ქვეკონტრაქტორი ფირმები ცდილობდნენ გამოეყენებინათ მესაკუთრის ტექნიკური და მენეჯერული უნარები უწყვეტად და ხანგრძლივი დროით. ისინი იდგნენ ბაზარსა და კონტრაქტორი ფირმის შიდა ორგანიზაციას შორის, აერთიანებდნენ ბაზრის ადაპტირებას დიდი ფირმის გრძელვადიანი გეგმების შედგენის შესაძლებლობასთან. ამან შექმნა წარმოების ორგანიზების განსაკუთრებულად ეფექტური გზა. მაგალითად, საავტომობილო ინდუსტრიაში, ტოიოტას "ზუსტად დროულად" (Toyota's "just-in-time") მიწოდების სისტემა, პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად დიდწილად იყო დამოკიდებული ქვეკონტრაქტორებზე.

§ 1.4 აგროსექტორი (ფერმერები სწრაფი ურბანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში)

ინტენსიური ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის ათწლეიწადნახევრის განმავლობაში, ქვეყნის ადგილობრივი თემების უმეტესობამ დაკარგა მოსახლეობა. ყველაზე მეტად წაგებული (დამარცხებული / ხელმოცარული) აღმოჩნდნენ სოფლად მყოფნი და სოფლის მეურნეობაზე / მიწათმოქმედებაზე უკიდურესად დამოკიდებულნი. შედეგად, ფერმერთა

შინამეურნეობების რაოდენობა შემცირდა 6,043 მილიონიდან 1955 წელს 5,342 მილიონამდე 1970 წელს, ანუ 11,3 პროცენტით თხუთმეტი წლის განმავლობაში. **(იხ. Asahi shinbunsha, Asahi nenkan, 1966, p. 401; 1971, p. 384. აგრეთვე იხ. Ohashi Takanori, *Nihon no kaikyū kōsei*. Iioanami shinsho, no. 789. Tokyo: Iwanami shoten, 1971, p. 115.)** 1960 წელს ტიპური იაპონური სოფელი შედგებოდა სამოცდაოთხი კომლისაგან, რომელთაგან ოცდათერთმეტი, ანუ 48 პროცენტზე მეტი იყო ფერმერი; ათი წლის შემდეგ იგი შედგებოდა ოთხმოცდაერთი კომლისაგან, რომელთაგან ოცდაჩვიდმეტი, ანუ თითქმის 46 პროცენტი იყო ფერმერი. **იხ. Nishio, "Kaso to kamitsu", in *Nenpō seijigaku,* 1977, pp. 210-n .)** მეორე, ფერმერთა შინამეურნეობების წევრთა რაოდენობა ასევე შემცირდა 6-ზე ოდნავ მეტი ადამიანიდან 4-ზე ოდნავ ნაკლებამდე, რამაც ფერმერთა შინამეურნეობების / ოჯახის წევრთა მთლიანი რიცხოვნება თითქმის 28 პროცენტით შეამცირა. მესამე, ფერმერული ოჯახის / ფერმერულ მეურნეობათა წევრების წილი, რომლებიც რეალურად ეწეოდნენ მიწათმოქმედებას სრულ ან ნახევარ განაკვეთზე, შემცირდა საშუალოდ 53-დან 39 პროცენტამდე, რითაც შემცირდა მთლიანი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო ძალის რაოდენობა დაახლოებით 47 პროცენტით. **(Asahi nenkan, 1958, p. 569; 1966, p. 401; 1971, p. 384.)** დაბოლოს, სრულ განაკვეთზე / სრული სამუშაო დროით დასაქმებულ (full-time) ფერმერთა შინამეურნეობების რაოდენობა, რომელთა ყველა წევრი ძირითადად სოფლის მეურნეობით / ფერმერობით იყო დაკავებული, დაახლოებით 60 პროცენტით შემცირდა. საშუალო ფერმერთა შინამეურნეობა 1955 წელს ითვლიდა 2.7 წევრს, რომლებიც სრულ განაკვეთზე / სრული სამუშაო დროით იყვნენ დასაქმებულნი, მაგრამ 1970 წელს მას ჰყავდა მხოლოდ 1 სრული სამუშაო დროით დასაქმებული / სრულ განაკვეთზე მყოფი ფერმერი, რომელიც სავარაუდოდ იყო მოხუცი კაცი ან ქალი. **(Uraki Shin'ichi, *Nihon nōmin no henkan katei*. Tokyo: Ochanomizu shobō, 1978, pp. 28-29.)** ახალგაზრდები, განსა-

კუთრებით მამაკაცები, ჯგუფურად ტოვებდნენ მშობლიურ ადგილებს, არასამეურნეო სამუშაოებისთვის. 1955 წელს ოცდათხუთმეტიდან ოცდაცხრამეტ წლამდე ასაკის ყოველმა მე-4 ფერმერმა და ოცდახუთიდან ოცდაცხრამეტ წლამდე ასაკის ყოველმა მე-3 ფერმერმა 1970 წლისთვის (თხუთმეტწლიან მონაკვეთში) მიატოვა მიწათმოქმედება. **(Miyake Ichirō, "Yūkensha kōzō no hendō to senkyo." In *Nenpō seijigaku,* 1977 (55-nen taisei no seiritsu to hokai: Zoku gendai Nihon no seiji katei), ed. Nihon seiji gakkai . Tokyo: Iwanami shoten, 1979. P. 265.)**

სასოფლო / სოფლის შინამეურნეობების მზარდი პროპორცია (თანაფარდობა), რომლებიც ნაწილობრივ დამოკიდებულნი იყვნენ ფერმერობიდან / სოფლის მეურნეობიდან მიღებულ შემოსავლებზე მათთან მიმართებაში, რომლებიც მთლიანად / სრულად იყვნენ დამოკიდებულნი ასეთ შემოსავლებზე, რაც წინ უსწრებდა მეორე მსოფლიო ომს, ოკუპაციის მიწის რეფორმის მომყოლი / თანმდევი დროებითი შეფერხების / შეჩერების შემდეგ, კვლავ გაიზარდა 1950 წლის ბოლოდან. 1955 წლისთვის უკვე თითქმის ორჯერ მეტი იყო პირველი ტიპის შინამეურნეობა, ვიდრე მეორე ტიპის. ეს ტენდენცია დაჩქარდა მომდევნო დეკადანახევრის / ათწლედნახევრის განმავლობაში, თანაფარდობა შეიცვალა 3.6:1.0 -თან 1965 წელს, და 5.4:1.0 -თან 1970 წელს. **(Nikon kokusei zue, 1981. In The Cambridge History of Japan, Cambridge: 1989, p. 209.)** საშუალო ფერმერული შინამეურნეობა თავისი შემოსავლის 71 პროცენტს იღებდა ფერმერული მეურნეობიდან 1955 წელს, მაგრამ მხოლოდ 48 პროცენტს 1965 წელს და 37 პროცენტს 1970 წელს. **(Ibid., pp. 212-213; *Kokumin seikatsu tōkei nenpō '80,* p. 56.)** ამრიგად, როგორც ეკონომიკურად, ისე რიცხობრივად, 1970-იანი წლების დასაწყისის იაპონიის სოფლის ტიპურ ოჯახს ჰყავდა ორი დაქირავებული მშრომელი / ხელფასის მფლობელი ერთ ფერმერზე.

სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობისა და ყველა ფერმე-

რული შინამეურნეობის რაოდენობის დრამატული (მკვეთრი) კლება გამოწვეული იყო გარემოებების კომბინაციით (ერთობლიობით/შერწყმით/თანხვედრით). სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაციამ (დანაწევრებამ), ომის შემდგომი მიწის რეფორმის გაუთვალისწინებელმა შედეგებმა, ხალხი გააძევა ფერმერული / სოფლის მეურნეობიდან (მიწათმოქმედებიდან). 1960 წლის თებერვლის კვლევის მიხედვით, მაგალითად, ქვეყნის ფერმერთა ოჯახების / შინამეურნეობების 38 პროცენტი ფლობდა 0,5 ჰექტარზე ნაკლებ სასოფლო-სამეურნეო მიწას, 32 პროცენტი 0,5-დან 1,0 ჰექტრამდე და 25 პროცენტი 1,0-დან 2,0 ჰექტრამდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაახლოებით 70 პროცენტი ფლობდა 1,0 ჰექტარზე ნაკლებს და დაახლოებით 95 პროცენტი (ჯამურად) 2,0 ჰექტარზე ნაკლებს. **(*Nikon kokusei zue,* 1981, p. 208, Table 16-6.)** ფერმერთა შინამეურნეობების უმრავლესობისთვის ძალიან ცოტა მიწა იყო ხელმისაწვდომი ფერმერული შინამეურნეობისთვის, რათა მომომხდარიყო მათი საკუთარი შრომის აბსორბცია (ათვისება / შთანთქმა) მთელი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით, - სუსტი / მოუსავლიანი სეზონის დროს**.** სასოფლო-სამეურნეო შრომის სიჭარბე, რომელიც გამოწვეული იყო სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაციის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა 1960-იან წლებში სამეურნეო მეთოდების სწრაფი მექანიზაციით. მცირე ტრაქტორები, რომლებიც გამოიყენებოდა 1950-იანი წლების დასაწყისიდან, საკმაოდ გავრცელებული გახდა 1960-იანი წლების დასაწყისში და 1962 წელს ფერმერთა შინამეურნეობების დაახლოებით ორი მესამედი ფლობდა მათ. **(Itō Mitsuharu. *Hoshu to kakushin no Nihonteki.* Tokyo: Chikuma shobo, 1970, pp. 82-83.)** ამავდროულად, ასევე შემოიღეს სხვადასხვა ჰერბიციდები (herbicides) და ინსექტიციდები (insecticides), რამაც კიდევ უფრო შეამცირა ადამიანური შრომის ოდენობა, რომელიც შეიძლება მომგებიანად (სარფიანად / ხელსაყრელად) ყოფილიყო ინვესტირებული სასოფლო-სამეურნეო / ფერმერულ საქმიანობაში.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე ზომის ფერმები, რომელსაც ფლობდნენ ცალკეული ფერმერები და შრომის დამზოგვი მოწყობილობების დანერგვა, ძლიერი ბიძგის მიმცემი იყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაო ძალის გადინებისთვის, ინდუსტრიის (მრეწველობის) ექსპანსიამ (გაფართოებამ) თანაბრად ძლიერი მიზიდულობის ძალა უზრუნველყო / გააჩინა. დიდ ურბანულ ცენტრებში დასაქმების შესაძლებლობებმა, ახალგაზრდების დიდი რაოდენობა მიიზიდა სოფლებიდან. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, (არის ის) რომ 1960-იან წლებში მრავალი ქარხანა და ოფისი განლაგდა ან გადავიდა სასოფლო რაიონებში, რამაც მიიზიდა მრავალი, იაფი და პლასტიური (მორჩილი / დამყოლი) მუშახელი, რომელიც ჯერ კიდევ იყო იქ ხელმისაწვდომი, და რასაც ასევე ხელს უწყობდა სარკინიგზო და საავტომობილო გზების ქსელები, რომლებიც მნიშვნელოვნად გაფართოვდა ათწლეულის განმავლობაში.

მოსახლეობის ამგვარმა მიგრაციამ სოფლებიდან ქალაქებში და სამუშაო ძალის გადასვლამ სოფლის მეურნეობიდან სამრეწველო და მომსახურების სექტორებში, სხვადასხვაგვარად იმოქმედა ფერმერების ეკონომიკურ და სოციალურ სტატუსზე (პოზიციაზე / მდგომარეობაზე). ბევრმა სასოფლო დასახლებამ, განსაკუთრებით შორეულ და მთიან რეგიონებში, დაკარგა ახალგაზრდა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი და დარჩა ისეთივე, ან კიდევ უფრო ღარიბი, ვიდრე იყო წინათ. ერთი კვლევა აჩვენებს, რომ 1970 წელს 4,4 წევრისგან შემდგარი საშუალო ფერმერული ოჯახი საკმაოდ ტიპურ სასოფლო-სამეურნეო პრეფექტურაში, Mie -ში, ფლობდა წლიური ბიუჯეტის სახით დაახლოებით 1,350 მილიონ ¥-ს და ხარჯავდა 1,055 მილიონ ¥-ს ცხოვრების ხარჯებისთვის და დამატებით 116,000 ¥-ს გადასახადებისთვის და სხვა სახელმწიფო მოსაკრებლებისთვის / გადასახადებისთვის. თუმცა, [შემოსავალის სახით], ამავე პრეფექტურის უფრო შორეულ და მთიან ნაწილებში შესადარებელი ოჯახები საშუალოდ მხოლოდ 948,000 ¥-ს გამოიმუშავებდნენ. **(Uraki Shin'ichi. Nihon nōmin no henkan katei.**

Tokyo: Ochanomizu shobo, 1978. pp. 35, 41-42.) მაგრამ, შინამეურნეობების ეს უკანასკნელი ტიპი არ იყო ტიპური არც Mie -ს პრეფექტურაში და არც მთლიანად იაპონიაში. უფრო მეტმა ფერმერულმა შინამეურნეობამ არსებითად გააუმჯობესა ცხოვრების სტანდარტი (დონე), როგორც აბსოლუტური (სრული / სრულყოფილი), ისე რელატიური (ფარდობითი / შედარებითი) თვალსაზრისით.

Mie -ს პრეფექტურაში საშუალო ფერმერის რეალური ბიუჯეტი დაახლოებით ოთხჯერ გაიზარდა 1955-1970 წლებში. **(Ibid., p. 31.)** ამავდროულად, ასეთი შინამეურნეობის საბრუნავი / მიმდინარე აქტივებისა და შენობების ნომინალური ღირებულებები გაიზარდა, შესაბამისად, ოც-ოცდახუთჯერ და ოცდათხუთმეტ-ორმოცჯერ. ქვეყნის მასშტაბით ცვლილება კიდევ უფრო დრამატული (მკვეთრი) იყო: საშუალო ფერმერმა / ფერმერულმა შინამეურნეობამ თავისი მიმდინარე აქტივების ნომინალური ღირებულების ზრდით მიიღო მოგება: 1960 წელს 282,000 ¥, 1970 წელს 1,644,700 ¥ და 1973 წელს 3,103,000 ¥. **(Keizai kikakuchō sōgō keikakukyoku. ed. Shotoku shisan bunpai no jittai to mondaiten: *Shotoku bunpai ni kansuru kenkyūkai hōkoku.* Tokyo: Okurasho insatsu kyoku, 1975. Keizai kikaku chō, p. 44.)** ეს შეადგენს 58 პროცენტიან ზრდას ათ წელიწადში და 110 პროცენტს ცამეტ წელიწადში.

გაუმჯობესდა ფერმერების შემოსავალიც. ფერმერული მეურნეობის / ოჯახის საშუალო შემოსავალი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დაახლოებით უტოლდებოდა თვითდასაქმებული შინამეურნეობების / ოჯახების საშუალო შემოსავალს. **(იხ. *Kokumin seikatsu tōkei nenpō'80,* p. 57.)** 1960 წელს ის შეადგენდა დაქირავებულ მუშაკთა ოჯახების საშუალო შემოსავლების სამ-მეოთხედზე ოდნავ ნაკლებს, მაგრამ 1970 წლისთვის მას დაეწია და გაუთანაბრდა. **(Nishio, "Kaso to kamitsu," in *Nenpō seijigaku,* 1977, pp. 210-211)** 1970 წელს ფერმერებს ჰქონდათ ისეთივე საყოფაცხოვრებო ტექნიკა, როგორიც არის ფერადი ტელევიზორები, სარეცხი მანქანები

და მაცივრები და მეტი ავტომობილი, ვიდრე თეთრსაყელოიან (white-collar) ან ლურჯსაყელოიან მუშაკებს (blue-collar workers).

ფერმერების მზარდი კეთილდღეობის / სიმდიდრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იყო მათი ძირითადი პროდუქტის, ბრინჯის კარგი ფასები, ძირითადად მთავრობის გულუხვი / კეთილშობილური სუბსიდიების (ფულადი [ან ნივთიერი] დახმარების) წყალობით. ბრინჯის განაწილება რჩებოდა სახელმწიფო მონოპოლიად 1969 წლამდე, მაგრამ მთავრობის თვალსაზრისით, ეს იყო მუდმივად სტაბილურად წამგებიანი ოპერაცია ([მო]ქმებდება) 1952 წლის შემდეგ, როდესაც ფასმა, რომლითაც მთავრობა ყიდულობდა ბრინჯს ფერმერებისგან, გადაამეტა ფასს, რომლითაც მთავრობა ასყიდებდა ბრინჯის რეგისტრირებულ მოვაჭრეებს / ბრინჯის დილერებს. 1960-იანი წლების დასაწყისში სისტემა კიდევ უფრო წამგებიანი გახდა, რადგან ეს უკანასკნელი ფასი სამომხმარებლო ფასზე დაბლა დაეცა. **(Ibid., p. 217. იხ. აგრეთვე Ishida, Takeshi, and George, Aurelia D. "Nokyō: The Japanese Farmers' Representative." In *Japan & Australia: Two Societies and Their Interaction,* ed. Peter Drysdale and Hironobu Kitaoji. Canberra: Australian National University Press, 1981. Donnelly, Michael W. "Setting the Price of Rice: A Study in Political Decisionmaking." In *Policymaking in Contemporary Japan,* ed. T. J. Pempel. Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1977.)** თუმცა, ბრინჯის მწარმოებელი / მომყვანი ფერმერების თვალსაზრისით, ეს იყო მომგებიანი / ხელსაყრელი შეთანხმება, რომელიც მათ ბუნებრივია გამოიყენეს იმდენად და იმდენხანს, რამდენადაც და სადამდეც შეეძლოთ.

ფერმერების ცხოვრების დონის გაუმჯობესების ხელშემწყობი კიდევ ერთი ფაქტორი იყო სასოფლო-სამეურნეო მიწების საბაზრო ღირებულების დრამატული (მკვეთრი) ზრდა. მაგალითად, მიე-ს პრეფექტურაში (Mie Prefecture), ათ წელიწადში (1960-1970), საშუალო ხარისხის ტენიანი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასი გაორმაგდა და შედარებითი ხარისხის მშრალი

სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასი 2,2-ჯერ გაიზარდა. **(Uraki Shin'ichi. *Nihon nōmin no henkan katei.* Tokyo: Ochanomizu shobo, 1978, pp. 140-141.)** რაც (კიდევ) უფრო მნიშვნელოვანია, იმავე პერიოდში, პრეფექტურის სასოფლო-სამეურნეო მიწების თითქმის (ერთი-)მესამედი კონვერტირდა (გარდაიქმნა) საცხოვრებელი და სამრეწველო (მიმართულებით) სარგებლობისთვის და ამ ტიპის მიწის ღირებულება (მინიმუმ) სამჯერ (და მაქსიმუმ) ოცჯერ უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე ტენიანი ან მშრალი სასოფლო-სამეურნეო მიწის ღირებულება / ფასი. ამგვარად, სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაწილის ან 'გაბერილ' ფასად გაყიდვით, ან უბრალოდ მისი შენარჩუნებით, საშუალო ფერმერი იღებდა სარგებელს.

გაცილებით ნაკლებად აშკარა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე ბრინჯის ან მიწის მზარდი ფასის გავლენა იყო ფერმერთა ოჯახის წევრების მზარდი რიცხვი, რომლებიც ტოვებდნენ მეურნეობას ფერმისგაერე სამუშაოებისთვის. მიე -ს პრეფექტურის (Mie Prefecture) ტიპური ფერმერის ოჯახის / ფერმერული საბიუჯეტო შემოსავალი, რომელიც მიღებული იქნა ფერმერული მეურნეობიდან, გაიზარდა დაახლოებით სამჯერ ნომინალური თვალსაზრისით [ნომინალურ გამოხატულებაში] და ორჯერ ოდნავ ნაკლები რეალური თვალსაზრისით [რეალურ გამოხატულებაში] 1955-1970 წლებში. **(Ibid., pp. 29-30.)** იმავდროულად, მისი შემოსავალი, რომელიც მიეკუთვნება არაფერმერულ დასაქმებას, რვაჯერ გაიზარდა ნომინალური თვალსაზრისით და დაახლოებით ხუთჯერ რეალურად. ამგვარად, 1970 წელს ასეთი ოჯახი გამოიმუშავებდა 600,000 ¥-დან 900,000 ¥-მდე ფერმერული დასაქმებიდან / სოფლის მეურნეობიდან და 1,200 მილიონი ¥-დან 1,400 მილიონ ¥-მდე არაფერმერული დასაქმებიდან**.**

თუმცა, საინტერესოა, რომ ის შინა მეურნეობები / ოჯახები, რომლებიც თავიანთი შემოსავლის წყაროებს თანაბრად ყოფდნენ სასოფლო / ფერმერულ და არასასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს შორის, ვიდრე ისინი, რომლებიც მნიშვნელოვნად

მეტად იყვნენ დამოკიდებული დასაქმების ამა თუ იმ ტიპზე, უკეთ იქცეოდნენ (და აღწევდნენ საუკეთესო შედეგებს). კიდევ ერთხელ რომ მოვიტანოთ მიე -ს პრეფექტურის (Mie Prefecture) კვლევა, იმ ოჯახებმა, რომლებიც ექსკლუზიურად (მხოლოდ / განსაკუთრებულად) სოფლის / ფერმერული მეურნეობით იყვნენ დაკავებული, 1970 წელს საშუალოდ 1,113 მილიონი ¥ გამოიმუშავეს; მათ, ვინც უფრო მეტად იყო დამოკიდებული შემოსავლის არასასოფლო-სამეურნეო წყაროებზე, ვიდრე სოფლის მეურნეობაზე, გამოიმუშავეს 1,236 მილიონი ¥; ხოლო მათ, ვინც თანაბრად იღებდა შემოსავალს როგორც ფერმერული, ასევე არაფერმერული სამუშაოებიდან, გამოიმუშავეს 1,574 მილიონი ¥. **(Ibid., pp. 42-47)** ნებისმიერ შემთხვევაში, თუ რამდენად იყო დამოკიდებული ფერმერული შინამეურნეობა არაფერმერული / არასასოფლო-სამეურნეო დასაქმების შემოსავალზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მის საერთო ცხოვრების დონეზე.

ფერმერული შინამეურნეობების წევრებს შორის დასაქმების დივერსიფიკაციას (განაწილება / გადანაწილებას) ჰქონდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და დახვეწილი სოციალურ-ეკონომიკური გავლენა. იგი ტენდირებდა (მიდრეკილი იყო / მიისწრაფვოდა) შემოსავლის უთანასწორობის შემცირებისკენ თავად ფერმერთა ოჯახებს შორის. სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმოებული კვლევის მიხედვით, ფერმერთა შემოსავლების განსხვავება ფერმერულ შინამეურნეობებს შორის გაიზარდა ქვეყნის მასშტაბით 1957-1973 წლებში, მაგრამ ჯინის კოეფიციენტით (the Gini coefficient) გაზომილი მთლიანი ფერმერის შემოსავლის დიფერენციალი (ნაზრდი) ოდნავ შემცირდა იმავე პერიოდში, არაფერმერული / არასასოფლო-სამეურნეო წყაროებიდან მიღებული შემოსავლის დამაბალანსებელი ეფექტის (გამაწონასწორებელი გავლენის) [the counterbalancing effects of income] გამო. **(Keizai kikakuchō sōgō keikakukyoku. ed. *Shotoku shisan bunpai no jittai to mondaiten: Shotoku bunpai ni kansuru kenkyukai hokoku.* Tokyo: Ōkurashō insatsu kyoku, 1975, pp. 28-30.*)***

ამგვარად, მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის მკვეთრმა კლებამ და შემოსავლის დივერსიფიცირებულ წყაროებზე დამოკიდებული მეურნეობების კიდევ უფრო მკვეთრმა ზრდამ, რასაც ადგილი ჰქონდა 1957-1973 წლებში, არა მხოლოდ გაამდიდრა ქვეყნის ფერმერების უმრავლესობა, არამედ აგრეთვე მათი სოფლებიც ეკონომიკურად უფრო, არანაკლებ ჰომოგენური გახადა.

ფერმერების მზარდმა კეთილდღეობამ ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფინანსურ სიჯანსაღეს და პოლიტიკურ ეფექტურობას. კოოპერატივების მზარდი სიძლიერე თავის მხრივ დაეხმარა ცალკეულ ფერმერებს კიდევ უფრო გაეუმჯობესებინათ მათი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი (პოზიცია / მდგომარეობა). სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები / კოოპერატიული გაერთიანებები (Agricultural cooperative unions) 1950-იანი წლების შუა პერიოდისთვის სოფლის უმეტეს თემებში ეკონომიკურ აქტივობათა ჰაბებად (the hubs; ცენტრი / კერა) იქცნენ. თუმცა, ათწლეულის პირველ ნახევარში ისინი კვლავ დაუცველნი და მოწყვლადნი იყვნენ რამდენიმე მიზეზის გამო. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (agricultural produce) სახელმწიფო / სამთავრობო კონტროლირებადი დისტრიბუციის ომისდროინდელი / სამხედრო სისტემა, რომლის თანახმადაც, სასოფლო-სამეურნეო ასოციაციები მოქმედებდნენ როგორც ერთადერთი ავტორიზირებული (უფლებამოსილი / ნებადართული) მარკეტინგის აგენტები / სუბიექტები, ომის დასრულების შემდეგ (გარდა ბრინჯის ასოციაციისა) დაიშალა. ამან ომის შემდგომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს პოტენციურად მომგებიანი ბიზნესი წაართვა. ისინი ასევე ხშირად განიცდიდნენ უყურადღებო და გაუთვალისწინებელი საკრედიტო გაყიდვების პრაქტიკას, რამაც მათ ბევრი გადაუხდელი გადასახადი (სესხი) და ინვენტარის ნელი ბრუნვა დაუტოვა. **(Uraki Shin'ichi. *Nihon nōmin no henkan katei.* Tokyo: Ochanomizu shobō, 1978, pp. 197-206.)** კოოპერატიული საწარმოების საკვების გადამამუშავებელი ბიზნესი, როგორიცაა

ტკბილი კარტოფილის სახამებლის წარმოება, ჩვეულებრივ არ იყო მომგებიანი, ბაზრის დეპრესიული (დამთრგუნველი) პირობების გამო. დაბოლოს, კოოპერატივების გაღატაკებული წევრები ზოგადად, როგორც წესი ინარჩუნებდნენ თავიანთი კოლექტიური აქტივების ძალზედ შეზღუდულ ოდენობას, რათა უზრუნველეყოთ ოპერაციების დიდი ექსპანსია ან დივერსიფიკაცია. მაგრამ ეს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 1960-იანი წლების დასაწყისში, ნაწილობრივ მთავრობის მიერ დასპონსორებული / დაფინანსებული კონსოლიდაციის პროგრამის (consolidation program) და ნაწილობრივ კოოპერატივების წევრების მზარდი კეთილდღეობის / სიმდიდრის გამო.

მიეს პრეფექტურაში (The Mie Prefecture) ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 1955-1965 წლებში მრავალფუნქციური კოოპერატივების რაოდენობა, განსხვავებით იმ კოოპერატივებისგან, რომლებიც სპეციალიზირებულნი იყვნენ თავისი წევრების პროდუქტების მარკეტინგის, მათი წევრების სახელით საქონლის საბითუმო / მოცულობითი შესყიდვის, ორმხრივი / ურთიერთდახმარების ფონდებისა და საინვესტიციო ოპერაციების მიმართულებით, შემცირდა 400-დან 145-მდე, ხოლო თითოეულის წევრთა რაოდენობა საშუალოდ რამოდენიმე ასეულიდან გაიზარდა რამოდენიმე ათასამდე. **(Ibid., pp. 205-206.)** იმავდროულად, წევრების მიერ კოოპერატივის მეშვეობით მთავრობისთვის მიყიდული ბირნჯიდან მიღებული თითქმის მთელი თანხა, ისევე როგორც ცალკეული წევრების მიერ ბოსტნეულის, ხილის, პირუტყვის ან მიწის გაყიდვიდან მიღებული ფულის უმეტესი ნაწილი, რეგულარულად, რუტინულად (უწყვეტად / გამუდმებით) დეპონირდებოდა (ირიცხებოდა) კოოპერატივების ანგარიშებზე, როგორც დეპოზიტორებისთვის (საწარმოში დროებით არსებული ფულადი თანხის მესაკუთრე ფიზიკური [ან იურიდიული] პირებისთვის) ისე კოოპერატივებისთვის მოგების მისაღებად გასესხების ან ინვსტიციის გზით. **(Ibid., p. 229.)** იქამდე ვიდრე 1960-იანი წლების ბოლოს ბრინჯზე ფასების მხარდაჭერის სისტემის მზარდმა კრიტიკამ არ

აიძულა მთავრობა, გაუყიდავი ბრინჯის მზარდი მარაგების ფონზე შეეზღუდა წარმოება, ქვეყნის ფერმერები და მათი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები სარგებლობდნენ უპრეცედენტო კეთილდღეობითა და უსაფრთხოებით. ასე რომ, ისინი უნდა გამხდარიყვნენ / ყოფილიყვნენ კონსერვატიული მმართველობის მთავარი (და)საყრედენი ამ პერიოდში.

§ 1.5 ურბანული დასაქმების მახასიათებლები, პროფკავშირები და სოციალური სტრატიფიკაცია

მათი უმრავლესობა, ვინც მიატოვა სოფლის მეურნეობა / მიწათმოქმედება ექსტრაორდინალური (გამორჩეული / განსაკუთრებული) ეკონომიკური ზრდის დეკადანახევრის / ათწლედნახევრის განმავლობაში, შეუერთდა ურბანულ მშრომელთა / მუშათა კლასის მზარდ რიგებს. 1965 წლის გამოკითხვის მიხედვით, ფერმერთა ყოველი ასი შვილიდან ორმოცდაექვსმა მიატოვა ფერმერული მეურნეობა / მიწათმოქმედება და (მათგან) ოცდაცხრამეტი შეუერთდა ლურჯსაყელოიანთა რიგებს (the blue-collar ranks). **(Naoi Masaru, "Sangyōka to kaisō kozo no hendō." In *Hendōki no Nihon shakai,* ed. Akuto Hiroshi, Tominaga Ken'ichi, and Sobue Takao. Tokyo: Nihon hōsō kyōkai, 1972, p. 100.)** მიუხედავად სამუშაო ძალის მასობრივი მონაცველობის შედეგად მათი რაოდენობის ზრდისა, ქალაქად დასაქმებულებმა მნიშვნელოვანი მოგება / სარგებელი მიიღეს ამ პერიოდში, შრომის პროდუქტიულობისა და ხელფასების კიდევ უფრო სწრაფი ზრდის გამო.

რეალური ხელფასები განუხრელად იზრდებოდა დაჩქარებული ტემპით და 1970 წლისთვის ისინი საშუალოდ 2,3-ჯერ მეტი იყო ვიდრე 1955 წელს. **(Miyake, "Yūkensha kōzō," in *Nenpō seijigaku,* 1977, p. 270. იხ. აგრეთვე Fujinawa Masakatsu. *Nihon no saitei chingin.* Tokyo: Nikkan rōdō tsūshinsha, 1972, p. 316, Table 4-2.)** მაგრამ ეს მოგება არავითარ შემთხვევაში

არ იყო თანაბრად გადანაწილებული მუშათა კლასის ყველა წევრზე. დღიური მუშები / მშრომელები (Day workers), რომლებიც დამოკიდებულნი იყვნენ დასაქმების სახელმწიფო ან კერძო სააგენტოების შემთხვევით სამუშაოებზე (odd jobs), როგორც წესი, იღებდნენ მინიმალურ ხელფასს, რომელიც მნიშვნელოვნად მცირე იყო რეგულარულად დასაქმებულთა მიერ მიღებული საშუალო ხელფასის ნახევარზე. **(Fujinawa Masakatsu. *Nihon no saitei chingin.* Tokyo: Nikkan rōdō tsūshinsha, 1972, pp. 472-473.)** თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ 1960-იან წლებში დარეგისტრირებულ დღიურ მუშაკთა რიცხვი დაახლოებით 45 პროცენტით შემცირდა, 1970 წლისთვის, ის მაინც 300 000 ითვლიდა (**Eguchi Eiichi. Gendai no "teishotokusō", vol. 1, 3 vols. Tokyo: Miraisha, 1979-80, , p. 156.)**.

რიცხობრივად უფრო მნიშვნელოვანი იყვნენ ისინი, ვინც მუშაობდნენ მცირე ბიზნესში / საწარმოებში, სადაც თითოეულში ათასზე ნაკლები მუშა იყო დასაქმებული, განსაკუთრებით ისინი, სადაც თითოეულში ასზე ნაკლები მუშა იყო დაქირავებული. 1965 წელს ასეთი საწარმოების თანამშრომლები ქვეყანაში დაქირავებულ მუშაკთა (the nation's wage earners) საერთო რაოდენობის შესაბამისად 83% და 53% შეადგენდნენ **(THE CAMBRIDGE HISTORY OF JAPAN. Vol. 6 The Twentieth Century. Asahinenkan, 1971, p. 416; Sōrifu tōkeikyoku, ed. *Nihon no tōkei.* Tokyo: Ōkurashō insatsu kyoku, annual. 1976, p. 41.)**. 30 წელზე უფროსი ასაკის მუშაკების შესაძლო გამონაკლისის გარდა, ამ (10 -დან 990 მუშაკამდე ფუნქიონირებად) საწარმოებში / ქარხნებში ხელფასები მუდმივად ჩამორჩებოდა გაცილებით დიდ (1000 და მეტი მუშაკით ფუნქციონირებად) საწარმოებში / ქარხნებში მათი კოლეგების (counterparts) არსებულ ხელფასებს. **(იხ. Fujinawa, *Nihon no saitei chingin,* p. 352.)** 50 წელზე უფროსი ასაკის ქალი / მდედრობითი სქესის მუშაკებისთვის, საწარმოების მიერ გადახდილი პრევალირებული (ფართოდ გავრცელებული / გაბატონებული) რეგულარული ყოველთვიური ხელფასები იყო საწარმოების მიერ გადახდილი ანაზღა-

ურების დაახლოებით 56 პროცენტი, სადაც დასაქმებულთა რიცხოვნება შეადგენდა ათასს ან მეტ მუშაკს, და ანალოგიურად, ნახევარწლიური პრემიები (semiannual bonuses), როგორც წესი, მთლიანობაში დაახლოებით იყო 26 პროცენტი. ამრიგად, დაბალი ხელფასები ასოცირდება (დაკავშირებულია) მცირე ბიზნესებთან (small businesses), რომელიც 1960-იან წლებში, როგორც წესი, გვხვდება ტექსტილის, ხის, ტყავის და კვების მრეწველობაში, ასევე საბითუმო და საცალო ვაჭრობაში. **(Ibid., pp. 329-331.)**

თუმცა, რადგან სწრაფმა ეკონომიკურმა ზრდამ გამოიწვია მუშახელის მწვავე დეფიციტი 1960-იანი წლების დასაწყისში, ხელფასებმა მცირე ბიზნესში უფრო სწრაფად დაიწყო ზრდა, ვიდრე დიდ საწარმოებში. შედეგად, მათ შორის აშკარა სხვაობა არსებითად შემცირდა. 1960 წელს, ბიზნესში / საწარმოებში, სადაც 30-დან 99 მუშაკამდე იყო დასაქმებული, საშუალო ხელფასი იყო 60 პროცენტზე ნაკლები, ხოლო საწარმოებში, სადაც 100-დან 499 მუშაკი იყო დასაქმებული, ეს იყო საშუალოზე 70 პროცენტზე მეტი იმ ბიზნესებთან შედარებით, სადაც 500 ან მეტი მუშაკი იყო დასაქმებული. 1970 წლისთვის მცირე საწარმოებში ხელფასები 70 პროცენტზე ოდნავ ნაკლები იყო და 80 პროცენტზე ოდნავ მეტი, შესაბამისად, მსხვილ საწარმოებში. **(*Nihon kokusei zue,* 1981, p. 423. იხ. აგრეთვე Fujinawa, *Nihon no saitei chingin,* pp. 318-319; Itō, *Hoshu to kakushin,* pp. 74-75.)**

ხელფასებში სხვაობა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს შორის გამოწვეული იყო სტაჟზე დაფუძნებული / ხანდაზმულობის ანაზღაურების სისტემის (გარომანულებული/რომანიზებული: nenko joretsu) საფუძველზე. საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდის საშუალო სასტარტო (საწყისი) ხელფასი იყო იმის მცირე ნაწილი, რასაც ორმოცდაათ წელს გადაცილებულ ვეტერანებს უხდიდნენ ოცდაათი წლის სამსახურის შემდეგ. ეს სხვაობა საგრძნობლად შემცირდა 1960-იან წლებში რამდენიმე მიზეზის გამო**:** პირველი, - შრომის, განსაკუთრებით ახალგაზრდა მუშახელის მზარდმა დეფიციტმა, არ-

სებითად გაზარდა ახალგაზრდა მუშაკების ხელფასები, ისევე როგორც სახელფასო დონე მთლიანად მცირე ბიზნესში / საწარმოებში **(Tanaka Manabu. "Rōdōryoku chōtatsu kikō to rōshi kankei". In *Kaikakugo no Nihon keizai,* vol. 8 of *Sengo kaikaku,* ed. Tōkyō daigaku shakaikagaku kenkyujo. Tokyo: Tōkyō daigaku shuppankai, 1974-1975, p. 180.)**. მეორე, - როგორც წესი, დიდი ფირმები, მცირე ბიზნესთან შედარებით ქირაობდნენ / ასაქმებდნენ ახალგაზრდა მუშაკების არაპროპორციულად დიდ რაოდენობას.

მაგალითად, 1968 წელს, საწარმოებში / ბიზნესებში, სადაც 100-ზე ნაკლები მუშაკი იყო დასაქმებული, ირიცხებოდა 15-დან 19 წლამდე ასაკის მუშაკთა დაახლოებით 30 პროცენტი და 55-დან 64 წლამდე ასაკის მუშაკთა 64 პროცენტი, მაშინ როცა 1000 და მეტი მუშაკის მქონე ბიზნესებში / საწარმოებში ეს მაჩვანებელი შეადგენდა პირველის შემთხვევაში 37 პროცენტს და მხოლოდ 12 პროცენტს მეორის შემთხვევაში **(Ōhashi Takanori. *Nihon no kaikyū kōsei.* (*Iwanami shinsho, no. 789*). Tokyo: Iwanami shoten, 1971, pp. 157-158.)**. დაბოლოს, - ხანდაზმულობის სისტემის მოდიფიცირება (განახლება / შეცვალა) დაიწყო შრომის ხარჯების გაზრდის ზეწოლის ქვეშ, რაც გამოწვეული იყო ხელფასების ფართო მატებით და ახალგაზრდა და იაფი მუშახელის ოდესღაც უხვი ფონდის (წყაროს / [მარაგები]) დეპლეციით (ამოწურვით / [მოშორება]). ამ ცვლილებების შედეგად, საშუალო და უმაღლესი სკოლების კურსდამთავრებულთა სასტარტო (საწყისი) ხელფასი საკმაოდ სწრაფად გაიზარდა საშუალო მაჩვენებლით (the mean) ყველა მუშაკისთვის, ხოლო სტაჟის მიხედვით / სტაჟზე დაფუძნებული (seniority-based) დიფერენციალები (ნაზრდი; სხვაობა/ განსხვავებები) შემცირდა. 1960-დან 1970 წლამდე, 25 წლამდე ასაკის ადამიანების საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 12-დან 14 პროცენტული პუნქტით, ვიდრე ორმოც წელზე უფროსი ასაკის ადამიანების საშუალო მაჩვენებელი, რომელიც კოლექტიურად (მთლიანობაში / ერთობლივად) იყო ყველაზე მაღალანა-

ზღაურებადი ჯგუფი ასაკობრივ / ხანდაზმულობის სისტემაში **(იხ. Fujinawa, *Nihon no saitei chingin,* pp. 324, 334-335.)**.

სქესთა მიხედვით / გენდერული დისკრიმინაცია იყო ხანდაზმულ თანამშრომლებს შორის ხელფასების განსხვავების მუდმივი წყარო. მაგალითად, 1958 წელს, 20 -დან 24 წლამდე ასაკის მუშაკებს უნაზღაურებდნენ საშუალოდ მათი მამრობითი სქესის მუშაკების (ხელფასის) ორ მესამედს, ხოლო 40 -დან 49 წლამდე ასაკის მუშაკებს უხიდიდნენ ერთ-მესამედზე ნაკლებს, რასაც იმავე ასაკობრივ ჯგუფში მყოფი მამაკაცები იღებდნენ. **(Ibid., pp. 342-343)** მომდევნო დეკადანახევრის / ათწელნახევრის განმავლობაში ეს სხვაობა გარკვეულწილად ოდნავ შემცირდა. ყველა მომუშავე / მშრომელი ქალისთვის საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1958 წელს ყველა მომუშავე / მშრომელი მამაკაცის საშუალო 41 პროცენტიდან 1970 წელს 47 პროცენტამდე. მომუშავე / მშრომელი ქალების წილი ყველაზე დაბალანაზღაურებად მუშაკთა 10 პროცენტს შორის მნიშვნელოვნად გაიზარდა იმავე პერიოდში, 77 -დან 87 პროცენტამდე.

სქესთა მიხედვით / გენდერული დისკრიმინაციის შედეგად წარმოქმნილი აშკარა და გარკვეული თვალსაზრისით უფრო დიდი უთანასწორობის მიუხედავად, ქალი მუშაკები არ აწყობდნენ დიდ ამბოხებს. ერთი მიზეზი იყო ჩვეულება და ინერცია; უმეტეს პროფესიებში ქალები ყოველთვის ბევრად ნაკლებ ანაზღაურებას იღებდნენ ვიდრე მამაკაცები და ისინი ყოველთვის იყვნენ დისკრიმინირებულნი. კიდევ ერთი მიზეზი იყო ალბათ ახალგაზრდა და დასაოჯახებელი / გაუთხოვარი ქალი მუშაკების ტენდენცია, გაეგრძელებინათ მშობლებთან ცხოვრება და შედარებით ნაკლები გადაეხადათ საცხოვრებელისთვის / ბინისთვის და, ხშირ შემთხვევაში, - საკვებისთვის; ხოლო ასაკოვან და დაოჯახებულ / გათხოვილ ქალ მუშაკებს თავიანთი ხელფასი ძირითადად ქმრის შემოსავლის დანამატად მიეჩნიათ. 1971 წელს შრომის სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ქალი მუშები, ვიდრე მამაკაცები, სამუშაოზე

უფრო მეტად, მუდმივად ხაზს უსვამდნენ საკუთარ სახლში ცხოვრების მნიშვნელობას (და შესაბამისად, მეტ ყურადღებასც უთმობდნენ მას). **(Rōdō daijin kanbō tōkei jōhō bu, ed., *Nihonjin no kinrō kan*. Tokyo: Shiseidō, 1974, pp. 9, 47-51.)**

ნებისმიერ შემთხვევაში, მშრომელთა შინამეურნეობების (worker households) რეალური შემოსავალი არა მხოლოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა, არამედ გახდა ნაკლებად უთანასწორო / არათანაბარი ვიდრე ადრე, დისკრიმინაციისა და უთანასწორობის ტრადიციული წყაროების რედუქციის (შემცირების), თუმცა არა ელიმინაციის (აღმოფხვრის) წყალობით. პრემიერ-მინისტრის ოფისის კვლევამ აჩვენა, რომ მშრომელის შინამეურნეობის / მუშათა ოჯახის საშუალო შემოსავალი (the average worker household income**)** 1963 წლიდან 1970 წლამდე გაიზარდა თვეში დაახლოებით 53,000 ¥-დან 113,000 ¥-მდე, მაშინ როცა ჯინის კოეფიციენტი (the Gini coefficient) დაეცა / შემცირდა 0,2153-დან 0,1787-მდე. **(Keizai kikakuchō, *Shotoku shisan bunpai,* pp. 11-12, 19.)** უფრო მეტი თანასწორობისკენ ტენდენციას (მიდრეკილებას) დაეხმარა მინიმალური ხელფასის სტანდარტების კანონმდებლობა. ეს სტანდარტები თავდაპირველად იმპლემენტირდა (შესრულდა / განხორციელდა) დამსაქმებელთა შორის ნებაყოფლობითი შეთანხმებების მექანიზმით, როგორც ეს გათვალისწინებული იყო 1959 წლის მინიმალური ხელფასის შესახებ კანონით (the 1959 Minimum Wage Law) და 1968 წლის კანონის გადასინჯვის შემდეგ, ძირითადად, ცენტრალური მინიმალური ხელფასის საბჭოს (the Central Minimum Wage Council) ინტერვენციით (ჩარევით). 1971 წლის ბოლოსთვის, ქვეყნის სამრეწველო მუშაკების დაახლოებით 90 პროცენტი და საბითუმო და საცალო ვაჭრობაში დასაქმებულთა 40 პროცენტი იყო კანონით დაცული, რითაც გარანტირებული იყო მინიმალური ხელფასი, რაც დაახლოებით უტოლდებოდა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა სასტარტო (საწყის) ხელფასს. **(Fujinawa, *Nihon no saitei chingin,* pp. 472-473)**

ძირითადი საქონლისა და მომსახურების სამომხმარებლო ფასები საგრძნობლად სტაბილური (მყარი) იყო მთელი ამ პერიოდის (დროის) განმავლობაში, მიუხედავად ხელფასებისა და შემოსავლების ფენომენალური (არაჩვეულებრივი / განსაკუთრებული) ზრდისა. თუმცა, ფასები მკვეთრად გაიზარდა მცირე ბიზნესის სექტორის ზოგიერთ სფეროში, რაც ასახავდა შრომის ხარჯების ზრდას (the growing labor costs / მზარდი შრომის ხარჯები). 1956-დან 1970 წლამდე ტოკიოს კინო-თეატრებში წარმოდგენილი ფილმის ბილეთები საშუალოდ 3,7-ჯერ გაიზარდა, თმის შეჭრის ფასი 2,7-ჯერ, საზოგადოებრივი აბანოთი სარგებლობა 2,5-ჯერ, გაზეთის გამოწერა 2,3-ჯერ, ხოლო სარკინიგზო და საქალაქო ავტობუსების ბილეთები გაორმაგდა. მეორე მხრივ, სატელეფონო და სატელეგრაფო გადასახადი იგივე დარჩა; გაზის, წყლისა და საფოსტო ხარჯების (საგადასახადო) განაკვეთები ზომიერად გაიზარდა, შესაბამისად: 7, 21 და 40 პროცენტით; ხოლო ელექტროენერგიის ხარჯები ფაქტობრივად 7,5 პროცენტით შემცირდა. **(*Kokumin seikatsu tōkei nenpō '80,* p. 134.)**

მატერიალური კომფორტი უფრო ხელმისაწვდომი გახდა გადასახადების შემცირების სერიის საშუალებით, ხოლო საშემოსავლო გადასახადები შემცირდა 1957 წელს, რასაც მოჰყვა მემკვიდრეობისა და კორპორატიული გადასახადების შემცირება მომდევნო წელს. **(Satō Susumu, *Nihon no zeikin.* Tokyo: Tōkyō daigaku shuppankai, 1979. pp. 24-28)** 1962 წელს არსებითად შემცირდა არაპირდაპირი გადასახადები, როგორიცაა გადასახადები სპირტიან სასმელებზე (აქციზის გადასახადი) და გარკვეული საქონლის გადასახადები. 1966 წელს განხორციელდა მთლიანი ხარჯების ყოვლისმომცველი / ფართო შემცირება, რასაც მოჰყვა საშემოსავლო გადასახადების უფრო მეტად შერჩევითი, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც მნიშვნელოვანი შემცირება 1969 წელს. სტაბილური სამომხმარებლო ფასების კომბინაციამ (გაერთიანებამ / შეერთებამ) და განკარგვადი შემოსავლების მნიშვნელოვანმა ზრდამ ხელი შეუწყო

მზარდ კეთილდღეობას ორივე, თეთრ და ლურჯსაყელოიან მუშაკებს შორის.

ბევრმა მუშაკმა განიცადა ცვლილებები მათი ცხოვრების სხვა ასპექტებშიც. ორ მსოფლიო ომს შორის და განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, უფრო დიდი იაპონური ფირმები დიდად იყვნენ დამოკიდებულნი უვადოდ დასაქმების (ინგლ. lifetime employment, რომანიზებული: shūshin koyō) გარანტიის პრაქტიკაზე. კვალიფიციური მუშაკების შესანარჩუნებლად, ეს ფირმები თავიანთ ხელფასს / სახელფასო განაკვეთს აფუძნებდნენ მუშაობის ხანგრძლივობაზე (სამუშაო სტაჟზე). **(პერმანენტული [მუდმივი / უწყვეტი] დასაქმების და სტაჟზე დაფუძნებული სახელფასო სისტემების ისტორიისა და ფუნქციების შესახებ იხ., Walter Galenson and Konosuke Odaka, "The Japanese Labor Market," in *Asia's New Giant: How the Japanese Economy Works,* ed. Hugh Patrick and Henry Rosovsky. Washington, D.C.: Brookings Institution, 1976, pp. 609-627. აგრეთვე იხ. Yasukichi Yasuba, "The Evolution of Dualistic Wage Structure," in *Industrialization and Its Social Consequences,* ed. Hugh T. Patrick. Berkeley and Los Angeles: University of California Press, 1976, pp. 253-254; Robert E. Cole, *Japanese Blue Collar: The Changing Tradition*. Berkeley and Los Angeles: University of California Press, 1971, pp. 75-81, 113-117)** უვადო დასაქმების პრაქტიკა დიდწილად გადაურჩა "ეკონომიკურ სასწაულს". სისტემა ვრცელდებოდა დასაქმებულთა შედარებით მცირე რაოდენობაზე, ალბათ, არაუმეტეს 1960-იანი წლების დასაწყისში მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 20 პროცენტზე. **(Taira, Koji. "Characteristics of Japanese Labor Markets". *Economic Development and Cultural Change* 10 [January 1962]: 150-168.)** ზოგადად, მჭიდრო შრომის ბაზარი სწრაფი ეკონომიკური ზრდის დროს ასევე მხარს უჭერდა მწირი კვალიფიციური მუშაკების მოზიდვისა და შენარჩუნების მექანიზმების გაგრძელებას და არა მიტოვებას. თუმცა, ხელფასების, ძირითადად სამუშაო სტაჟზე დაფუძნე-

ბის პრაქტიკა, რომელიც უხეშად უტოლდებოდა ასაკს, მზარდი დაძაბულობის ქვეშ მოექცა, რადგან ახალგაზრდა მუშაკების მიწოდების შემცირებამ ბიძგი მისცა საშუალო და უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულების საწყისი ხელფასებისა და, შესაბამისად, ირიბად, ხანდაზმული მუშაკების ისედაც მაღალი ხელფასების ზრდას**.**

1962 წელს იაპონიის დამსაქმებელთა ასოციაციების ფედერაციამ (ინგლ. The Japan Federation of Employers' Associations, იაპონ. 日本経営者団体連盟, რომანიზებული: Nikkeiren) მოითხოვა ხელფასების განსაზღვრის ახალ სისტემაზე გადასვლა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა უნარებსა და პერფორმანსზე (ინგლ. performance, შესრულებაზე / საქმიანობაზე [ეფექტურობა / პროდუქტიულობა]). **(Tanaka Manabu. "Rodōryoku chōtatsu kikō to rōshi kankei". In *Kaikakugo no Nihon keizai,* vol. 8, of *Sengo kaikaku,* ed. Tōkyō daigaku shakaikagaku kenkyūjo. Tokyo: Tōkyō daigaku shuppankai, 1974-1975, p. 180.)** იდეები, რომლებიც საფუძვლად (და)ედო ახალ სისტემას, იმპორტირებული (შეტანილი) იყო შეერთებული შტატებიდან და პოპულარობით სარგებლობდა, რასაც ჩვეულებრივ უწოდებენ ხარისხის კონტროლის (the quality control , QC) ან ნულოვანი დეფექტების (the zero defects, ZD) მოძრაობას. მოძრაობასთან დაკავშირებული ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო მუშების დაყოფა მრავალ თვითრეგულირებად სამუშაო გუნდად, თითოეულში ლიდერი იყო დანიშნული თავად მუშაკთაგან. შედეგი იყო მშრომელთა ახალი კლასის გაჩენა, რომლებსაც დაეკისრათ სხვადასხვა კვაზი-მენეჯერული პასუხისმგებლობა-მოვალეობები, რომლებმაც დაიკავეს შესაბამისი თანამდებობები და დაჯილდოვდნენ გაზრდილი ანაზღაურებით მათი დამატებითი მომსახურებისთვის. 1960-იანი წლების ბოლოს ჩატარებული კვლევის მიხედვით, Toyota Motor Company-ში ყოველი მეხუთე თანამშრომელი და IBM Japan-ში ყოველი მეოთხე თანამშრომელი მიეკუთვნებოდა იაპონური სტილის ოსტატების / ხელოსნების ამ (ახალ)აღმოცენებულ

კლასს. **(Ōhashi Takanori. *Nihon no kaikyū kōsei.* Iwanami shinsho, no. 789. Tokyo: Iwanami shoten, 1971, pp. 141-145.)**

მშრომელთა შინამეურნეობის სწრაფად მზარდი შემოსავლების შედეგებთან ერთად, იაპონური მართვის სისტემის ამ უკანასკნელმა / უახლესმა ვერსიამ ღრმა გავლენა მოახდინა როგორც ცალკეული მუშაკების, ისე პროფკავშირების დამოკიდებულებასა და ქცევაზე. მიუხედავად მუშაკთა მობილურობის მოკრძალებული ზრდისა, რომელიც ძირითადად გამოწვეულია ვოლუნტარული სეპარაციით (ნებაყოფლობითი განცალკევებით / დაშორიშორებით) იმ ეპოქაში, რომელსაც ჯერ კიდევ სრული დასაქმება ახასიათებს, სისტემა დაეხმარა მუშაკთა მორალისა და მენეჯმენტისადმი ლოიალობის შენარჩუნებას, ხოლო ხშირ შემთხვევაში კი გაძლიერებას. **(Watanuki, "Kōdo seichō," in *Nenpō seijigaku,* 1977, p. 171.)** 1968 წელს (გაზეთ) Nihon keizai shinbun -ის მიერ 25-დან 30 წლამდე ასაკის 1200 მამრობითი სქესის თანამშრომლის გამოკითხვამ, რომელიც შედგენილია 150 დიდი ფირმის ეროვნული ნიმუშიდან შერჩევის საფუძველზე, აჩვენა, რომ გამოკითხულთა სამი მეოთხედი ზოგადად კმაყოფილია მათი ცხოვრების იმდროინდელი პირობებით. **(*Nihon keizai shinbun,* January 1, 1969.)** 1971 წელს შრომის სამინისტროს გამოკითხვამ, რომელმაც გამოიყენა 26,058 მუშაკის შემთხვევითი ნიმუში (რაც ეფუძნებოდა შემთხვევითი შერჩევის მეთოდს) 26058 მუშაკიდან, აჩვენა, რომ უმრავლესობა ყველა ასაკობრივ ჯგუფში, გარდა ოც წლამდე ჯგუფის წევრებისა, კმაყოფილია მათი იმჟამინდელი სამუშაოთი. **(Rōdō daijin kambō tōkei joho bu, ed. *Nihonjin no kinrō kan.* Tokyo: Shiseidō, 1974, pp. 12, 54-55.)**

მუშაკთა / მშრომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი თუ იყო სრულიად კმაყოფილი მათი საცხოვრებელი პირობებით. ბევრი ფაქტობრივად / რეალურად უკმაყოფილო იყო საკუთარი ხელფასით. მაგალითად, ზემოხსენებულ 1971 წლის სამთავრობო გამოკითხვაში, გამოკითხულთა ორმა მესამედმა გამოხატა უკმაყოფილება მათი ხელფასით და დაახლოებით იგივე რაოდე-

ნობამ, - საკუთარი მიმდინარე დანაზოგის ოდენობით. **(Ibid., pp. 18-19, 93-96.)** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში იაპონელი მუშაკების უმეტესობა ძირითადად კმაყოფილი იყო მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით, რაც გამოწვეული იყო ეკონომიკის სწრაფი ზრდით, მაგრამ ისინი მაინც გრძნობდნენ, რომ მათი ხელფასი უფრო დაბალი იყო, ვიდრე უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება პროფკავშირებს, მათი უპირველესი ამოცანა იყო, მენეჯმენტისგან უფრო მაღალი ხელფასის მიღება. **(Ibid., pp. 186, 200; Shinohara, *Gendai Nihon no bunka henyō,* p. 157)**

წამყვან პროფკავშირთა ფედერაციების ლიდერები სხვადასხვა ხარისხის წარმატებით ადაპტირდნენ რიგითი მუშაკების სულ უფრო აშკარა საარსებო (bread-and-butter) პრობლემებთან. უდიდეს ეროვნულ ფედერაციაში, სოჰიოში (Sōhyō), ლიდერშიპი (ხელმძღვანელობა) 1955 წელს, მემარცხენე იდეოლოგი ტაკანოდან (Takano) გადავიდა პრაგმატისტთა წყვილზე, ივაი აკირასა (Iwai Akira) და ოტა კაორუზე (Ōta Kaoru). **(Takemae Eiji. "1949-nen rōdōhō kaisei zenshi: Senryō seisaku o chūshin to shite". In *Senryōki nihon no keizai to seiji,* ed. Nakamura Takafusa. Tokyo: Tōkyō daigaku shuppankai, 1979, pp. 303-304; Tanaka, "Rōdōryoku chōtatsu kikō," in *Sengo kaikaku,* vol. 8, p. 170.)** ამ უკანასკნელმა შემოიტანა ხელფასების მოლაპარაკების სტრატეგია, რომელიც მალევე გახდა ცნობილი როგორც "საგაზაფხულო შეტევა"/ " შუნტო'' (ინგლ. the "spring offensive", გარომანულებული/რომანიზებული: shuntō). წლიური ხელფასის მოლაპარაკებები ცალკეულ საწარმოთა პროფკავშირებსა (ცალკეულ საწარმოებზე დაფუძნებულ გაერთიანებებსა) და დამსაქმებლებს შორის იყო კოორდინირებული და მმართული სოჰიოს (Sōhyō) მიერ. 1960-იანი წლების განმავლობაში, ეს სტრატეგია გახდა სტანდარტული საოპერაციო პროცედურა Sōhyō -სთვის და მისი შვილობილი კომპანიებისთვის და მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ხელფასების განაკვეთების ფართოდ ზრდაში ამ პერიოდში.

საგაზაფხულო შეტევითი სტრატეგიის წარმატების მნიშვნელოვანი მიზეზი იყო დამსაქმებლების უმთავრესად შემრიგებლური და თანამშრომლობითი დამოკიდებულება. ათწლეულის ხელსაყრელ და კეთილსაიმედო ატმოსფეროში, რომელიც მოჰყვა 1960 წლის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის უსაფრთხოების ხელშეკრულებას (the United States-Japan Mutual Security Treaty) და ქვანახშირის მაღაროების დახურვას სამხრეთით ფუკუოკას პრეფექტურაში (Fukuoka Prefecture), მმართველობისა და სამუშაო ძალის (მენეჯმენტი-შრომის) ანტაგონიზმები (management-labor antagonisms) დიდწილად მიიჩქმალა ან გაქრა, და გაჩნდა ურთიერთობების ნიმუში, რომელსაც ზოგიერთი "სასიყვარულო ჩხუბს" / "საყვარელთა ბრძოლას" (რომანიზებული: abekku toso, ინგლ. "lovers' fights") უწოდებდა. **(იხ., Ishida Takeshi. "Sengo kaikaku to soshiki oyobi shōchō". In *Kadai to shikaku,* vol. 1 of *Sengo kaikaku,* ed. Tokyo daigaku shakaikagaku kenkyūjo. Tokyo: Tōkyō daigaku shuppankai, 1974-1975, p. 153.)** მემარჯვენე (ფრთის) საერთაშორისო მეტალის / ლითონის ფედერაცია-იაპონიის საბჭო (The right-wing International Metal Federation-Japan Council), იგივე IMF-JC, როგორადაც ის უფრო ცნობილი იყო 1964 წელს დაარსების დღიდან, მხარს უჭერდა მენეჯმენტი-პერსონალის თანამშრომლობას (management-labor cooperation) იმ საფუძველზე, რომ მშრომელთა წვლილი მწარმოებლურობის გაზრდაში, ვიდრე გაფიცვები, მოიტანდა (გაცილებით) უფრო მაღალ ხელფასებს მუშაკთათვის **(Tanaka, "Rōdō ryoku chōtatsu kikō," in *Sengo kaikaku,* vol. 8, p. 192.)**. 1960-იანი წლების შუა პერიოდის შემდეგ, ყველაზე სწრაფად მზარდი კერძო სექტორის ინდუსტრიების პროფკავშირებმა, როგორიცაა IMF-JC-ის მიერ წარმოდგენილი პროფკავშირები, შეცვალეს / ჩაანაცვლეს საჯარო სამსახურის თანამშრომელთა პროფკავშირები, როგორიცაა სოჰიოს (Sōhyō) მიერ წარმოდგენილი, ისევე როგორც ისინი, რომლებიც კანონმდებლების რანგში წარმოადგენდნენ სოჰიოს, ხელფასების

მომატებასთან დაკავშირებულ საგაზაფხულო შეტევის სახელფასო მოლაპარაკებებში.

საჯარო სექტორის პროფკავშირებიდან კერძო სექტორის პროფკავშირებზე ე.წ. pocketbook power (ბიუჯეტის / საფულის ძალაუფლების) გადანაცვლებამ მაშინვე იმოქმედა ძალაუფლების წონასწორობაზე / ძალთა ბალანსზე მთავარ პროფკავშირულ ფედერაციებს შორის. 1973 წლისთვის IMF-JC გადაიზარდა წამყვანი პროფკავშირების 1.8 მილიონიან ფედერაციად რკინისა და ფოლადის და ლითონის / მეტალის მრეწველობაში, საავტომობილო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოებასა და გემთმშენებლობაში. **(Takabatake Michitoshi, "Taishū undō no tayōka to henshitsu," in *Nenpō seijigaku,* 1977, pp. 349-350)** იდეოლოგიურად ზომიერი პროფკავშირების კიდევ უფრო მძლავრი კოალიცია შეიქმნა მთელი იაპონიის პროფკავშირების კონგრესისა (რომანიზებული: Zen Nihon rōdō kumiai kaigi: Zenrō, ინგლ. the All Japan Trade Union Congress) და მისი მემკვიდრე, იაპონიის შრომის კონფედერაციის (გარომანულებული/რომანიზებული: Zen Nihon rōdō sōdōmei: Dōmei, ინგლ. the Japan Confederation of Labor) ირგვლივ, რომლებიც დაარსდა შესაბამისად, - 1954 და 1964 წლებში. 1963 წლიდან 1973 წლამდე პერიოდში Zenrd-Domei -მ შთანთქა თითქმის 1 მილიონი კერძო სექტორის თანამშრომელი, მათი უმეტესობა მემარცხენეობისკენ მიდრეკილი Sōhyō -დან დეფექტორი (დევნილი) იყო და გახდა ქვეყნის სიდიდით მეორე პროფკავშირული ფედერაცია, რომლის წევრთა რაოდენობა Sōhyō-ს 4,3 მლნ-თან შედარებით, დაახლოებით 2,3 მილიონი იყო **(Ibid., pp. 344, 349-50; Watanuki Joji. . "Kōdo seichō to keizai taikokuka no seiji katei". In Nenpō seijigaku 1977 (55-nen taisei no keisei to hokai: Zoku gendai nihon no seiji katei). Tokyo: Iwanami shoten, 1979, pp. 170-1. იხ. აგრეთვე Ōhara shakai mondai kenkyūjo, *Nihon rōdō nenkan,* vol. 50. Tokyo: Rōdō junpōsha, 1979, p. 177)**.

მუშათა და გლეხთა "გაბურჟუაზიულებამ" **(ინგლ. The**

“embourgeoisement” , ფრანგ. L’embourgeoisement, „ემბურ-ჟუიზაცია“ - საშუალო კლასის ფორმირების პროცესი; ტრა-დიციულად, მუშათა კლასის წრის ადამიანთა საშუალო ფენაში ასიმილაცია.) მოიტანა ღირებულებების / ფასეულობებისა და დამოკიდებულებების რევოლუცია იაპონელ ელექტორატში. კლასობრივი ცნობიერებისა და ლოიალობის ეროზია მათ შორის, ვინც ტრადიციულად უჭერდა მხარს ოპოზიციურ პარტიებს, განსაკუთრებით სოციალისტებს, დიდად დაეხმარა LDP-ს დომინირებაში როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ პოლიტიკაზე მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. ჩანდა, რომ იაპონია აპირებდა გარდაქმნას / გადაქცევას კლასობრივ საზოგადოებად, რომელიც შედგებოდა მზარდად და თანაბრად შეძლებული და კონსერვატიული მოქალაქეებისგან.

1955-დან 1970 წლამდე ფერმერთა წილი ქვეყნის მთლიან სამუშაო ძალაში დაახლოებით 40 პროცენტიდან 19 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო ქალაქებში თეთრსაყელოიანი და ლურჯსაყელოიანი მუშაკების შესაბამისი ზრდა იყო 42-დან 60 პროცენტამდე. **(Eguchi, *Gendai no “lei shotoku sō,”* vol. 3, pp. 488-489.)** ამგვარად, ფერმერებისა და მუშების ცხოვრების დონის სწრაფი გაუმჯობესება და გათანაბრება ნიშნავდა მსგავს ცვლილებებს იაპონელთა უმეტესობისთვის**.**

მაგრამ არც სიღარიბე და არც უთანასწორობა სრულად არ აღმოიფხვრა. ჯერ კიდევ 1972 წელს, ტოკიოს რაიონში / დეპარტამენტში შინამეურნეობების მესამედზე მეტს ჰქონდა შემოსავალი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, რომელიც დადგენილი იყო საარსებო წყაროს დაცვის კანონით (the Livelihood Protection Law [771,000 ¥ ოთხსულიანი ოჯახისთვის]). **(Ibid., vol. 1, pp. 55-57.)** ამგვარად, განსაზღვრული სიღარიბის მაჩვენებლები განსაკუთრებით მაღალი იყო საოჯახო მეურნეობებში / შინამეურნეობებში, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ოც წლამდე ან სამოცდაათ წელზე უფროსი ასაკის პირები, ან შეადგენდნენ მარტოხელა მოხუცები, ქალები ან წყვილები. **(Ibid., no. 1, pp. 72-73, 77.)** ფაქტობრივად, 1960-დან 1970 წლამდე მცირედით გა-

იზარდა იმ შინამეურნეობების რაოდენობა, რომლებიც იღებ-დნენ სახელმწიფო დახმარებას, ისევე როგორც დასაქმებული წევრის გარეშე მყოფი შინამეურნეობების რაოდენობა. **(Keizai kikakuchō sōgō keikakukyoku. ed. *Shotoku shisan bunpai no jittai to mondaiten: Shotoku bunpai ni kansuru kenkyūkai hōkoku.* Tokyo: Okurasho insatsu kyoku, 1975, pp. 163-166.)** თუმცა, 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იან წლებში, საარსებო წყაროს დაცვის აქტის მიხედვით გაწეული დახმარების ოდენობა უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე სამომხმარებლო ფასები. სოციალური უზრუნველყოფისა და გადასახადებით მხარდაჭერილი საპენსიო გეგმების შემუშავებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ღარიბების, განსაკუთრებით მარტოხელა მშობლებისა და მოხუცების მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებას. **(Ibid., pp. 154, 137; Keizai kikakuchō, ed. *Kokumin seikatsu hakusho: Shōwa 54-nen ban.* Tokyo: Ōkurashō insatsu kyoku, 1979, p. 164.)** ამ პერიოდის ბოლოს აბსოლუტური სიღარიბე, რელატიური (შეფარდებითი/ფარდობითი) სიღარიბის საპირისპიროდ, დიდწილად აღმოიფხვრა.

პროფესიაზე დაფუძნებული შემოსავლებს შორის განსხვავება მნიშვნელოვანი რჩებოდა, მაგრამ განუხრელად მცირდებოდა. ამის მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ახალგაზრდა სამუშაოს მაძიებელთა განათლების დონის მზარდი ჰომოგენურობა (ერთგვაროვნება), რაც აშკარად იყო მათი პროფესიის მთავარი დეტერმინანტი ([გან]მსაზღვრელი). **(მაგ., 1975 წლის კვლევის მიხედვით, დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა 1 პროცენტს, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა 7 პროცენტს და კოლეჯისა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა 34 პროცენტს ეკავა მენეჯერის ან სპეციალისტის პოზიციები, მაშინ როცა კურსდამთავრებულთა თითოეული კატეგორიის 54 პროცენტი, 41 პროცენტი და 15 პროცენტი იყო ფიზიკური მუშა, ხოლო 33 პროცენტი, 11 პროცენტი და 1 პროცენტი ფერმერი.; იხ., Imada Takatoshi and Hara Junsuke. "Shakaiteki chii no ikkansei to hi-ikkansei".**

In *Nihon no kaisō kōzō,* ed. Tominaga Ken'ichi. Tokyo: Tōkyō daigaku shuppankai, 1979, pp. 184,191-194.) განათლებამ / საგანმანათლებო ფონმა, როგორც კარიერისა და შემოსავლის მსაზღვრელმა, თანდათან დაკარგა მნიშვნელობა, რადგან სწრაფად იზრდებოდა უმაღლეს სკოლებსა და კოლეჯში მყოფთა რიცხვი. თუ 1955 წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მხოლოდ ნახევარზე ოდნავ მეტი შევიდა საშუალო სკოლაში, 1973 წელს, - თითქმის 90%; საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა წილი, რომლებიც ირიცხებოდნენ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, იმავე პერიოდში 5%-ზე ნაკლებიდან 30%-მდე გაიზარდა. **(Imada Sachiko. "Gakureki kōzō no suisei bunseki". In *Nihon no kaisō kōzō* Nihon, ed. Tominaga Ken'ichi. Tokyo: Tōkyō daigaku shuppankai, 1979, p. 133; Asahi shinbunsha. *Asahi nenkan.* Tokyo: Asahi shinbunsha, annual. 1977, p. 598.)** ახალგაზრდა მუშაკებისთვის ხელფასების სწრაფმა ზრდამ, შეამცირა განათლებაზე დაფუძნებული შემოსავლებს შორის განსხვავება (income differentials) უმნიშვნელო დონემდე 1.0:1.6 -თან დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებულებსა და კოლეჯის კურსდამთავრებულებს შორის და 1.0:1.1 -თან საშუალო სკოლისა კურსდამთავრებულებსა და კოლეჯის კურსდამთავრებულებს შორის. **(Tominaga Ken'ichi. "Shakai kaisō to shakai idō no sūisei bunseki". In *Nihon no kaisō kōzō,* ed. Tominaga Ken'ichi. Tokyo: Tōkyō daigaku shuppankai, 1979, pp. 50-51.)**

1955 წელს ყველაზე მაღალი შემოსავლები მიიღეს მენეჯერული, გაყიდვების, (ვიწრო სპეციალიზაციის) ექიმისა და კლერიკალური (სასულიერო) პროფესიების წარმომადგენლებმა (ამ თანმიმდევრობით), ხოლო ყველაზე დაბალი შემოსავლები მიიღეს ფერმერებმა და არაკვალიფიციურმა, კვალიფიციურმა და ნახევრად კვალიფიციურმა მუშებმა, ასევე ამ თანმიმდევრობით. მენეჯერული / მმართველი პერსონალის საშუალო შემოსავალი დაახლოებით ოთხჯერ აღემატებოდა ფერმერთა შემოსავალს. მომდევნო ოცი წლის განმავლობაში მენეჯერები

რჩებოდნენ შკალის ზედა ნაწილში, ხოლო ფერმერები, თავიანთ ადგილს (შკალის) ბოლოში არაკვალიფიციური მუშაკებით ანაცვლებდნენ. თუმცა, მენეჯერების საშუალო შემოსავალი ათწლეულის განმავლობაში მხოლოდ 7.2-ჯერ გაიზარდა, ფერმერებისა და არაკვალიფიციური მუშაკების შემოსავალი, შესაბამისად, 13.8 და 12.0-ჯერ. შედეგად, 1975 წელს მენეჯერების საშუალო შემოსავალი მხოლოდ 2,3-ჯერ აღემატებოდა არაკვალიფიციურ მუშაკთა შემოსავალს. ამრიგად, 1960-იანი წლების ბოლოს, იაპონიის შემოსავლის განაწილება გაერთიანებული სამეფოს შემოსავლების განაწილების მსგავსი იყო და გარკვეულწილად უფრო თანაბარი იყო, ვიდრე დასავლეთ გერმანიაში.

შემოსავლებთან ერთად, 1960-იან წლებში გაიზარდა და გათანაბრდა საყოფაცხოვრებო დანაზოგი. შედარებით მაღალი დაზოგვის მაჩვენებელი ღარიბებს შორის რეფლექტირებდა (ასახავდა) სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ სოციალური უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების ქსელის პროგრამებში აღქმულ ხარვეზებს. 1961 წელს ჩატარებული ეროვნული გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტთა მესამედმა დაზოგა ფული ძირითადად გაუთვალისწინებელ გარემოებებთან გამკლავებისთვის, როგორიცაა ოჯახური (ოჯახის წევრთა) ავადმყოფობა, მეორე მესამედმა, - შვილების სწავლის საფასურის გადახდისთვის და თითქმის ათმა პროცენტმა, - სიბერეში თავის სარჩენად **(Shinohara, *Gendai nihon no bunka henyō,* pp. 54-55. იხ. აგრეთვე, Mita Munesuke's comments in *Asahi shimbun,* February 25, 1969.)**. ღარიბთა შინამეურნეობების / საოჯახო მეურნეობების შემოსავლების ზრდამ 1960-იან წლებში, მათ საშუალება მისცა დაეზოგათ ბევრად მეტი, ვიდრე ღარიბებს 1940-იან და 1950-იან წლებში.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ძირითადი საშუალებების განაწილება, შემოსავლისა და დანაზოგისგან განსხვავებით, უკიდურესად არათანაბარი რჩებოდა. ცნობილი დაბალი კაპიტალის მოგების გადასახადის განაკვეთის დაწესებამ, რომე-

ლიც მოქმედებდა 1970-1975 წლებში გამყიდველის მიერ ხუთი წლით ან მეტი ხნის განმავლობაში მფლობელობაში არსებული მიწის გაყიდვაზე (დაწესდა 10 %-იანი განაკვეთი 1970-1971 წლებში და გაიზარდა 15%-მდე 1972-1973 წლებსა და 20 %-მდე 1974-1975 წლებში), ხელი შეუწყო შემოსავლის განაწილების მუდმივი უთანასწორობის გახანგრძლივებას, თუ არა გამწვავებას. **(Satō, *Nihon no zeikin,* p. 28.)**

თუმცა, როგორც ჩანს, ეს უთანასწორობა არ იყო საკმარისად შესამჩნევი, რათა ხელი შეეწყო კლასობრივი ცნობიერების ამაღლებისთვის ქვეყნის ფერმერთა და მუშაკთა უმრავლესობაში. ზოგიერთი შეფასებით, საშუალო ფენად გამოცხადებულთა რიცხვი (ანუ, ისინი, ვინც საკუთარ თავს იდენტიფიცირებდნენ (აიგივებდნენ) საშუალო ფენასთან) გაიზარდა 37%-დან (1958 წელი), 61%-მდე (1973 წელი). თუ ჩავთვლით მათ, ვინც ამჯობინებდა საკუთარი თავი მიეკუთვნებინა საშუალოზე დაბალი ან საშუალოზე მაღალი ფენის ნაწილად, 1970 წლისთვის ამ მაჩვენებელმა 90 პროცენტს მიაღწია. **(Miyake, "Yūkensha kōzō," in *Nenpō seijigaku,* 1977, p. 270. იხ. აგრეთვე Takabatake Michitoshi. "Taishū undō no tayōka to henshitsu". In *Nenpō seijigaku,* 1977 (*55-nen taisei no keisei to hōkai: Zoku gendai nihon no seiji katei)*, ed. Nihon seiji gakkai. Tokyo: Iwanami shoten, 1979, p. 342; და Naoi Michiko, "Kaisō ishiki to kaikyū ishiki". In *Nihon no kaisō kōzō,* ed. Tominaga Ken'ichi. Tokyo: Tōkyō daigaku shuppankai, 1979, p. 376.)** უმეტესობა, თუ არა ყველა, ვინც თავს ამ ექსპანსიური საშუალო კლასის წევრად თვლიდა (ე.ი., ამ ექსპანსიური საშუალო კლასის თვითიდენტიფიცირებული წევრების უმეტესობა, თუ არა ყველა), სავარაუდოდ კმაყოფილი იყო ამ პერიოდის მდგომარეობით.

ბოლოთქმა

ომში დამარცხებისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ხიროსიმასა და ნაგასაკში ატომური დაბომბვისა თუ სხვა მოკავშირეთა საჰაერო თავდასხმების მიუხედავად, იაპონიამ მეორე მსოფლიო ომის ტრამვა სწრაფად მოიშუშა და მოახერხა 1960-იან წლებში, (შეერთებული შტატების შემდეგ) მსოფლიოში უდიდესი ეკონომიკური ერთეული გამხდარიყო **("Ranking of the World's Richest Countries by GDP (1967) – Classora Knowledge Base". en.classora.com. Retrieved 8 December 2017.)**,

ომისშემდგომი ტრავმიდან იაპონიის სწრაფი გამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი იყო მთავრობის წარმატებული ეკონომიკური რეფორმა. სამთავრობო ორგანო, რომელიც იაპონიაში ძირითადად ეხებოდა ინდუსტრიულ პოლიტიკას, იყო მრეწველობის სამინისტრო. **(Organisation for Economic Co-operation and Development (1972). The industrial policy of Japan. Paris. p. 45.)** ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმა იყო "წარმოების მიდრეკილი მოდუსის" ("Inclined Production Mode") შემოღება-ადაპტირება, რომელიც პირველ რიგში ფოკუსირებულია იმგვარი ნედეულის გადამუშავებაზე, როგორიც არის ფოლადი, ქვანახშირი და ბამბა ((傾斜 産 „keisha seisan hoshiki", ანუ „პრიორიტეტული წარმოების მეთოდი" / „priority production method"). მასში იგულისხმება განსხვავებული ფასის, რაოდენობისა და იმპორტის კონტროლი, რამაც ხელი შეუწყო წარმოების ზრდას მრეწველობის რამდენიმე სასიცოცხლო დარგის, განსაკუთრებით, ქვანახშირის, ფოლადისა და ტექსტილის მიმართულებით.)) მაგ., იმ დროს, საფეიქრო წარმოება/მრეწველობა მოიცავდა მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 23.9%-ზე მეტს.

წარმოების სტიმულირებისთვის იაპონიის მთავრობამ მხარი დაუჭირა სამუშაო ძალის ახალ რეკრუტირებას (მუშების, განსაკუთრებით ქალების დაქირავებას). ქალთა რეკრუტირების

გაზრდით, იაპონიამ შეძლო ნგრევიდან აღდგენის პროცესის სრულყოფილი მართვა. რეკრუტირების კანონმდებლობა მოიცავდა სამ კომპონენტს: მშრომელთა რეგიონალურ რეკრუტირებაზე (დაქირავებაზე) დაფუძნებულ რესტრიქციას (შეზღუდვას) და რელოკაციას (გადაადგილებას), ახალ სკოლადამთავრებულთა პირდაპირი რეკრუტირების (სამუშაოზე აყვანის) აკრძალვას, და საშუალო განათლების არმქონე (სკოლის გარეშე მყოფი / არასასკოლო) სამუშაო ძალის პირდაპირ რეკრუტირებას, [რაც წარმოებდა] შრომის სამინისტროს მიერ ცალსახად დეტალური რეგულაციების შესაბამისად. **(Macnaughtan, Helen (2005). Women, work and the Japanese economic miracle : the case of the cotton textile industry, 1945–1975. New York: Routledge Curzon. p. 11.)** მეორე მიზეზი, რის გამოც იაპონიამ მეორე მსოფლიო ომისგან სწრაფად მოიკეთა, იყო კორეის ომის დაწყება. **("朝　争影响下的日本　Japanese Economy Under the Influence of Korean War". 百度文.)** კორეის ომი მიმდინარეობდა მხარეში (რომანიზებული: Chōsen, იაპონ.　朝鮮), რომელიც იაპონიის იმპერიას ანექსირებული ჰყავდა 1910 წლიდან 1945 წლამდე. რამდენადაც შეერთებული შტატები მონაწილეობდა კონფლიქტში კორეის ნახევარკუნძულზე, მან ეკიპირების (აღჭურვილობის) შესყიდვის მიზნით მიმართა იაპონიას, რადგან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა აშშ -დან მალევე იქცა მნიშვნელოვან პრობლემად სამხედროებისთვის. სულ მალე, იაპონიის მრეწველობამ, კორეაში მებრძოლი ამერიკული სამხედრო ძალებისთვის უზრუნველყო საჭირო საბრძოლო და მატერიალურ-ტექნიკური მასალების მიწოდება. მოთხოვნამ სტიმული მისცა იაპონიას, წყნაროკეანური ომის დესტრუქციიდან (ნგრევიდან) მიეღწია ჩქარი აღდგენისთვის და საფუძველი ჩაეყარა იმ სწრაფი ექსპანსიისთვის (გაფართოებისთვის), რომელიც ამას უნდა მოჰყოლოდა.

აშშ-ის მხარდაჭერისა და შიდა ეკონომიკური რეფორმის მიღწევის შემდეგ, 1950-იანი წლებიდან 1970-იან წლებამდე, იაპონიამ შეძლო შორს გაჭრილიყო. დროის ამ მონაკვეთში ია-

პონიამ დაასრულა ინდუსტრიალიზაციის პროცესი და გახდა აღმოსავლეთ აზიის პირველი განვითარებული ქვეყანა. იაპონიის ეკონომიკამ პროგრესს უფრო სწრაფად მიაღწია, ვიდრე არსებობდა ამის მოლოდინი. **(The Oriental Economist [1967]. Japan Economic Year Book. p. 23.)** ამ პერიოდის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს ჰაიატო იკედას (Hayato Ikeda) ადმინისტრაციის სახელმწიფო პოლიტიკის გავლენა, რაც აისახებოდა ფართო მოხმარებასა და ექსპორტის სიდიდეში.

1954 წელს სრულად ამოქმედდა ეკონომიკური სისტემა, რომელიც იაპონიის საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს (MITI : Ministry of International Tarde and Industry) მიერ იქნა დამუშავებული 1949 წლიდან 1953 წლამდე. პრემიერ მინისტრმა ჰაიატო იკედამ, რომელსაც, ეკონომიკური პოლიტიკის ცნობილი მეცნიერი, სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ჩალმერს ჯონსონი ,,იაპონიის ეკონომიკური სასწაულის ყველაზე მნიშვნელოვან ინდივიდუალურ არქიტექტორს“ უწოდებს, გაატარა ძლიერი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა. ამ პოლიტიკამ განაპირობა „ზე-ჭარბი კრედიტების / გადაკრედიტების“ („over-loaning“) წარმოქმნა (პრაქტიკა, რომელიც დღემდე გრძელდება), რაც იმაში მდგომარეობს, რომ იაპონიის ბანკი გასცემს სესხებს ქალაქის ბანკებზე, რომლებიც, თავის მხრივ სასესხო მომსახურებას უწევენ (აკრედიტებენ) სამრეწველო კონგლომერატებს. ვინაიდან, იმ დროს იაპონიაში არსებობდა კაპიტალის დეფიციტი, სამრეწველო კონგლომერატები საკუთარი (ფინანსური) შესაძლებლობების იქით, ხშირად მათი წმინდა ღირებულების (ნეტო აქტივების) მიღმა, სასესხო ვალდებულებათა დასაფარავად კვლავ სესხულობდნენ, რაც იმას იწვევდა, რომ ქალაქის ბანკები იაპონიის ბანკიდან დიდი ოდენობის სესხებს იღებდნენ, რამაც იაპონიის ეროვნულ ბანკს, მასზე დამოკიდებულ ადგილობრივ ბანკებზე სრული კონტროლის შესაძლებლობა მისცა.

გადაჭარბებული დაკრედიტების სისტემამ (The system of over-loaning), კომბინირებულმა მთავრობის მიერ ანტიმონო-

პოლური კანონების შემსუბუქებასთან (მოკავშირე ძალების უმაღლესი მთავარსარდალის [The Supreme Commander for the Allied Powers / SCAP]), ასევე განაპირობა კონგლომერატული ჯგუფების (სახელწოდებით კეირეცუ / Keiretsu) ხელახლა წარმოქმნა-გამოჩენა, რომლებიც ასახავდნენ ომისდროინდელ კონგლომერატებს ანუ ზაიბაცუს (zaibatsu). ბიზნესმენების, მასარუ იბუკასა (Masaru Ibuka) და აკიო მორიტას (Akio Morita) თაოსნობით, Sony-ს ეკონომიკური გაუმჯობესების შედეგად, კეირეცუმ შეძლო ეფექტურად მოეხდინა რესურსების ალოკაცია (გადანაწილება) და საერთაშორისო დონეზე გამხდარიყო კონკურენტუნარიანი. **(Thomas, Vladimir (5 March 2017). the world transformed 1945 to the present (second ed.). Michael H.hunt. p. 211.)**

კეირეცუს კონგლომერატების წარმატების საფუძველს წარმოადგენენ ქალაქის ბანკები, რომლებიც გულუხვად გასცემენ სესხებს და სხვადასხვა ინდუსტრიებში ახდენენ ე.წ. cross-share holdings (ჯვარედინი თანამონაწილეობა, რაც გულისხმობს ერთმანეთის წილების/აქციების ფლობას; კორპორაციების ან მთავრობის წილი სხვა კორპორაციის აქციებში.) ფორმალიზებას (დოკუმენტირება- [გადაწყვეტილების] ლეგალიზებას; საბოლოო [ოფიციალურ] გაფორმებას, დასრულებას.**)**. კეირეცუმ ხელი შეუწყო ორივე, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ინტეგრაციას და გამორიცხა უცხოური კომპანიების არსებობა იაპონური ინდუსტრიაში. კეირეცუს მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა MITI-სთან და ერთმანეთთან აქციების ჯვარედინი განთავსებით (the cross-placement of shares), გარე მიტაცება-დაპატრონებისგან (take-overs) უზრუნველყოფდა მათ დაცვას. მაგალითად, იაპონიის განვითარების ბანკის (Japan's Development Bank) ფინანსების 83% გამოყოფილი იქნა ისეთ სტრატეგიულ დარგებზე, როგორიცაა: გემთმშენებლობა, ელექტროენერგია, ნახშირი და ფოლადის წარმოება. **(Johnson, Chalmers (1982). MITI and the Japanese Miracle: The Growth of Industrial Policy, 1925-1975. Stanford University Press. p. 211.)** კეირეცუ გადა-

მწყვეტი აღმოჩნდა პროტექციონისტული ზომებისთვის, რომელმაც დაიცვა იაპონიის ნორჩი ეკონომიკა.

კეირეცუ ასევე ხელს უწყობდა (და ახალისებდა) დამოკიდებულების შეცვლას იაპონელ მენეჯერებს შორის, რომლებიც ჰგუობდნენ დაბალი მოგების მიღებას მოკლევადიან პერსპექტივაში (in the short-run), რადგან კეირეცუ ნაკლებად ეხებოდა სააქციო დივიდენდებისა (stock dividends) და მოგების გაზრდას და უფრო მეტად, - პროცენტის გადახდას (interest payments). მოცემული კომპანიის დაახლოებით, მხოლოდ აქციათა ორი მესამედი იქნა გაყიდული, რითაც კეირეცუმ შეარბილა საბაზრო ფლუქტუაცია (რყევები) და თავის (კეირეცუს) მენეჯერებს ნება დართო აქცენტი გადაეტანათ გრძელვადიან დაგეგმარებასა და ბაზრის წილის მაქსიმიზირებაზე, ნაცვლად იმისა, რომ ფოკუსირება მოეხდინათ მოკლევადიან მოგებაზე.

იკედას ადმინისტრაციამ ასევე შემოიღო სავალუტო განაწილების პოლიტიკა (the Foreign Exchange Allocation Policy) , იმპორტის კონტროლის სისტემა (a system of import controls), რომელიც შეიქმნა (და მიმართულია) უცხოური საქონლისგან იაპონური ბაზრების წალეკვის თავიდან ასაცილებლად. MITI იყენებდა სავალუტო განაწილებას (ვალუტის გამოყოფას / ასიგნებას the foreign exchange allocation) ეკონომიკის სტიმულირებისთვის, ექსპორტის პოპულარიზაციით, ინვესტიციების მართვითა და წარმოების შესაძლებლობების მონიტორინგით. 1953 წელს, MITI –მ, საექსპორტო კავშირის სისტემის (the export-link system) გადასინჯვის გზით გადახედა უცხოური ვალუტის გამოყოფის პოლიტიკას (Foreign Exchange Allocation Policy), შიდა მრეწველობის განვითარებისა და ექსპორტის სტიმულირების მიზნით. მოგვიანო რევიზია (გადახედვა / გადასინჯვა), რომელიც ეფუძნება წარმოების შესაძლებლობებს ვალუტის გამოყოფაზე, მიზნად ისახავს უცხოური დემპინგის (foreign dumping) თავიდან აცილებას.

სწრაფი ეკონომიკური ზრდის პერიოდმა 1955-1961 წლებს შორის, გზა გაუხსნა ოქროს სამოციანებს, მეორე დეკადას,

რომელიც ზოგადად უკავშირდება იაპონიის ეკონომიკურ სასწაულს. 1965 წელს იაპონიის ნომინალური მშპ შეფასდა 91 მილიარდი აშშ დოლარზე მეტი ოდენობით. თხუთმეტი წლის შემდეგ, 1980 წელს, ნომინალური მშპ გაიზარდა რეკორდულ, 1.065 ტრილიონ დოლარამდე.

პრემიერ-მინისტრ (ყოფილი MITI-ის მინისტრი) იკედას ხელმძღვანელობით, იაპონიის მთავრობამ წამოიწყო ამბიციური „შემოსავლების გაორმაგების, ანუ ორმაგი შემოსავლის გეგმა“ („income-doubling plan“ / 所得倍増). იკედამ, გასავლების / (დანა)ხარჯების წასახალისებლად შეამცირა საპროცენტო განაკვეთები და გადასახადები კერძო აქტიორებისთვის. გარდა ამისა, ფისკალური ინვესტიციების და სესხების პროგრამის (FILP: The Fiscal Investment and Loan Program) მიერ წარმოდგენილი ფინანსური მოქნილობის წყალობით, იკედას მთავრობამ სწრაფად გააფართოვა სამთავრობო ინვესტიციები იაპონიის ინფრასტრუქტურაში. კერძოდ ესენია: ავტობანების (საავტომობილო მაგისტრალების), ჩქაროსნული მატარებლების, მეტროების, აეროპორტების, პორტებისა (საპორტო მოწყობილობის) და კაშხლების მშენებლობა. იკედას მთავრობამ ასევე გააფართოვა მთავრობის ინვესტიციები იაპონიის ეკონომიკის წინათ უგულვებელყოფილ საკომუნიკაციო სექტორში. თითოეულმა ამ მოქმედებამ გააგრძელა იაპონიის ტენდენცია მმართული ეკონომიკის კუთხით, რაც განასახიერებდა კიდეც, შერეულ ეკონომიკურ მოდელს.

იკედას მხრიდან ეკონომიკაში სახელმწიფოს ინტერვენციისა და რეგულირების ერთგულების პარალელურად, მისი მთავრობა ბიძგს აძლევდა და მიისწრაფვოდა ვაჭრობის ლიბერალიზაციისკენ. 1960 წლის აპრილისთვის ვაჭრობის იმპორტი იყო ლიბერალიზებული 41 პროცენტით (შედარებისთვის: 22 პროცენტით - 1956 წლისთვის). იკედა გეგმავდა ვაჭრობის 80 პროცენტამდე ლიბერალიზაციას სამი წლის განმავლობაში. თუმცა, მის გეგმებს შეხვდა სასტიკი წინააღმდეგობა ორივე სფეროდან, როგორც სასესხო ინდუსტრიის (რომელიც ყვა-

ოდა უზომო დაკრედიტებით), ისე ნაციონალისტური საზოგადოებრიობის მხრიდან, რომლებიც უფრთხოდნენ უცხოელთა მიერ საწარმოთა ხელში ჩაგდებას. იაპონური პრესა ლიბერალიზაციას ადარებდა „შავი ხომალდების მეორე გამოჩენას“, „იაპონური კუნძულების დაუცველობას, ვეებერთელა უცხოური კაპიტალისტური ძალების (სახელმწიფოთა) თავდასხმის პირისპირ“ და „იაპონიის ეკონომიკის მომზადებას, ეროვნულ კაპიტალსა და უცხოურ კაპიტალს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლისთვის“. იკედას ორმაგი შემოსავლის გეგმა (income-doubling plan), მეტწილად ეს იყო საპასუხო რეაქცია ამ მზარდი ოპოზიციისა და ლიბერალიზაციის შესახებ ფართოდ გავრცელებული პანიკის მიმართ, საზოგადოებრივი პროტესტის ჩახშობის მიზნით. იკედას მოტივები მაინც პრაგმატული იყო და ეყრდნობოდა საგარეო პოლიტიკას. ის ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე გადავიდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილი (და დაცული) იქნა ბაზარი, რაც ხელს უწყობდა (და უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა) იაპონიის პროდუქტებსა და კომპანიებს.

იკედამ, უცხოურ დახმარებათა განაწილებისთვის ასევე შექმნა მრავალი მოკავშირე / მონათესავე უცხოური დახმარების გამანაწილებელი სააგენტო (Foreign Aid Distribution Agencies), რათა საერთაშორისო წესრიგში მოეხდინა იაპონიის მონაწილეობის მზადყოფნის დემონსტრირება და ხელი შეეწყო ექსპორტის სტიმულირებისთვის. ამ სააგენტოების შექმნა იყო არა მხოლოდ მცირე კონცესია (დათმობა) საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, არამედ საზოგადოებისათვის გარკვეული შიშის გაქრობაც ვაჭრობის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით. იკედა ხელს უწყობდა იაპონიის გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციას, 1955 წელს GATT-ში (General Agreement on Tariffs and Trade / გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ), 1964 წელს კი IMF -სა (International Monetary Fund / საერთაშორისო სავალუტო ფონდი) და OECD-ში (Organisation for Economic Co-operation and Development / ეკონომიკური თა-

ნამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) გაწევრიანებით. როდესაც იკედამ თანამდებობა დატოვა, მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ GNP) ფენომენალური 13.9 პროცენტიანი მაჩვენებლით გაიზარდა.

საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ (The Ministry of International Trade and Industry – MITI) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, იაპონიის ომისშემდგომ აღდგენა-განახლებაში. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, არცერთ სამთავრობო რეგულაციას ან ორგანიზაციას არ გააჩნდა უფრო მეტი ეკონომიკური ეფექტი, ვიდრე MITI-ს. "იაპონიის ეკონომიკური ზრდის განსაკუთრებული ტემპი, ფორმა და შედეგები," - წერს ჩალმერს ჯონსონი, - "გაუგებარია MITI– ს წვლილზე მითითების გარეშე" **(Johnson, Chalmers (1982). MITI and the Japanese Miracle: The Growth of Industrial Policy, 1925-1975. Stanford University Press. p. vii).**

MITI დაარსებული იქნა 1949 წელს, რომლის თავდაპირველი როლი მდგომარეობდა სამრეწველო რაციონალიზაციის პოლიტიკის წარმართვაში (1950), რაც გულისხმობდა ცალკეული დარგების ძალისხმევის კოორდინირებას, SCAP-ის დეფლაციური რეგულაციების შედეგების გასანეიტრალებლად. ამგვარად, საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ, იაპონიის მთავრობასა და მრეწველობის კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის ფორმალიზება მოახდინა (ანუ, მათ შორის არსებულ კოოპერაციას მისცა მყარი ფორმა). პოლიტიკის მასშტაბები (მოცულობა და ხარისხი) იყო სწორედ ისეთი, რომ, თუ MITI-ს სურდა „ფოლადის წარმოების გაორმაგება, ნეო-ზაიბაცუს (the neo-zaibatsu) უკვე გააჩნდა (სათანადო) კაპიტალი, სამშენებლო აქტივი, საწარმოო მანქანა-დანადგარების შემქმნელები / მწარმოებლები, სხვა აუცილებელი ფაქტორები, რომლებიც უკვე ხელმისაწვდომი იყო შიდა („სახლის") პირობებში. სამინისტრო სხვადასხვა დარგს, მათ შორის (ახლადაღმოცენებულ) კეირეცუს, კოორდინაციას უწევდა კონკრეტული მიზნისკენ, ჩვეულებრივ, - ეროვნული წარმოების მიზნე-

ბისა და კერძო ეკონომიკური ინტერესთა გადაკვეთის წერტილის (თანხვედრის) მიმართულებით.

MITI-იმ ასევე გაზარდა ინდუსტრიული უსაფრთხოება, ტექნოლოგიის იმპორტის (ჩა)მოცილებით სხვა საქონლის იმპორტისგან. საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უცხოური კაპიტალის შესახებ კანონი (MITI's Foreign Capital Law) უფლებამოსილებას ანიჭებდა სამინისტროს, ეწარმოებინა მოლაპარაკებები / განეხილა პირობები ტექნოლოგიის იმპორტის ფასის და პირობების თაობაზე. ტექნოლოგიური კონტროლის ამ ელემენტმა საშუალება მისცა მას, ხელი შეეწყო იმ ინდუსტრიებისთვის, რომლებსაც ის თვლიდა პერსპექტიულად. იმპორტირებული ტექნოლოგიის დაბალი ღირებულება იძლეოდა სწრაფი ინდუსტრიული ზრდის შესაძლებლობას. პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ახალი ეკიპირების (აღჭურვილობის), მენეჯმენტისა და სტანდარტიზაციის გზით.

1952 წლის აგვისტოში, ეკონომიკური სტაბილიზაციის საბჭოსა და ვალუტის კონტროლის საბჭოს (the Economic Stabilization Board and the Foreign Exchange Control Board) გაუქმებით, MITI-მ მოიპოვა ყველა იმპორტის რეგულირების შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის სტაბილიზაციის საბჭოში MITI უკვე დომინირებდა, ასიდა / იოშიდას მთავრობებმა (the Ashida / Yoshida Governments) იგი გარდაქმნეს ეკონომიკური განხილვის სააგენტოს (the Economic Deliberation Agency) მარტივ „სააზროვნო რეზერვუარად (ცენტრად)" („think tank"), არსებითად MITI-ს გაუჩნდა სრული კონტროლის შესაძლებლობა იაპონიის ყველა იმპორტზე. სავალუტო ბიუჯეტზე ძალაუფლებაც აგრეთე უშუალოდ MITI-ს გადაეცა.

იაპონიის განვითარების ბანკის (the Japan Development Bank) დაარსებით, MITI-მ კერძო სექტორი, გრძელვადიანი ზრდისთვის ასევე უზრუნველყო იაფი კაპიტალით. იაპონიის განვითარების ბანკმა დაუშვა წვდომა ფისკალურ ინვესტი-

ციებსა (the Fiscal Investment) და სასესხო გეგმებზე (the Loan Plan) (კერძო და ეროვნული დანაზოგების დიდი გაერთიანება / a massive pooling of individual and national savings). ამ დროისთვის, FILP-ი აკონტროლებდა მსოფლიოში უდიდესი კომერციული ბანკის ოთხჯერ მეტ დანაზოგებს. ამ ფინანსური სიძლიერით FILP- მა შეძლო შეენარჩუნებინა იაპონიის სამშენებლო კომპანიების უჩვეულოდ მაღალი რაოდენობა (ორჯერ მეტი სამშენებლო კომპანია, ვიდრე სხვა მსგავსი მშპ-ის მქონე ქვეყანაში).

1945 წლიდან 1973 წლამდე იაპონიის ეკონომიკა ინარჩუნებდა ყოველწლიური ზრდის თითქმის ათპროცენტიან ტემპს. იმის გამო, რომ ამ პერიოდში შეიცვალა ეროვნული შემოსავლის გაზომვის სტანდარტები, არ არსებობს უწყვეტი სტატისტიკური სერია. თუმცა, როდესაც არსებული მონაცემები ერთმანეთთან არის დაკავშირებული და გადათვლილი / ხელახლა გამოთვლილი, 1946 წლიდან 1973 წლამდე იაპონიის რეალური მშპ აჩვენებს წლიური ზრდის ტემპს 9,6 პროცენტით. **(ომში იაპონიის დამარცხების თანმხლები დაბნეულობის გამო, 1945 წელს არ არსებობდა მისი მშპ-ის ოფიციალური შეფასება. 1946-დან 1955 წლამდე მაჩვენებლები შეგიძლიათ იხილოთ: Keizai kikakuchō, *Gendai Nihon keizai no tenkai.* Tokyo: Keizai kikakuchō, 1976, p. 578; და 1955-დან 1965 წლამდე (ძველი SNA) და 1965-დან 1973 წლამდე (ახალი SNA), Tōyō keizai shinpōsha, *Shōwa kokusei sōran.* Tokyo: Tōyō keizai Shinpōsha, 1980, p. 99.)**

ამ მაღალი ეკონომიკური ზრდის პირველი დეკადა / ათწლეული იყო მეორე მსოფლიო ომში იაპონიის დამარცხების შედეგად გამოწვეული ეკონომიკური დისლოკაციებიდან (არეულობიდან / რყევებიდან) აღდგენა-გაჯანსაღების პერიოდი. ომის დროს იაპონიის საზღვაო ტრანსპორტი მოკავშირეთა ძალებმა გახადეს დისფუნქციური (გააუვნებელყვეს), რამაც გაართულა ნედლეულის მოპოვება. ფაქტობრივად, ეს ბლოკადა გაგრძელდა ომისშემდგომი შეზღუდვებით, რომლებიც ამერიკულმა

საოკუპაციო ძალებმა დააწესა საგარეო ვაჭრობაზე და ის გააღრმავა / გაამწვავა სოციალურმა და ეკონომიკურმა უწესრიგობამ / არეულობამ. რეალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე 1946 წელს შემცირდა 1934-1936 წლების დონის 55 პროცენტამდე და ეს დონე ვერ აღდგა 1953 წლამდე.

რეალურად ომამდელ მშპ -ს ერთ სულ მოსახლეზე (per capita GNP) აღდგენას უფრო მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე ევროპაში. 1951 წელს ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავალი, დაფუძნებული პრევალირებულ (უპირატეს [გაბატონებულ/გავრცელებულ]) გაცვლით კურსზე (prevailing exchange rates უპირატესი [გაბატონებული/გავრცელებული] გაცვლითი კურსის მიხედვით), შეადგენდა შეერთებული შტატების შემოსავლების ერთ მეთორმეტს და დასავლეთ გერმანიის შემოსავლების ორ მეხუთედს. **(Keizai kikakuchō chōsakyoku, ed. Shiryō: *keizai hakusho nijugo nen.* Tokyo, 1972, p. 9 [chart 2], pp. 11-12.)** მაგრამ მას შემდეგ, რაც ომისშემდგომი აღდგენა დასრულდა, იაპონიამ შეინარჩუნა ზრდის უკიდურესად მაღალი ტემპი თხუთმეტ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. მართლაც, იაპონიის ეკონომიკის მაჩვენებლები გამორჩეული (საოცარი / ბრწყინვალე) იყო სხვა ინდუსტრიულ (სამრეწველო) ეკონომიკებთან შედარებით.

1960-იან წლებამდე საგარეო ვაჭრობა, უცხოური ვალუტა და კაპიტალის მოძრაობა იმყოფებოდა მთავრობის კონტროლის ქვეშ, ისევე როგორც ომის დროს. ძირითადი რესურსები მწირი იყო და იგრძნობოდა, რომ თავისუფალი ბაზარი ვერ მიაღწევდა რესურსების ოპტიმალურ ალოკაციას (განაწილებას) ეკონომიკური რეკონსტრუქციისთვის. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეკონომიკამ მოიკეთა და გაჯანსაღდა ომისშემდგომი დისლოკაციისგან (რყევებისგან), და გაიზარდა მისი ჩართულობა მსოფლიო ბაზარზე, გაჩნდა ძლიერი საგარეო ზეწოლა იაპონელებზე, განსაკუთრებით შეერთებული შტატებისგან, ამ კონტროლის ლიბერალიზაციისთვის. უცხოელები იმპორტის ლიბერალიზაციას ხედავდნენ, როგორც მათი იმპორტის გაზრდის

საშუალებას, ხოლო ზოგიერთი იაპონელი ამტკიცებდა, რომ იმპორტის კონკურენცია გააუმჯობესებდა იაპონური საწარმოების ეფექტიანობას (შედეგიანობას).

1960 წლის ივნისში მთავრობამ მიიღო საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ვალუტის ლიბერალიზაციის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა ლიბერალიზაციის მაჩვენებლების 40 პროცენტიდან (1960 წლის მარტის მდგომარეობით) 80 პროცენტამდე გაზრდას სამი წლის განმავლობაში. შემდგომში გეგმა გადაიხედა და 1962 წლის ოქტომბრისთვის ლიბერალიზაციის მაჩვენებელმა 88 პროცენტს მიაღწია. 1963 წელს იაპონია გახდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF / International Monetary Fund) მე-8 მუხლის ქვეყანა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას აღარ შეეძლო შეზღუდვების დაწესება უცხოურ ვალუტაზე და 1964 წელს შეუერთდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას (OECD / Organization for Economic Cooperation and Development), საერთაშორისო საკონსულტაციო ორგანოს (an international consultative body), რომელიც დაარსდა 1961 წელს ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციის ხელშეწყობისთვის. 1970-იანი წლების დასაწყისისთვის, საერთაშორისო საგადამხდელო ბალანსის მზარდი პროფიციტის დასაძლევად, იაპონიამ განაახლა თავისი ძალისხმევა ვაჭრობის ლიბერალიზაციის თაობაზე.

იაპონიის მონაწილეობამ OECD-ში მოიტანა კაპიტალის ლიბერალიზაცია. 1967 წლის ივნისში მთავრობამ მიიღო კაპიტალის ლიბერალიზაციის ფუნდამენტური გეგმა (the Fundamental Plan for Capital Liberalization). ლიბერალიზაციის პირველ ეტაპს ადგილი ჰქონდა 1967 წლის ივლისში, რამაც დაუშვა 50 პროცენტიანი ლიბერალიზაცია 33 ინდუსტრიაში / დარგში და 100 პროცენტით 17 სხვა ინდუსტრიაში / დარგში (გემთმშენებლობისა და ფოლადის ჩათვლით). ლიბერალიზაციის მეორე ეტაპი მოხდა 1969 წლის თებერვალში, როდესაც დაშვებული იყო 50 პროცენტიანი ლიბერალიზაცია 160 კატეგორიაში და 100 პროცენტიანი 44 კატეგორიაში. მესამე ეტაპი შედგა 1970

წლის სექტემბერში, ხოლო მეოთხე, - 1971 წლის აგვისტოში. 1971 წლის აპრილში კაპიტალის ლიბერალიზაცია გამოიყენეს საავტომობილო ინდუსტრიაში (the automobile industry), ხოლო 1974 წელს ნებადართული იყო 50 პროცენტიანი ლიბერალიზაცია ელექტრონულ კომპიუტერებში (electronic computers) და 100 პროცენტით უძრავ ქონებაში (real estate).

იაპონიის მიერ ლიბერალიზაციის (შესახებ) ზომების მიღება უცხოელმა კრიტიკოსებმა დაგვიანებულად მიიჩნიეს დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიბერალიზაციასთან შედარებით. იაპონიაში ბევრი ფიქრობდა (და ბევრიც უჭერდა მხარს იმ აზრს), რომ იაპონური ინდუსტრიებისა / დარგებისა და საწარმოების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა სუსტი იყო და რომ ლიბერალიზაცია მათზე უარყოფით გავლენას მოახდენდა. იმპორტზე და კაპიტალზე კონტროლი საჭირო იყო ახალი ინდუსტრიებისა / დარგებისა და არაკონკურენტული ინდუსტრიების / დარგების, და ასევე დაზარალებულ ინდუსტრიებში / დარგებში დასაქმების დასაცავად. როდესაც გაირკვა, რომ ლიბერალიზაცია გარდაუვალი იყო, ბევრი ამტკიცებდა, რომ იაპონური მრეწველობა უფრო კონკურენტუნარიანი უნდა გამხდარიყო, რათა გამკლავებოდა მის შედეგებს.

1960 წელს საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ვალუტის ლიბერალიზაციის გეგმების გამოცხადებამ სტიმული მისცა ინვესტიციებს ახალ საწარმოო ობიექტებში / ქარხნებში, ისევე როგორც პრემიერ მინისტრ იკედა ჰაიატოს (Ikeda Hayato) შემოსავლების გაორმაგების გეგმამ (Income Doubling Plan), რომელიც ითვალისწინებდა ეროვნული შემოსავლის გაორმაგებას მომდევნო ათი წლის განმავლობაში. შედეგი იყო 1960-იანი წლების დასაწყისის მოდერნიზაციაში (განახლებაში) ინვესტიციის (განსახორციელებელი კაპიტალდაბანდებების) აქსელერაცია ([დ]აჩქარება). ამის საპირისპიროდ, 1960-იანი წლების ბოლოს კაპიტალის ლიბერალიზაციის პოლიტიკა გახდა კომპანიების შერწყმისა და გაერთიანებების რაოდენობის ზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. მათგან ყველაზე მნიშვნე-

ლოვანი იყო Mitsubishi Heavy Industries-ის გაერთიანება 1964 წელს, Nissan-ისა და Prince-ის საავტომობილო კომპანიების (the Nissan and Prince automobile companies) გაერთიანება 1965 წელს, Nissho-სა და Iwai-ს სავაჭრო კომპანიების (the Nissho and Iwai trading companies) გაერთიანება 1968 წელს, Yawata-სა და Fuji-ს ფოლადის კომპანიების (the Yawata and Fuji steel companies) შერწყმა 1970 წელს, და Daiichi-სა და Nihon Kangyo-ს ბანკების (the Daiichi and Nihon Kangyo banks) შერწყმა 1971 წელს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შერწყმამ შესაძლოა ხელი არ შეუწყო მოდერნიზაციას ისე, როგორც ქარხნის ინვესტიციებს, (მაგრამ) მათ სრულიადაც არ ავნეს იაპონიის საერთაშორისო კონკურენტუნარიან პოზიციას.

როგორც აღმოჩნდა, ლიბერალიზაცია არ აფერხებდა მაღალ ეკონომიკურ ზრდას, პირიქით, (იგი) იყო მისი სტიმულირებისა და აქსელერაციის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. ლიბერალიზაციის შედეგად იაპონიის ეკონომიკაც უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მსოფლიო ეკონომიკას. ამავდროულად, სავალუტო / უცხოური ვალუტის, საგარეო ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობაზე კონტროლის ელიმინაციამ (აღმოფხვრამ / გაუქმებამ) შეამცირა მთავრობის ჩარევა შიდა ინდუსტრიაში (მრეწველობაში) და ხელი შეუწყო საბაზრო ეკონომიკის განვითარებას იაპონიაში.

1960-იანი წლების შუა ხანებში ბევრი ფიქრობდა, რომ მაღალი ზრდის პერიოდი დასასრულს უახლოვდებოდა. ეკონომიკა უახლოვდებოდა რეცესიას. არსებობდა ფართომასშტაბიანი გაკოტრების ტალღა, (რომელთაგან) ყველაზე დრამატული იყო Yamaichi Securities Company-ის მართვის კრიზისი და იაპონიის ბანკმა (the Bank of Japan) სპეციალური სესხები გასცა ფინანსური კრიზისის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ ამის მიუხედავად, ეკონომიკა კიდევ უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე წინათ, რაც შენარჩუნებული იყო არა მხოლოდ სამრეწველო საწარმოებში ინვესტიციებითა და მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნით (მზარდი სამომხმარებლო მოთხოვნა), არამედ ექსპორტითაც.

ტრადიციულად, ტექსტილი / საფეიქრო მრეწველობა იყო იაპონიის ძირითადი საექსპორტო ინდუსტრია, მაშინ როდესაც მისი ქიმიური და მძიმე მრეწველობა დამოკიდებული იყო შიდა მოთხოვნაზე. მძიმე მრეწველობაში (ლითონები, ქიმიკატები, მანქანა / დაზგა-დანადგარები და ა.შ.) წარმოებამ 1955 წლისთვის გადაუსწრო მსუბუქ მრეწველობას (ტექსტილი და სხვ.), თუმცა მსუბუქი მრეწველობა ექპორტირებდა (ახორციელებდა გატანას) არა მხოლოდ მისი პროდუქციის უმეტეს ნაწილს, არამედ აგრეთვე თავისი წარმოების უფრო მაღალ წილს. ეს რეფლექტირებდა (ასახავდა) ტრადიციულ ნიმუშს. მაგრამ 1960-ის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მსუბუქი მრეწველობა კვლავ ექსპორტირებდა თავისი პროდუქციის მაღალ პროცენტს, მძიმე მრეწველობამ კიდევ უფრო მეტი ექსპორტი განახორციელა. 1965 წლისთვის, მთლიანი წარმოების ექსპორტი (ექსპორტის წილი მთლიანი წარმოების მოცულობიდან) პროცენტულად იგივე იყო; 1965 წლისთვის მძიმე მრეწველობამ თავისი პროდუქციის უფრო მეტი წილი გაიტანა ექსპორტზე, ვიდრე მსუბუქმა მრეწველობამ; ხოლო 1975 წლისთვის მძიმე მრეწველობამ მნიშვნელოვნად გადაუსწრო მსუბუქ მრეწველობას. მიუხედავად იმისა, რომ მძიმე ინდუსტრიის დამოკიდებულება უცხოურ ბაზრებზე გაიზარდა, მსუბუქი მრეწველობა გამოვიდა საექსპორტო ბაზრიდან და უპირატესად შიდა მოთხოვნაზე გახდა დამოკიდებული.

1965 წლის შემდეგ სამგზავრო / მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის არაჩვეულებრივი გაფართოება იყო ამ ცვლილების / ძვრების ტიპური (ჩვეულებრივი / დამახასიათებელი) მაგალითი. 1971 წელს იაპონიამ 1,78 მილიონი ავტომობილი გაიტანა ექსპორტზე, რაც წინა წელთან შედარებით 63,7 პროცენტით მეტია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ტელევიზორების, მაგნიტოფონებისა და სხვა ელექტრონული საქონლის ექსპორტი. იმდროინდელი ბიზნეს-გამოკითხვების თანახმად, ბევრი ფირმა გამოჩნდა 1970-იან წლებში იმ განზრახვით, რომ გაეზარდა საკუთარი დამოკიდებულება საექსპორტო ბა-

ზარზე. იაპონური ინდუსტრიის ექსპორტის გაზრდის ამ ტენდენციის მიღმა დგას მისი ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, რომელიც შექმნილი იყო ვიეტნამის ომის ექსპანსიით გამოწვეული ინფლაციის შედეგად შეერთებულ შტატებში, მაშინ როდესაც გაცვლითი კურსი უცვლელი დარჩა 360¥ :1.00$-თან. თუმცა, ექსპორტის სწრაფმა ზრდამ გამოიწვია ეკონომიკური დაძაბულობა / უთანხმოება ორ ქვეყანას შორის, რის შედეგადაც იაპონიამ დააწესა ნებაყოფლობითი რესტრიქციები რკინისა და ფოლადის ექსპორტზე 1968 წელს და ტექსტილის ექსპორტზე 1971 წელს.

საწვავის რესურსები კვლავინდებურად იყო იაპონიის მთავარი იმპორტი. იმპორტირებული ენერგიის წყაროებზე დამოკიდებულება გაიზარდა 1950-იანი წლების შემდეგ. 1955 წელს შიდა ენერგიის წყაროები ენერგომომარაგების 76 პროცენტს შეადგენდა, ხოლო იმპორტი 24 პროცენტს; 1965 წელს შიდა წყაროებზე მხოლოდ 33,8 პროცენტი მოდიოდა, იმპორტზე კი, - 66,2 პროცენტი; ხოლო 1970 წელს შიდა წყაროები 16,5 პროცენტამდე შემცირდა, იმპორტი კი 83,5 პროცენტამდე გაიზარდა. **(Tōyō keizai shinpōsha, Shōwa kokusei sōran, p. 391.)** საწვავის გარდა, სხვა ძირითადი იმპორტის სახეობები იყო საკვები პროდუქტები და მინერალური რესურსები.

ამგვარად, მისი საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა იყო ისეთი, რომლითაც იაპონია ექსპორტზე ახორციელებდა მძიმე მრეწველობის პროდუქტებს და იმპორტირებდა ნედლეულს, შიდა დეფიციტის (უკმარისობის) ასანაზღაურებლად / შესავსებად. იაპონიის ექსპორტის ზრდამ გადააჭარბა მსოფლიო ვაჭრობას (ე.ი. მსოფლიო ვაჭრობის ზრდის საერთო მაჩვენებლებს), ხოლო იმპორტის გაფართოება მიმდინარეობდა შიდა ეკონომიკის ზრდის ტემპის პარალელურად. ამ ბალანსის შესანარჩუნებლად იაპონიის ეკონომიკას უნდა შეენარჩუნებინა საშუალოზე მაღალი მსოფლიო ზრდის ტემპი. მიუხედავად იმისა, რომ 1970 წელს ინფლაცია მთელ მსოფლიოში ვრცელდებოდა, შიდა ფასები რელატიურად (შედარებით) სტაბილური (მყარი)

რჩებოდა და იზრდებოდა პროფიციტი / დადებითი სალდო (ინგლ. surplus, სიჭარბე / ნამეტი) ბიუჯეტთან მიმართებით მიმდინარე ანგარიშში.

1971 წლის აგვისტოში, აშშ-ს პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა (Richard Nixon) მოითხოვა მსოფლიოს ძირითადი ვალუტების გადაფასება, ფიქსირებული გაცვლითი კურსის გაუქმება, და წლის ბოლოს იენი გადაფასდა კურსით ¥308 : $1.00. მაგრამ ეს გადაფასებული კურსი დიდხანს არ შენარჩუნებულა. 1973 წლის თებერვალში იაპონია გადავიდა მცურავ კურსზე, ხოლო 1973 წლის შემოდგომაზე ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ (the Organization of Petroleum Exporting Countries (OPEC)) ნედლი ნავთობის ფასი ოთხჯერ გაზარდა / გააოთხმაგა. ამ თანმიმდევრულმა შოკებმა დიდი გავლენა მოახდინა იაპონიის ეკონომიკაზე, რომელიც დამოკიდებული იყო მძიმე ინდუსტრიის საქონლის ექსპორტსა და ენერგომატარებლების იმპორტზე. ამ შოკებით (რყევებით) აღინიშნა იაპონიის მაღალი ზრდის პერიოდის დასასრული. თუმცა, 1973 წელს მაღალი ზრდის პერიოდის დასრულების შემდეგაც კი, ეკონომიკის იმპულსი გრძელდებოდა. მაგალითად, 1975 წლისთვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ მიაღწია შეერთებული შტატების 62 პროცენტს და დასავლეთ გერმანიის 65,9 პროცენტს და გადააჭარბა დიდი ბრიტანეთისა და იტალიის დონეს. **(OECD-ის ეროვნულ ანგარიშებზე [National Accounts] დაყრდნობით Keizai kikakuchō kokumin shotokuka, *Kokumin shotoku dōkō*. Tokyo, 1986)** მკვეთრი სხვაობა იაპონიასა და სხვა მოწინავე ქვეყნებს შორის კვლავ შემცირდა. სწრაფი ზრდის შედეგად, იაპონია გახდა მსოფლიოს მეორე ეკონომიკური ზესახელმწიფო. თუმცა, სამი ათწლეულის შემდეგ, ქვეყანამ განიცადა ე.წ. „ზრდის რეცესია“, რადგან შეერთებულმა შტატებმა განახორციელა ეკონომიკური პროტექციონიზმის პოლიტიკა, იაპონური წარმოების შევიწროებისა და იაპონური იენის იძულებითი გაუფასურების მიზნით.

შინაარსი

იაპონიის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური
ტრანსფორმაცია (1945 -1973 წწ.) მონოგრაფია---------- 6

შესავალი ---------- 6

**თავი 1. ომისშედგომი იაპონიის პოლიტიკური მდგომარეობა
და პარტიული კონიუნქტურა**

§1 პოლიტიკური სტრუქტურა
და პარტიული დინამიზმი ----------17
§2 ოკუპაცია: რეაბილიტაციისა
და რეკონსტრუქციის პერიოდი
§2.1 ომისშემდგომი ეკონომიკური რეფორმა და აღდგენა ---39
§2.2 ომისშემდგომი ეკონომიკური პოლიტიკა ----------46
§ 2.2.1 ინფლაცია ----------48
§ 2.2.2 პრიორიტეტული წარმოების მეთოდი/პროგრამა ------52
§ 2.3 მაკროეკონომიკური ქმედებები----------58
§ 2.3.1 სამუშაო ძალის ზრდა ----------58
§ 2.3.2 დანაზოგები და კაპიტალის აკუმულაცია----------62
§ 2.3.3 საგადამხდელო ბალანსის ჭერი / ზედა ზღვარი --------65
§ 2.3.4 საფასო ტენდენციები----------67
§ 2.3.5 შემოსავლის განაწილება ----------71
§ 2.3.6 მოთხოვნის ზრდა ----------74

თავი 2. იაპონიის ეკონომიკური ბუმი

(1955-1965 წწ. და 1966-1972 წწ.)

§1 დეველოპმენტალიზმის პოლიტიკა:
მაღალი ეკონომიკური ზრდა და მისი შედეგები ----------79
§ 1.1 „ეკონომიკური სასწაულის“ ხარჯები და სარგებელი ----79
§ 1.2 ცვალებადი ინდუსტრიული სტრუქტურა ----------89
§ 1.2.1 სამრეწველო რაციონალიზაციის გეგმები და
ტექნიკური ინოვაციების განვითარება ----------89
§ 1.2.2 წარმოება და ბანკები ---------- 100
§ 1.3 პერსონალი-მენეჯმენტის პრაქტიკა---------- 104
§ 1.3.1 ქვეკონტრაქტორი საწარმოების განვითარება-------- 107
§ 1.4 აგროსექტორი (ფერმერები სწრაფი ურბანიზაციისა
და ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში) ---------- 108
§ 1.5 ურბანული დასაქმების მახასიათებლები,
პროფკავშირები და სოციალური სტრატიფიკაცია --- 119

ბოლოთქმა ---------- 137